

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №378

2021 წლის 26 ივლისი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისა და თეთრობის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისა და თეთრობის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №23 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



ტექნიკური რეგლამენტი –
ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისა და თეთრობის აღკვეთილის
მენეჯმენტის გეგმა

თავი I. შესავალი

მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები და მოქმედების ტერიტორიული სფერო

1. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავებული იქნა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიებისთვის (ჯავახეთის ეროვნული პარკი, კარწახის ჭაობის აღკვეთილი, სულდის ჭაობის აღკვეთილი, ხანჩალის ტბის აღკვეთილი, ბულდაშენის ტბის აღკვეთილი, მადათაფას ტბის აღკვეთილი, ფარავნის ტბის აღკვეთილი, სადამოს ტბის აღკვეთილი, აბულის ტბის აღკვეთილი) და თეთრობის აღკვეთილისთვის.
2. მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მენეჯმენტის გეგმა სავალდებულოა ყველა დაცული ტერიტორიისთვის.
3. მენეჯმენტის გეგმის მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიებისთვის გრძელვადიანი მიზნებისა და ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც უნდა განახორციელოს შესაბამისი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ, მოცემული მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადაში.

მუხლი 2. დაცული ტერიტორიების მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოს აღწერა

ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისა და თეთრობის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი. ასევე, საკანონმდებლო ჩარჩოს დამატებით ნაწილებს წარმოადგენს შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზნები

1. ჯავახეთის ეროვნული პარკი შეიქმნა ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ეკოსისტემების დაცვისა და რეგიონში მდგრადი ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის განვითარების ხელშესაწყობად.
2. კარწახის ჭაობის აღკვეთილი, სულდის ჭაობის აღკვეთილი, ხანჩალის ტბის აღკვეთილი, ბულდაშენის ტბის აღკვეთილი, მადათაფას ტბის აღკვეთილი, ფარავნის ტბის აღკვეთილი, სადამოს ტბის აღკვეთილი და აბულის ტბის აღკვეთილი შეიქმნა მათი – როგორც რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი საიტების ნუსხაში შესატანად რეკომენდებული ტერიტორიების მდგრადი სტატუსის შესაბამისი მართვისთვის, გლობალურად მოწყვლადი და ეროვნული მნიშვნელობის მქონე სახეობების პოპულაციების დაცვისა და მათი ადგილსამყოფელების/ჰაბიტატების დეგრადაციის აღკვეთის მიზნით.

3. თეთრობის აღკვეთილი შექმნილია თეთრობ-ჭობარეთის ქედზე დოლერიტული ლავებისგან, მესამეულის, მერგელებისა და ზედა ცარცული გეოლოგიური ასაკის კირქვებისგან და მისი მიზანია იშვიათი გეომორფოლოგიური აგებულების ხმელთაშუაზღვისპირეთის, წინააზიური და ანატოლიის უძველესი (რელიქტური და ენდემური) ფლორის დაჯგუფებებით წარმოდგენილი უნიკალური ლანდშაფტების დაცვა და შენარჩუნება.

მუხლი 4. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი

1. მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა“ ფარგლებში, კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით, ეროვნული კონსულტანტების გუნდის ხელშეწყობით, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოსა (შემდგომში – დაცული ტერიტორიების სააგენტო) და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ, ასევე სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

2. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესის ეტაპებია (ცხრილი 1):

ცხრილი 1: დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შემუშავების ეტაპები

№	თარიღი	აქტივობა
1	11 სექტემბერი 2019	სამუშაო შეხვედრა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასა და დაინტერესებულ მხარეებთან მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესის სამუშაო გეგმის შესათანხმებლად და ტრენინგის ჩატარება მენეჯმენტის გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ
2	8 ნოემბერი, 2019	სამუშაო შეხვედრა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციის შესაძლებლობების შესაფასებლად და მენეჯმენტის გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად
3	24 თებერვალი, 2020	დაცული ტერიტორიების განახლებული მენეჯმენტის გეგმის პირველი სამუშაო ვერსიის წარდგენა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში
4	10 აპრილი, 2020	დაცული ტერიტორიების საბოლოო განახლებული მენეჯმენტის გეგმის წარდგენა
5	15 სექტემბერი, 2020	დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა

მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი

მენეჯმენტის გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან მომდევნო 9 წლის განმავლობაში, გარდა მენეჯმენტის გეგმის მე-40 და 41-ე მუხლებისა და №18 და №19 დანართებისა, რომლებიც ძალაშია ახალი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე.

მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილების შეტანა და განახლება

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეცხრე წლის პირველი კვარტლისა, დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მიღებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II. დაცული ტერიტორიების აღწერა

მუხლი 7. მდებარეობა და ტერიტორია

1. ჯავახეთის დაცული ტერიტორიები მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის მთიანეთში და ორი მუნიციპალიტეტის საზღვრებშია მოქცეული (ახალქალაქის და ნინოწმინდის მინიციპალიტეტები).

2. ჯავახეთის დაცული ტერიტორიები აერთიანებს ჯავახეთის ეროვნულ პარკს (13,498,02 ჰა), კარწახის ჭაობის ალკვეთილს (157,5 ჰა), სულდის ჭაობის ალკვეთილს (309,3 ჰა), ხანჩალის ტბის ალკვეთილს (727,3 ჰა), ბულდაშენის ტბის ალკვეთილს (119,3 ჰა), მადათაფას ტბის ალკვეთილს (1398 ჰა), თეთრობის ალკვეთილს (3089 ჰა), ფარავნის ტბის ალკვეთილს (4031 ჰა), სალამოს ტბის ალკვეთილს (629 ჰა) და აბულის ტბის ალკვეთილს (211 ჰა) (დანართი 1: დაცული ტერიტორიების მდებარეობა).

3. **ჯავახეთის ეროვნული პარკი** საქართველოს, სომხეთს და თურქეთს შორის სასაზღვრო სამკუთხედშია მოქცეული (იხ. დანართი 1). მესამეულმა ვულკანურმა პროცესებმა ოლიგოცენსა და მეოთხეულ პერიოდს შორის და პლეისტოცენის გამყინვარების პერიოდმა აქ ფართო ზეგანი ჩამოაყალიბეს. ზღვის დონიდან საშუალოდ 1,800-2,000 მ-ს სიმაღლის მქონე ზეგნის დეპრესიებში რამდენიმე ტბა და ნელი დაკლაკნული მდინარეა განთავსებული. ზეგანი ძირითადად სუბალპური მდელოებით, მდელო-სტეპებით და ნაწილობრივ ჭარბტენიანი ტერიტორიებითაა დაფარული. 2,500 მ-ზე მაღლა ალპური მდელოებია განლაგებული. კარწახის ტბის სასაზღვრო, ხელუხლებელ ფერდობებზე ნარჩენი სუბალპური ტყეების და ფიჭვის ნარგაობის გარდა რეგიონში ფაქტობრივად ხე-მცენარეები არ იზრდება.

4. **ხანჩალის ტბის ალკვეთილი** მდებარეობს ზ.დ. 1,920-1,980 მ სიმაღლეზე, მდ. ფარავნის აუზში (იხ. დანართი 2). ხანჩალის ტბის სადრენაჟო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 176 კმ²-ს, ხოლო საკუთრივ ტბის წყლით დაფარული სარკის ზედაპირის ფართობია 13.3 კმ². ხანჩალის ტბა სიდიდით მეხუთეა საქართველოში. მისი მაქსიმალური სიგანე 2.5 კმ-ია, საშუალო სიღრმე – 0.5 მ, ხოლო მაქსიმალური სიღრმე – 0.7 მ-ია. წყლის ტევადობა შეადგენს 6,365 მ³-ს. წყლის დონეების მაქსიმალური ცვალებადობა აღინიშნება მაისში, თოვლის დნობის პერიოდში. ტბა მარაგდება პატარა მდინარეებით, რომლებიც მასში სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩაედინებიან. ხანჩალის ტბიდან გამომავალი წყალი უმთავრესად კაშხლის აღმოსავლეთით არსებული ჰიდროკვანძის გავლით მდ. აგრიჩაიში და მდ. ფარავნის შენაკადში ჩაედინება, ნაწილობრივ კი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე არსებული ჰიდროკვანძის გავლით ალექსანდრესის ახალ სადრენაჟო არხში. ტბის წყლის ბალანსი უარყოფითია. წყლის ბალანსზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს კაშხლების აქტიური ფუნქციონირება და მდინარე ბულდაშენიდან წამოსული სხვადასხვა წყლების ჩადინება (გაზაფხულზე, დიდი ხანჩალის სამხრეთით, დაახლოებით 1მ³/წ). ხანჩალის ტბაზე კაშხლის აშენების შემდგომ მისი ზედაპირის ფართობი 60%-ით შემცირდა. კაშხალი საირიგაციო დანიშნულების ფუქნციას ასრულებს.

5. **მადათაფას ტბის ალკვეთილი** მდებარეობს ზ.დ. 2,107 მ-ის სიმაღლეზე (იხ. დანართი 2). ტბის წყალშემკრები აუზის ფართობი 136 კმ²-ია, რომელიც ჩრდილოეთით ვულკანური წარმოშობის მადათაფას მთას ესაზღვრება. ტბის წყლის სარკის ზედაპირი 8.78 კმ², წყლის ტევადობა კი 9,658.0 მ³-ია. მაქსიმალური სიღრმეა 1.7 მ (საშუალო სიღრმეა – 1.1 მ). ტბა მდ. ფარავნის აუზის ნაწილს წარმოადგენს. მდ. მადათაფა (კოჩხი) მდ. ბულდაშენის შენაკადია და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ჩაედინება ტბაში (ხოლო მდ. ბულდაშენი მდ. ფარავნის მარცხენა შენაკადია). ტბის აუზის ჰიდროგრაფიული ქსელი არ არის სათანადოდ განვითარებული. აუზში არ არის

მუდმივი დინება. ტბა მარაგდება ეფემერული დინებებით, რომლებიც წარმოიშობა თოვლის დნობის და ზედაპირული ჩამონადენის შედეგად. ყველაზე გრძელი ეფემერული დინება არის კიურინჩაი (17.4 კმ). ეფემერულ დინებებს, რომლებიც მადათაფას მთის დასავლეთ ფერდობებიდან ჩამოედინებიან დიდი რაოდენობით დანალექი მოაქვთ (გამოფიტული კლდოვანი მასალა და ნიადაგი), რომლებიც ტბის ფსკერზე ილექება, რის შედეგადაც მცირდება წყლის სიღრმე და იზრდება წყალმცენარეების ფენა. ტბის წყალი უფრო სუფთა გახდა 1990 წ. დასაწყისში, მას შემდეგ, რაც შინაური ცხოველების რაოდენობა შემცირდა, ტბის წყალშემკრებ ზონაში აზოტით დაბინძურების დონემ დაიკლო და მოიმატა მაკროფიტების რაოდენობამ. ტბის სამხრეთი ნაწილი დაფარულია მაკროფიტების მყარი ფენით ზაფხულის შუა პერიოდამდე. ზამთარში ტბა იყინება ფსკერამდე. გაყინვა იწყება შუა ნოემბერში და ყინული მთლიანად დნება აპრილში – ადრე მაისში. ტბის წყლის ქიმიურ-ბიოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ ჟანგბადის შემცველობაა – 0.22 მგ/ლ, აზოტისა – 1.8 მგ/ლ და ქლოროფილის – 80 მგ/ლ. ტბაში სინათლის შეღწევადობის დონე ძალიან დაბალია. ზამთარში ტბა მოლურჯო-მოყავისფრო ფერისაა.

6. **ბულდაშენის ტბის ალკვეთილი** მდებარეობს ზ.დ. 2,040 მ სიმაღლეზე (იხ. დანართი 2). ტბის წყალშემკრები აუზის ფართობი 61.5 კმ², ხოლო წყლის ზედაპირის ფართობი 0.39 კმ²-ია. წყლის მოცულობა 164,600 მ³-ს უდრის. ტბა უკიდურესად მეჩხერია: მაქსიმალური სიღრმეა 0.9 მ, საშუალო სიღრმე – 0.4 მ. ტბა მარაგდება „სასაზღვრო მდინარით“ (ადგილობრივი სახელწოდება), ხოლო ტბიდან გადინება ხდება მდ. ბულდაშენის საშუალებით, რომელიც მდინარე ფარავნის მარცხენა შენაკადია. მდ. „სასაზღვრო“ (18.3 კმ) და მისი პატარა შენაკადები ჩილდირის მთებიდან (2,750 მ ზ. დ.) ჩამოედინებიან. ბულდაშენის ტბას აქვს შედარებით მაღალი მიწისქვეშა-შედენა. წყლის ყველაზე მაღალი დონე მაისში, თოვლის დნობის დროს და ძლიერი წვიმების პერიოდში აღინიშნება. წყლის დონე ყველაზე დაბალია თებერვალში. წყლის დონის მერყეობა/ცვალებადობა 80 სმ უდრის. ზამთარში ტბა იყინება, რაც ხუთ თვეს გრძელდება.

7. **სულდის ჭაობის ალკვეთილი** მდებარეობს სოფელ სულდიდან 2.5 კმ-ის დაშორებით არსებულ ხეობაში/ბარში (იხ. დანართი 2). დასავლეთით მას ესაზღვრება მურდკვალის ქედი, სამხრეთით – სოფელი ბოზალი, აღმოსავლეთით – სოფელი სულდა და ჩრდილოეთით – სოფელი მიასნიკიანი. ჭარბტენიანი ტერიტორიები უმეტესად მარაგდებიან ინფილტრაციული წყლით, ბუნებრივი ნაკადულებით და მოსაზღვრე მთის ფერდობებიდან ზედაპირული ჩამონადენით. ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან ჩადენა ჩრდილოეთის მიმართულებით ხდება, სადაც გადენა კონტროლირდებოდა პატარა, ამჟამად არაფუნქციონირებადი კაშხლით. ვრცელი ჭარბტენიანი ტერიტორიები, სადაც გვხვდება ჭაობები, ტენიანი დაბლობები, მდინარეები, დინებები, ნაკადულები და პატარა ტბა, წარმოადგენენ ხუჭუჭა ვარხვის (*Pelecanus crispus*), თეთრი ვარხვის (*Pelecanus onocrotalus*), თეთრი ყარყატის (ლაკლაკის) (*Ciconia ciconia*), იშხვარის, ანუ შავი ყარყატის (*Ciconia nigra*), თეთრი ყანჩების (*Egretta alba*) და იხვების (*Anas spp.*) მრავალი სახეობების, მტაცებელი ფრინველების, ღალღას (*Crex crex*), მელიტას (*Fulica atra*), ყანჩას მრავალი სახეობის, თოლიების და ბელურების სახეობების ჰაბიტატს.-ის ქმნის ფრინველებზე დაკვირვების შესანიშნავ შესაძლებლობებს ჭარბტენიანი ტერიტორიის მოსაზღვრე ფერდობებიდან დასავლეთის მიმართულებით, განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე ფრინველთა მიგრაციის დროს. სულდის ჭარბტენიანი ტერიტორიები ჯავახეთის დაცული ტერიტორიების სხვა ოთხი

აღკვეთილის მსგავსად, წარმოადგენს ჯავახეთის პოტენციური რამსარის ობიექტების ნაწილს.

8. **კარწახის ტბის აღკვეთილი** მდებარეობს სოფლებს კარწახსა და ფილიპოვკას შორის (იხ. დანართი 2). იგი მარაგდება პატარა ნაკადულებით და გარშემო არსებული მთების ზედაპირული ჩამონადენით, მისი დრენირება ხდება ხელოვნური არხის მეშვეობით, რომელიც სოფელ კარწახის გავლით კარწახის ტბაში ჩაედინება.

9. **თეთრობის აღკვეთილი** ზ.დ. 2,605 მ სიმაღლეზე მდებარეობს, ვიზიტორთა ცენტრიდან 25-30 კმ-ის დაშორებით (იხ. დანართი 2).

10. **ფარავნის ტბის აღკვეთილი** – საქართველოში სარკის ფართობით ყველაზე დიდი ფარავნის ტბა მდებარეობს ზღვის დონიდან 2073.5 მ-ზე, ტბა გამდინარეა სამხრეთ ნაწილში მისგან გაედინება მდ. ფარავანი, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი, აუზის ფართობი შეადგენს 234 კმ² (ტბის ფართობის გარეშე). ტბას უკავია ფარავნის დეპრესიის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც მდებარეობს დასავლეთით სამსარის და აღმოსავლეთით ჯავახეთის ქედებს შორის. ჩრდილოეთით ტბის აუზი გამოყოფილია ქცია-ხრამის აუზიდან ვულკანური ქედით, რომელიც აერთიანებს სამსარისა და ჯავახეთის ქედების ჩრდილოეთ ნაწილებს. სამსარის ქედი გადაჭიმულია ორი მერიდიანული ციკაბო ფერდობიანი ჩამქრალი ვულკანური კონუსების რიგით, რომელთა სიმაღლე აღემატება 3000 მეტრს (დიდი აბული 3301 მ, გოდორები 3188 მ, სამსარი 3285 მ), აღმოსავლეთით განლაგებულია ჯავახეთის ქედი, რომლის უფრო დაბალი, დასავლეთ ფერდობი ეშვება ფარავნის ტბისაკენ, მსგავსად სამსარის ქედისა, ეს მონაკვეთიც ხასიათდება თანაბრად მაღალი დანაწევრებით, აქ მშრალი ნაკადები ქმნიან უფრო ღრმა ხეობებს. ნიადაგურ-მცენარეული საფარი აუზში ერთგვაროვანია, მაგრამ ვერტიკალური ზონალობა კარგად არის გამოხატული. ძლიერ დანაწევრებული ლავები, რომლითაც წარმოდგენილია აუზი და შედარებით მშრალი კლიმატი განაპირობებს მცირედ განვითარებულ ჰიდროგრაფიულ ქსელის არსებობას, ფარავნის ტბაში ჩაედინება სამი მუდმივი შენაკადი და ბევრი დროებითი ნაკადი. დროებითი ნაკადების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ჯავახეთის ქედის დასავლეთი ფერდობი, შედარებით მცირე რაოდენობით ჩამოედინება სამსარის ქედის აღმოსავლეთ ფერდობიდან. მდინარე ფარავნის აუზში სამსარის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე არის რამდენიმე მცირე ტბა, აუზის ტბიანობის კოეფიციენტი შეადგენს 0.15-ს. ტბის ქვაბული წარმოშობილია ახალგაზრდა ლავური ნაკადების ჩაქცევით, რომლებიც ეშვებიან სამსარის ქედის დასავლეთიდან, როცა სამსარის ქედის ვულკანები ჯერ კიდევ მოქმედებდნენ. ეს მოხდა პლეისტოცენში. ჩამოყალიბდა ფართო და ღრმა ქვაბული, რომელიც სავსეა ტბიური ნაფენების შედეგებით, რაზედაც მეტყველებს ტბიური ნაფენების დიდი სიმძლავრე ტბის ფსკერზე. ტბას გეგმაში აქვს ოვალური ფორმა, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილო აღმოსავლეთიდან სამხრეთ დასავლეთისაკენ. სანაპირო ხაზი სუსტად არის დანაწევრებული, სანაპირო ზონის განვითარების კოეფიციენტი შეადგენს 1.27-ს. განსაკუთრებული შეჭრილობით გამოირჩევა ტბის დასავლეთი ნაწილი სოფ. ასპარას და ფოკას შორის ამ მონაკვეთზე არის 3 ყურე, ხმელეთში სუსტად შეჭრილი და ერთი ქვიანი ნახევარკუნძული, ხოლო სხვა დანარჩენი ნაწილი თითქმის სწორხაზოვანია, სუსტად დანაწევრებული. ტბის ნაპირები ძირითადად კარგად არის განვითარებული. სანაპირო ზონა ჩრდილო-აღმოსავლეთით, აღმოსავლეთით და ასპარის ყურის დასავლეთით წარმოადგერს პლიაჟს, ზოგან 2-3 მ სიგანის ქვიშნართა და კენჭით. ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ტბას ებჯინება სუსტად დაჭაობებული ტერიტორიები. ამ ადგილებში ნაპირი დაბალია

და დამრეცია, აღმოსავლეთ სანაპიროც არ არის მაღალი. ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. ახალ ყულმუგოსთან და სამხრეთით სოფ. ფოკას ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაპირები ციცაბოა. ციცაბო ფერდობები სოფ. ტამბოვკასა და ასპარას შორის ზოგან დარღეულია შედარებით ნაკლებად ციცაბო ადგილებით. ამ მონაკვეთებში ტბას უერთდება რამოდენიმე წყარო, რომლითაც ასევე იკვებება ფარავნის ტბა. ტბის ზედაპირი თითქმის სწორია. დადაბლებულია ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, წყალქვეშა ფერდის აღმოსავლეთი ნაწილი დამრეცია, ხოლო დასავლეთი უფრო ციცაბო. ყველაზე ღრმა ადგილი (3 მ-ზე მეტი) არის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ახლოს დასავლეთ სანაპიროსთან, ასპარის ყურის აღმოსავლეთით. ფსკერი დაფარულია წვრილი ქვიშითა და წვრილი კენჭით, შუა ნაწილში ნაცრისფერი ლამით. აღმოსავლეთ სანაპიროდან 0.5 კმ-ში ტბიური ნალექების სიმძლავრე შეადგენს 90 მ-ს. მიუხედავად ტბის მცირე სიღრმისა, წყლისა და წყლის მოყვარული მცენარეულობა ტბაში სუსტადაა განვითარებული, რაც გამოწვეულია ძლიერი ქარებით და ღელვისგან დაცული ყურეების არ არსებობით.

11. **საღამოს ტბის ადკვეთილი** მდებარეობს ჯავახეთს ვულკანური მთიანეთის სამხრეთ ნაწილში, 1996 მ სიმაღლეზე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. მდინარე ფარავნის აუზში, ტბაში ჩაედინება და გამოედინება მდინარე ფარავანი. წყალშემკრები აუზი მოიცავს სამსარის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებს და ჯავახეთის ქედის დასავლეთ ფერდობს და ფართობია 528 კმ². აუზის დიდი ნაწილი უკავია საშუალომთიან და მაღალმთიან ვულკანურ ქედებს, სუსტად დანაწევრებული (დასერილი) ვულკანური ფერდობებით. დასავლეთით მერიდიანულად გასდევს სამსარის ქედი, რომელიც შედგება ორი პარალელური ვულკანური წყებისაგან, რომლის სიმაღლეები აღწევს 2800-3300 მ (მთა დიდი აბული 3301 მ და მთა სამსარი 3285 მ) აღმოსავლეთით განლაგებულია ჯავახეთის ქედი შედარებით უფრო დაბალი და უფრო ციცაბო. ქედის სიმაღლეები აღწევს 2800-3000 მ მეტს (მთა ემლიკლი 3055 მ). ქედის დასავლეთი ფერდობი დასერილია დროებითი წყლის ნაკადებით. ვულკანური წყების ჩრდილოეთი ნაწილი ერთმანეთისაგან ყოფს ფარავნისა და ქცია-ხრამის აუზებს და აერთებს სამსარისა და ჯავახეთის ქედებს. ამ ქედებს შორის განლაგებულია ფარავნის ქვაბული, რომლის ფართო ნაწილი უჭირავს თვით ტბა ფარავანს. ტბა საღამოს აუზში მდინარეთა ქსელი განვითარებულია სუსტად თითქმის ერთადერთი მუდმივი მდინარე ეს არის ფარავანი, რომელიც სათავეს იღებს ტბა ფარავნიდან, ჩაედინება საღამოს ტბაში და გაედინება მისგან. აღნიშვნის ღირსია ორი უმნიშვნელო მდინარე შაშკე და საბადოსწყალი. აუზში ბევრია დროებითი წყლის ნაკადები, რომლებიც ძირითადად ყალიბდებიან გაზაფხულზე თოვლის დნობის შედეგად. აუზში ასევე ბევრია წყაროები, რომლებიც გამოედინებიან ტბის სანაპიროზე. მაგრამ ამ წყაროებსაც პერიოდული სახე აქვს. აუზის ტერიტორიაზე განლაგებულია ტბა ფარავანი, ბევრია სხვა ტბებიც. ამიტომ აუზის გატბიანების კოეფიციენტი შეადგენს 0.16-ს. ტბა საღამოს უკავია სამკუთხა ქვაბულის ყველაზე დაბალი ნაწილი და ყველა მხრიდან გარშემორტყმულია ვულკანური ამაღლებებით სიმაღლით 180-350 მ. ამ ქვაბულის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ტექტონიკურ რყევებთან. ტბას გეგმაში აქვს ტრაპეციის ფორმა. ჩრდილოეთის ნაწილი უფრო ფართოა, ვიდრე სამხრეთის (სანაპირო ხაზი სუსტად არის დანაწევრებული (სანაპირო ხაზის განვითარების კოეფიციენტი 1.46-ია) ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაპირები უფრო მეტად არის შეჭრილი, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი, მაგრამ ხმელეთში ღრმად შესული ყურეები მაინც არ არის. ტბის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში არის ღრმა ყურე, საიდანაც

გამოედინება მდინარე ფარავანი. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ტბაში ჩაედინება მდინარე ფარავანი, რომელიც წარმოშობს დელტას და იქვე ახლოს განლაგებულია პატარა კუნძული. სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები აგებულია ანდეზიტური ლავებით და არის მაღალი და ციცაბო, ზოგან ჩაწეული, ჩრდილოეთით საშუალო სიმაღლის ნაპირია, ხოლო სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაპირი დაბალი. ტბის აღმოსავლეთ სანაპიროსთან სოფელ საღამოსთან საავტომობილო გზის ქვემოთ ლავის ნაპრალიდან გამოედინება ორი მძლავრი წყარო. ტბის რელიეფი ძირითადად ბრტყელია და მარტივი. ფსკერის ერთფეროვნება უმნიშვნელოდ ირღვევა მიწისქვეშა ღარით, გაედინება სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ. ტბის ამ ნაწილში აღინიშნება უდიდესი სიღრმე. მიწისქვეშა ფერდობები ციცაბოა. ტბის გრუნტი მდინარე ფარავანის ჩადინების რაიონში შედგება სილისაგან და სილოვანი ლამისაგან მცენარეული ნარჩენებით. ჩრდილო-დასავლეთ ყურეში ერთ მეტრ სიმაღლეზე გრუნტი შედგება ლამისაგან მასიური ორაგანული ნარჩენებით. ორ მეტრ სიღრმეზე გრუნტს აქვს შეფერილობა რუხიდან მუქ-რუხისკენ, მცენარეული ნარჩენები უმნიშვნელოა. ფარავანის შესართავში ლამს აქვს შავი შეფერილობა. წყლისა და წყლის მოყვარული მცენარეულობა ტბაში განვითარებულია სუსტად. ისინი გვხვდება ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში და ფარავანის დელტის რაიონში.

12. **აბულის ტბის აღკვეთილი** მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სამსარის ქედზე, მთა პატარა აბულის დასავლეთ ფერდობზე, მაქსიმალური სიღრმე – 1.4 მ. ტბას არ აქვს მუდმივი შენაკადები. ტბის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კუნძულები მნიშვნელოვანია ფრინველთა გამრავლებისა და ბუდობისათვის. ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოსახულია ყინვითი გამოფიტვის პროდუქტებისაგან (ლოდნარისაგან) მოფენილი ფერდობები და ქედის ფერდობებზე ლოდნარებით მოვაკებულ ზედაპირები – „ქვათა ზღვები“, ლოდნართა ზღვებით მოფენილია სამსარის ქედის ვულკანთა კალთები და ძირი, რომელიც შედგენილია ძველი მყინვარების მორენული მასალით და გამყინვარების შემდგომი ხანის პერიგლაციალურ (მყინვარისპირა) ნაფენებით.

მუხლი 8. დაცული ტერიტორიების მდებარეობა ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში

1. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიას (ჯდტ) მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა აქვს, როგორც ქვეყნის ისე რეგიონის და ტრანსსასაზღვრო მდებარეობის თვალსაზრისით. ჯდტ მდებარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე ბათუმიდან გოდერძის უღელტეხილის ზევით და ახალციხისა და წალკის გავლით თბილისამდე. დაცული ტერიტორიები IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით საქართველოს სხვადასხვა კატეგორიის 93 დაცული ტერიტორიის შემადგენლობაშია. კერძოდ, ჯავახეთის ეროვნული პარკი 13-დან ერთ-ერთი ეროვნული პარკია. ხოლო კარწახის ჭაობის, სულდის ჭაობის, ხანჩალის ტბის, ბუღდამენის ტბის, მადათაფას ტბის და თეთრობის აღკვეთილები კი შედის საქართველოში არსებული 23 აღკვეთილის ნუსხაში. დაცული ტერიტორიების გარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაარსებულია ბორჯომ-ხარაგაული ეროვნული პარკის ნაწილი, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი, გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი და 2 აღკვეთილი (ნეძვის და ქცია-ტაბაწყურის) (დანართი 3: დაცული ტერიტორიის მდებარეობა რეგიონულ ჭრილში).

2. ჯავახეთის ეროვნული პარკი (ჯეპ) წარმოადგენს უნიკალურ რეგიონს საქართველოში თავისი ბუნებრივი და სოციალური გარემოთი. იგი მდებარეობს მცირე

კავკასიონზე, საქართველოს, სომხეთისა და თურქეთის „3 ქვეყნის სამკუთხედზე“. ჩრდილოეთით მას თრიალეთის ქედის კალთები საზღვრავს და სამხრეთით აბულ-სამსარისა და ჯავახეთის ქედები, რომლებიც თანდათანობით გადადიან თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ზეგანში („ჩილდირის“ ტბის ტერიტორია). დასავლეთით ჯავახეთის ზეგანს ესაზღვრება მდ. მტკვრის ღრმა ხეობა. ჯავახეთის ეროვნული პარკი უმეტესად მთიანია და სამხრეთიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზით არის შემოსაზღვრული (სხვა მიმართულებით საზღვრის ხაზი მთების კალთებზე გადის – ტერიტორიაზე არსებული მიწათსარგებლობის და მიწაზე საკუთრების ფორმების გათვალისწინებით); ხოლო ტბები და ჭაობები, ცალკეულ „კუნძულებად“, განლაგებულია პლატოზე ან პლატოებზე მონაკვეთებზე, ეროვნული პარკის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საზღვრებიდან 1-16 კმ რადიუსში.

მუხლი 9. დაცული ტერიტორიების ისტორია

1. 2011 წლის მარტში „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ორი მუნიციპალიტეტის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის ტერიტორიებზე შეიქმნა ჯავახეთის დაცული ტერიტორიები. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის წილი შეადგენს 64%-ს (კარწახისა და სულდას ტბის აღკვეთილები), ხოლო 36% მიეკუთვნება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს (ხანჩალის, ბუღდაშენისა და მადათაფას ტბის აღკვეთილები). ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებს შემდგომში დაემატა თეთრობის აღკვეთილიც (ახალქალაქის მუნიციპალიტეტში).

2. ჯავახეთის დაცული ტერიტორიები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ჯავახეთის ეროვნული პარკი, კარწახის ჭაობის აღკვეთილი, სულდას ჭაობის აღკვეთილი, ხანჩალის ტბის აღკვეთილი, ბუღდაშენის ტბის აღკვეთილი, მადათაფას ტბის აღკვეთილი, თეთრობის აღკვეთილი, ფარავნის ტბის აღკვეთილი, საღამოს ტბის აღკვეთილი და აბულის ტბის აღკვეთილი.

3. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება მოხდა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მხარდაჭერით. პროექტს 2009 წლიდან ახორციელებდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) – გერმანია და კავკასიის პროგრამ-ოფისი. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი იყო 2,250 000 ევრო.

4. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მთავარი მიზანია დაიცვას ჯავახეთის მთიანი ეკოსისტემებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების წარმომადგენლობითი ფართობები. ეროვნული პარკისაგან გამოყოფილი ტბებისა და ჭაობების დაცვის მიზნით შეიქმნა აღკვეთილები.

5. „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი ამოცანები ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში შემდეგია:

ა) უზრუნველყოს სამხრეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების, ბიოტიპებისა და მათი ცალკეული კომპონენტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

ბ) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული ჯავახეთის ზეგნის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიებისა და ჰაბიტატების დაცვასა და აღდგენას;

გ) უზრუნველყოს მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და ამ

რესურსებით რაციონალური სარგებლობა; ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება; ვულკანური წარმოშობის ბუნებრივი წყლის ობიექტების (ტბების) ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და მათზე მონიტორინგის განხორციელება;

დ) ხელი შეუწყოს ბუნებრივ და ადამიანის მიერ სახეცვლილ გარემოში რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

6. 2014 წლის ნოემბერში დამტკიცდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა (2014-2019).

7. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მომზადდა პროექტი ჯავახეთის დაცული ტერიტორიის გაფართოებასთან დაკავშირებით. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების გაფართოების შესაძლებლობის კვლევის (ანგარიში მომზადდა თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის მიერ WWF-ის სამხრეთ კავკასიის პროგრამულ ოფისთან 2016 მარტს დადებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე) მიხედვით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი ჯავახეთის დაცული ტერიტორიების გაფართოებასთან დაკავშირებით, რომელიც 2021 წლიდან შევიდა ძალაში (შეიქმნა ფარავნის ტბის აღკვეთილი, სადამოს ტბის აღკვეთილი და აბულის ტბის აღკვეთილი).

მუხლი 10. გეოლოგია და ჰიდროლოგია

1. გეოლოგია:

ა) გეოლოგიურად ჯავახეთის მთიანეთი შედგება მიოცენის, ზედა პლიოცენის და პლეისტოცენის პერიოდების ვულკანური მასალისგან (ანდეზიტი, დაციტი და სხვ.). უძველეს შრეებს წარმოადგენს ზედა პალეოზოური პერიოდის გრანიტები და დიორიტები. თანამედროვე ალუვიალურ-პროლუვიალური, ტბის პროლუვიალური და ტბის ალუვიალური ნალექები გაბნეულია ფართო ტერიტორიებზე;

ბ) ტერიტორიის გეომორფოლოგიაზე ზეგავლენას ახდენს ტექტონიკური მოქმედება, ტემპერატურის მერყეობა და ქართა და წყლით გამოწვეული ეროზია. ჯავახეთის მთიანეთში ხშირად გვხვდება პერიგლაციალური ფორმები, როგორცაა ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი და სხვ. ჯავახეთის მთიანეთის სამხრეთი ნაწილი წარმოადგენს ზ.დ 2,500-2,800 მ სიმაღლის ლავურ ზეგანს, სადაც ყველაზე მაღალია კონუსისებური მთა (ჩამქრალი ვულკანი) ელმიკლი (3,053 მ).

2. ჰიდროლოგია: ჰიდროლოგიურ თავისებურებებს მეტწილად განსაზღვრავენ ჯავახეთის ვულკანური მთები და ლავის ფენა, რომელიც აქ ფარავს თითქმის მთელ ტერიტორიას. ექვსი ბუნებრივი ტბა (ზედაპირის ფართობით 1 კვ.კმ და მეტი) და 60-ზე მეტი პატარა ტბა გაბნეულია მთელ ჯავახეთის ზეგანზე. ყველა ტბა წარმოიშვა ვულკანური მოქმედებების შედეგად. ტბების ზედაპირის საერთო ფართობი ჯავახეთის მთიანეთში აჭარბებს 96 კვ.კმ-ს, ხოლო თუკი ჩავთვლით დაჭაობებულ და დროებით ჭარბტენიან ტერიტორიებსაც – აღწევს 144 კვ.კმ-ს (ჯავახეთის მთიანეთის ტერიტორიის 5.5%). ტბები, ჩვეულებრივ, მეჩხერია – 3 მ მაქსიმალური სიღრმით. კოლხეთის დაბლობის შემდეგ, ჯავახეთის მთიანეთს მეორე ადგილი უკავია ჭარბტენიანი ადგილების კონცენტრაციით საქართველოში; ხოლო კავკასიის მთიანეთში – პირველი ადგილი. ამასთან, ჯავახეთის ზეგანი ითვლება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყალშემკრებ და წყლით მომმარაგებელ მხარედ.

3. კარწახის ტბა:

ა) კარწახის ტბის წყლის ქიმიური და ფიზიკური პარამეტრები შემადგენლობა შესწავლილია უხერხემლოთა კვლევითი ცენტრის მიერ;

ბ) კარწახის ტბის წყალს ზოგადად აქვს კარგი ორგანოლექტიკური მახასიათებლები, არის საკმაოდ გამჭვირვალე (წყლის გამჭვირვალობა აღწევს 90 სმ სიღმეში), არ აქვს მკვეთრი სუნი და გემო. წყალს აქვს საკმაოდ მაღალი ტუტე რეაქცია (9,7; 9,98). მინერალიზაცია მცირედ აღემატება საშუალო სიდიდეს, საშუალო სიხისტისაა (7,4; 7,8), არაორგანული დამაბინძურებლების (ამონიუმი, ნიტრიტი, ნიტრატი) კონცენტრაცია საკმაოდ დაბალია; ორგანული დამაბინძურების მაჩვენებლები (პერმანგანატული და ბიქრომატული ჟანგვადობები, ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარება – BOD) ნორმის ფარგლებშია. არაორგანული მარილების რაოდენობა აღემატება ორგანული მარილების რაოდენობას და არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს;

გ) არაორგანული მარილებიდან ჭარბობს კალციუმის და მაგნიუმის ჰიდროკარბონატები. ჟანგბადით გაჯერებულობა 65-70%-ია. წყალბადმაჩვენებლის (pH) და გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაციას შორის დგინდება წრფივი დამოკიდებულება, ასეთივე დამოკიდებულებაა წყალბადმაჩვენებელსა და ჟანგბადით გაჯერებულობას (%) შორის. აღნიშნული კომპონენტების კორელაციის ხარისხი 31,2%-ია;

დ) მიუხედავად წყლის ნორმალური მაჩვენებლებისა, კარწახის ტბის წყალი ხასიათდება მაღალი ტუტე რეაქციით, რაც ზოგადად მიუთითებს წყლის ეუტროფიკაციაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადად წყლის დამაბინძურების დონე (ორგანული და არაორგანული) არაა მაღალი, წყლის ტუტე რეაქცია შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჩამდინარე წყლების ქიმიასთან და პირდაპირ არ წარმოადგენდეს ეუტროფიკაციის შედეგს. მეორე მხრივ კი, კარწახის ტბის ჩრდილოეთ ნაწილში ძლიერ განვითარებული სანაპიროს მცენარეულობა, დაჭაობება და ასევე ინტენსიურად განვითარებული წყლის მცენარეულობა მიანიშნებს კარწახის ტბის ევტროფიკაციის ინტენსიურობაზე ტბის ჩრდილოეთ ნაწილში;

ე) კარწახის ტბის წყლის გამჭვირვალობის და მჟავიანობის შედარება ჯავახეთის სხვა ტბებთან (ცხრილი 2) აჩვენებს რომ კარწახის ტბა ნაკლებად დაბინძურებულია შეტივენარებული მასით, ნაკლები რაოდენობითაა უმდაბლესი წყალმცენარეების მასა მოცულობის ერთეულზე, მაშინ როდესაც წყლის მჟავიანობა მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ტბების მჟავიანობას. კარწახის ტბა ამჟამად წარმოადგენს სტრესულ გარემოს წყლის ცხოველებისთვის, რაც ნაკლებად სტაბილური ეკოსისტემის არსებობაზე მიუთითებს. *ცხრილი 2: კარწახის ტბის მჟავიანობის და გამჭვირვალობის შედარება ჯავახეთის ზეგანის სხვა ტბებთან*

	კარწახი	მადათაფა	სალამო	ხანჩალი
მაქსიმალური გამჭვირვალობა	0.9	0.4	0.4	0.3
მჟავიანობა	9.98	8.48	9.1	8.16

ვ) ფარავნის ტბა საქართველოში სარკის ფართობით ყველაზე დიდი ტბაა და მდებარეობს ზღვის დონიდან 2073.5 მ-ზე, ტბა გამდინარეა სამხრეთ ნაწილში მისგან გაედინება მდ. ფარავანი, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი, აუზის ფართობი შეადგენს 234 კმ² (ტბის ფართობის გარეშე). ტბას უკავია ფარავნის დეპრესიის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც მდებარეობს დასავლეთით სამსარის და აღმოსავლეთით ჯავახეთის ქედებს შორის. ჩრდილოეთით ტბის აუზი გამოყოფილია ქცია-ხრამის აუზიდან ვულკანური ქედით, რომელიც აერთიანებს სამსარისა და ჯავახეთის ქედების

ჩრდილოეთ ნაწილებს. სამსარის ქედი გადაჭიმულია ორი მერიდიანული ციკაბო ფერდობიანი ჩამქრალი ვულკანური კონუსების რიგით, რომელთა სიმაღლე აღემატება 3000 მეტრს (დიდი აბული 3301 მ, გოდორები 3188 მ, სამსარი 3285 მ), აღმოსავლეთით განლაგებულია ჯავახეთის ქედი, რომლის უფრო დაბალი, დასავლეთ ფერდობი ეშვება ფარავნის ტბისაკენ, მსგავსად სამსარის ქედისა, ეს მონაკვეთიც ხასიათდება თანაბრად მაღალი დანაწევრებით, აქ მშრალი ნაკადები ქმნიან უფრო ღრმა ხეობებს.

ნიადაგურ-მცენარეული საფარი აუზში ერთგვაროვანია, მაგრამ ვერტიკალური ზონალობა კარგად არის გამოხატული. ძლიერ დანაწევრებული ლავები, რომლითაც წარმოდგენილია აუზი და შედარებით მშრალი კლიმატი განაპირობებს მცირედ განვითარებულ ჰიდროგრაფიულ ქსელის არსებობას, ფარავნის ტბაში ჩაედინება სამი მუდმივი შენაკადი და ბევრი დროებითი ნაკადი. დროებითი ნაკადების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ჯავახეთის ქედის დასავლეთი ფერდობი, შედარებით მცირე რაოდენობით ჩამოედინება სამსარის ქედის აღმოსავლეთ ფერდობიდან. მდინარე ფარავნის აუზში სამსარის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე არის რამდენიმე მცირე ტბა, აუზის ტბიანობის კოეფიციენტი შეადგენს 0.15-ს.

ტბის ქვაბული წარმოშობილია ახალგაზრდა ლავური ნაკადების ჩაქცევით, რომლებიც ეშვებიან სამსარის ქედის დასავლეთიდან, როცა სამსარის ქედის ვულკანები ჯერ კიდევ მოქმედებდნენ. ეს მოხდა პლეისტოცენში. ჩამოყალიბდა ფართო და ღრმა ქვაბული, რომელიც სავსეა ტბიური ნაფენების შედეგებით, რაზედაც მეტყველებს ტბიური ნაფენების დიდი სიმძლავრე ტბის ფსკერზე.

ტბას გეგმაში აქვს ოვალური ფორმა, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ დასავლეთისაკენ.

სანაპირო ხაზი სუსტად არის დანაწევრებული, სანაპირო ზონის განვითარების კოეფიციენტი შეადგენს 1.27-ს. განსაკუთრებული შეჭრილობით გამოირჩევა ტბის დასავლეთი ნაწილი სოფ. ასპარას და ფოკას შორის ამ მონაკვეთზე არის 3 ყურე, ხმელეთში სუსტად შეჭრილი და ერთი ქვიანი ნახევარკუნძული, ხოლო სხვა დანარჩენი ნაწილი თითქმის სწორხაზოვანია, სუსტად დანაწევრებული.

ტბის ნაპირები ძირითადად კარგად არის განვითარებული. სანაპირო ზონა ჩრდილო-აღმოსავლეთით, აღმოსავლეთით და ასპარის ყურის დასავლეთით წარმოადგენს პლიაუს, ზოგან 2-3 მ სიგანის ქვიშნარითა და კენჭით. ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ტბას ებჯინება სუსტად დაჭაობებული ტერიტორიები. ამ ადგილებში ნაპირი დაბალია და დამრეცია, აღმოსავლეთ სანაპიროც არ არის მაღალი. ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. ახალ ყულმუგოსთან და სამხრეთით სოფ. ფოკას ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაპირები ციკაბოა. ციკაბო ფერდობები სოფ. ტამბოვკასა და ასპარას შორის ზოგან დარღულია შედარებით ნაკლებად ციკაბო ადგილებით. ამ მონაკვეთებში ტბას უერთდება რამოდენიმე წყარო, რომლითაც ასევე იკვებება ფარავნის ტბა. ტბის ზედაპირი თითქმის სწორია. დადაბლებულია ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, წყალქვეშა ფერდის აღმოსავლეთი ნაწილი დამრეცია, ხოლო დასავლეთი უფრო ციკაბო. ყველაზე ღრმა ადგილი (3 მ-ზე მეტი) არის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ახლოს დასავლეთ სანაპიროსთან, ასპარის ყურის აღმოსავლეთით.

ფსკერი დაფარულია წვრილი ქვიშითა და წვრილი კენჭით, შუა ნაწილში ნაცრისფერი ლამით. აღმოსავლეთ სანაპიროდან 0.5 კმ-ში ტბიური ნალექების სიმძლავრე შეადგენს 90 მ-ს.

მიუხედავად ტბის მცირე სიღრმისა, წყლისა და წყლის მოყვარული მცენარეულობა

ტბაში სუსტადაა განვითარებული, რაც გამოწვეული ძლიერი ქარებით და ღელვისგან დაცული ყურეების არ არსებობით. ტბისა და მისი აუზის ძირითადი მორფომეტრიული მახასიათებლების წარმოდგენილია ცხრილში №1.

ზ) სალამოს ტბა მდებარეობს ჯავახეთს ვულკანური მთიანეთის სამხრეთ ნაწილში, 1996 მ სიმაღლეზე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. მდინარე ფარავნის აუზში, ტბაში ჩაედინება და გამოედინება მდინარე ფარავანი.

წყალშემკრები აუზი მოიცავს სამსარის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებს და ჯავახეთის ქედის დასავლეთ ფერდობს და ფართობია 528 კმ². აუზის დიდი ნაწილი უკავია საშუალომთიან და მაღალმთიან ვულკანურ ქედებს, სუსტად დანაწევრებული (დასერილი) ვულკანური ფერდობებით. დასავლეთით მერიდიანულად გასდევს სამსარის ქედი, რომელიც შედგება ორი პარალელური ვულკანური წყებისაგან, რომლის სიმაღლეები აღწევს 2800-3300 მ (მთა დიდი აბული 3301 მ და მთა სამსარი 3285 მ) აღმოსავლეთით განლაგებულია ჯავახეთის ქედი შედარებით უფრო დაბალი და უფრო ციცაბო. ქედის სიმაღლეები აღწევს 2800-3000მ მეტრს (მთა ემლიკლი 3055 მ)ო ქედის დასავლეთი ფერდობი დასერილია დროებითი წყლის ნაკადებით. ვულკანური წყების ჩრდილოეთი ნაწილი ერთმანეთისაგან ყოფს ფარავნისა და ქცია-ხრამის აუზებს და აერთებს სამსარისა და ჯავახეთის ქედებს. ამ ქედებს შორის განლაგებულია ფარავნის ქვაბული, რომლის ფართო ნაწილი უჭირავს თვით ტბა ფარავანს.

ტბა სალამოს აუზში მდინარეთა ქსელი განვითარებულია სუსტად თითქმის ერთადერთი მუდმივი მდინარე ეს არის ფარავანი, რომელიც სათავეს იღებს ტბა ფარავნიდან, ჩაედინება სალამოს ტბაში და გაედინება მისგან. აღნიშვნის ღირსია ორი უმნიშვნელო მდინარე შამკე და საბადოსწყალი. აუზში ბევრია დროებითი წყლის ნაკადები, რომლებიც ძირითადად ყალიბდებიან გაზაფხულზე თოვლის დნობის შედეგად. აუზში ასევე ბევრია წყაროები, რომლებიც გამოედინებიან ტბის სანაპიროზე. მაგრამ ამ წყაროებსაც პერიოდული სახე აქვს.

აუზის ტერიტორიაზე განლაგებულია ტბა ფარავანი, ბევრია სხვა ტბებიც. ამიტომ აუზის გატბიანების კოეფიციენტი შეადგენს 0.16-ს. ტბა სალამოს უკავია სამკუთხა ქვაბულის ყველაზე დაბალი ნაწილი და ყველა მხრიდან გარშემორტყმულია ვულკანური ამაღლებებით სიმაღლით 180-350 მ. ამ ქვაბულის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ტექტონიკურ რყევებთან.

ტბა აქვს ტრაპეციის ფორმა, ჩრდილოეთის ნაწილი უფრო ფართოა, ვიდრე სამხრეთის (სანაპირო ხაზი სუსტად არის დანაწევრებული (სანაპირო ხაზის განვითარების კოეფიციენტი 1.46-ია) ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაპირები უფრო მეტად არის შეჭრილი, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი, მაგრამ ხმელეთში ღრმად შესული ყურეები მაინც არ არის. ტბის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში არის ღრმა ყურე, საიდანაც გამოედინება მდინარე ფარავანი. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ტბაში ჩაედინება მდინარე ფარავანი, რომელიც წარმოშობს დელტას და იქვე ახლოს განლაგებულია პატარა კუნძული.

სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები აგებულია ანდეზიტური ლავებით და არის მაღალი და ციცაბო, ზოგან ჩაწეული, ჩრდილოეთით საშუალო სიმაღლის ნაპირია, ხოლო სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაპირი დაბალი. ტბის აღმოსავლეთ სანაპიროსთან სოფელ სალამოსთან საავტომობილო გზის ქვემოთ ლავის ნაპრალიდან გამოედინება ორი მძლავრი წყარო.

ტბის რელიეფი ძირითადად ბრტყელია და მარტივი. ფსკერის ერთფეროვნება უმნიშვნელოდ ირღვევა მიწისქვეშა ღარით, გაედინება სამხრეთ-დასავლეთ და

სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ. ტბის ამ ნაწილში აღინიშნება უდიდესი სიღრმე. მიწისქვეშა ფერდობები ციცაბოა.

ტბის გრუნტი მდინარე ფარავნის ჩადინების რაიონში შედგება სილისაგან და სილოვანი ლამისაგან მცენარეული ნარჩენებით. ჩრდილო-დასავლეთ ყურეში ერთ მეტრ სიმაღლეზე გრუნტი შედგება ლამისაგან მასიური ორგანული ნარჩენებით. ორ მეტრ სიღრმეზე გრუნტს აქვს შეფერილობა რუხიდან მუქ-რუხისკენ, მცენარეული ნარჩენები უმნიშვნელოა. ფარავნის შესართავში ლამს აქვს შავი შეფერილობა.

წყლისა და წყლის მოყვარული მცენარეულობა ტბაში განვითარებულია სუსტად. ისინი გვხვდება ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში და ფარავნის დელტის რაიონში.

თ) აბულის ტბა მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სამსარის ქედზე, მთა პატარა აბულის დასავლეთ ფერდობზე, მაქსიმალური სიღრმე – 1.4 მ. ტბას არ აქვს მუდმივი შენაკადები. ტბის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კუნძულები მნიშვნელოვანია ფრინველთა გამრავლებისა და ბუდობისათვის. ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოსახულია ყინვითი გამოფიტვის პროდუქტებისაგან (ლოდნარისაგან) მოფენილი ფერდობები და ქედის ფერდობებზე ლოდნარებით მოვაკებულ ზედაპირები – „ქვათა ზღვები“, ლოდნართა ზღვებით მოფენილია სამსარის ქედის ვულკანთა კალთები და ძირი, რომელიც შედგენილია ძველი მყინვარების მორენული მასალით და გამყინვარების შემდგომი ხანის პერიგლაციალურ (მყინვარისპირა) ნაფენებით.

4. ნიადაგი:

ა) ჯავახეთის რეგიონის ფარგლებში გამოიყოფა ორი ნიადაგური ზონა: I. მთის ველების ნიადაგების ზონა, რომელიც ჯავახეთის ზეგნის მთის შავმიწების რაიონს მოიცავს; II. მთა-მდელოთა ნიადაგების ზონა, რომელიც ჯავახეთის ვულკანური ზეგნების მთა-მდელოთა ნიადაგების რაიონს მოიცავს;

ბ) ჯავახეთში, ზ.დ. 1,800-2,000 მ სიმაღლეზე თიხნარებზე და ბაზალტების გამოფიტვის პროდუქტებზე გაბატონებულია მთის შავმიწები. მაღლობებსა და ქედების ქვედა კალთებზე შავმიწისებრი და მთა-მდელოს ნიადაგებია გავრცელებული. შუა და ზედა კალთებზე მთა-მდელოს კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ქვესახეობები გვხვდება. მოსწორებულ ზედაპირებზე და პლატოების ჩადაბლებულ ადგილებში კი ხშირია მთა-მდელოს დაჭაობებული ნიადაგები;

გ) მორფოლოგიურად მთა-მდელოს ნიადაგები ხასიათდებიან მცირე ან საშუალო სიმძლავრის არადიფერენცირებული პროფილით, კარგად გამოხატული მუქი შეფერილობის გაკორდებული ჰუმუსოვანი ჰორიზონტით. სუბალპური ტყეების ქვეშ ხშირად ფორმირდება მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები;

დ) წყაროების, ტბებისა და მდინარეების მახლობლად მთა-მდელოთა ნიადაგების ჯგუფში ტორფიანი ნიადაგები აღინიშნება, რომლებიც ხასიათდება ზედაპირზე ტორფიანი ჰორიზონტის არსებობით, სუსტი სტრუქტურულობით, მექანიკური ფრაქციების შედარებით თანაბარი განაწილებით, თიხიანი ან თიხნარი მექანიკური შედგენილობით და სხვ.;

ე) მთის შავმიწები სამხრეთ საქართველოს ვულკანურ მთიანეთში ფართოდაა გავრცელებული. მათ უკავიათ ვაკე და მთიანი ზოლის ნაწილი ზ.დ. 1,200-დან 2,100-2,200 მ სიმაღლემდე. უფრო მაღლა მათ მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები ცვლის. მთის შავმიწების წარმოქმნა დაკავშირებულია მეორად გამდელოებასთან-სუბალპური

ტყეების უკან დახევის პროცესთან. მათი უმეტესი ნაწილი განვითარებულია ვულკანურ პლატოებზე. შავმიწების სარტყელი ხასიათდება ცივი ჰავით, მდელო-სტეპის მცენარეულობით (საბაშვილი, 1965).

მუხლი 11. კლიმატი

1. ჯავახეთის ზეგანი ხასიათდება მკაცრი, უმეტესად კონტინენტური ჰავით. ივლისის შუა რიცხვების საშუალო ტემპერატურა აქ 15°C ტოლია, განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებისგან, სადაც ამ პერიოდში ტემპერატურა აღწევს $22-25^{\circ}\text{C}$ -ს. ზამთრის ტემპერატურა შუა იანვარში საშუალოდ აღწევს $-8^{\circ}\text{C} - 10^{\circ}\text{C}$, როცა ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში იგი მერყეობს -2 -სა და $+5^{\circ}\text{C}$ შორის. ამ დროს ყინულის სისქე ტბებში 30-50 სმ-ია.

2. ჯავახეთის მთიანეთში ატმოსფერული ნალექების დონე დაკავშირებულია ზ. დ. სიმალლესთან. 2,000 მ-ზე დაბლა განლაგებულ ტერიტორიებზე ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 500-600 მმ-ს შორის. 2,000 მ-ზე მაღლა განლაგებულ ტერიტორიებზე (ჯავახეთის მთიანეთის ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილები) ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის დონე მერყეობს 600-700 მმ შორის, წვიმის პიკური რაოდენობით გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე.

3. ზეგანზე ყველაზე მკაცრი ჰავა ფიქსირდება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ვინაიდან მუნიციპალიტეტის 70% განლაგებულია ზ.დ. 2,000 მ მაღლა მაშინ, როცა ასეთივე სიმალლეზე მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მხოლოდ 30%. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი კი, ფაქტობრივად, განლაგებულია 2,400 მ-ზე მეტ სიმალლეზე. შესაბამისად, იანვრის და ივლისის საშუალო ტემპერატურა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, დაახლოებით, 2-4 გრადუსით ნაკლებია, ხოლო ნალექების წლიური რაოდენობა 100-200 მმ-ით მეტია, ვიდრე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. სწორედ ამ მიზეზის გამო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში უფრო მეტად აშენებენ პირუტყვს, ვიდრე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სადაც ძირითადად მოჰყავთ მარცვლეული და კარტოფილი.

მუხლი 12. ლანდშაფტები

1. ჯავახეთის მთიანეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ ნაწილში. გეოგრაფიულად იგი წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის ზეგნების უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილს. ჩრდილოეთით მას თრიალეთის ქედის კალთები საზღვრავს, აღმოსავლეთით და სამხრეთით – აბულ-სამსარის და ჯავახეთის ქედები, რომლებიც თანდათანობით გადადის თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ზეგანში (ჩილდირის ტბის მიდამოები). დასავლეთით ჯავახეთის ზეგანს მკვეთრად საზღვრავს მდ. მტკვრის ღრმა ხეობა. ზეგნის მთლიანი ტერიტორია, დაახლოებით, 700 კვ.კმ-ის ტოლია. მისი აბსოლუტური სიმალლე იცვლება 1,500 მ-დან 3,300 მ-მდე.

2. ვულკანური, რბილი ფორმების მრავალფეროვნება – პლატოები, კონუსები და გაქვავებული ლავური ღვარები და ამ ფორმებს მისადაგებული მცირე და საშუალო ზომის ვულკანური წარმოშობის ტბები მკვეთრად გამოარჩევენ ჯავახეთის ლანდშაფტს საქართველოს სხვა მხარეების ლანდშაფტებისაგან და, ასევე, განსაზღვრავს ამ ზეგნის მთლიანი ტერიტორიის – სომხეთისა (არპის ტბის მიდამოები) და თურქეთის (ჩილდირის ტბის გარშემო) ნაწილების ჩათვლით – პერცეფციულ უნიკალობას კავკასიის ეკორეგიონის ფარგლებში.

3. ტერიტორიაზე ძირითად წარმოდგენილია:

- ა) მაღალმთის (ფიჭვნარის ტყეები) მდელოებისა და სტეპების ლანდშაფტი ვულკანურ ზეგნებსა და მთის ფერდობებზე მთამდელოსა და მთის შავმიწა ნიადაგებით;
- ბ) მაღალმთის ვულკანური წარმოშობის ტბებისა და წყალჭარბი ტერიტორიების ლანდშაფტი.

მუხლი 13. ბიომრავალფეროვნება

1. ფლორა და მცენარეული საფარი

ა) ჯავახეთის მთიანეთში წარმოდგენილია მცენარეულობის შემდეგი ტიპები: ა) მთის ველები (მთის სტეპები) და მათი სახესხვაობები; ბ) სუბალპური და ალპური მდელოები; ბ) წყალჭაობის მცენარეულობა, ბორეალური (ჩრდილოეთის) ფლორის მრავალი სახეობით, რომელთა აქ დასახლება მეოთხეული პერიოდის გამყინვარების ეპოქას ემთხვევა; დ) არყნარ-დეკიანების ნაშთები, მაღალმთის ბუნებრივი წარმოშობის ფიჭვნარები და ხელოვნური (გაშენებული) ფიჭვნარები;

გ) მთის სტეპი საქართველოს მაღალმთაში მხოლოდ მცირე კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ჯავახეთის ვულკანურ მთიანეთშია კარგად წარმოდგენილი. ეს სტეპები მსგავსია სამხრეთ კავკასიასა და ირანის და თურქეთის მინდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული სტეპებისა. მთის სტეპები ძირითადად შექმნილია ველის წივანათი (*Festuca valesiaca*) და ვაციწვერას სახეობებით (*Stipa tirsia*, *S. capillata*). სტეპებში ვაციწვერას სახეობებთან ერთად ვხვდებით ცხვრის წივანას, ისლების და მარცვლოვან-ნაირბალახოვანი ფიტოცენოზების შესაბამის სახეობებს;

დ) წყალჭაობის (ჭარბტენიანი) მცენარეულობის ფიტოცენოლოგიური შინაარსი ძირითადად განსაზღვრულია ევრაზიული, წინააზიურ-კავკასიური და ევროპულ-ხმელთაშუაზღვიური სახეობებით, მათ შორის აღსანიშნავია ისლი – *Carex wiluica* (იგი განიხილება როგორც რელიქტური სახეობა). ჭარბტენიანი მცენარეულობა აზონალურია და იგი ფართო გავრცელებით ხასიათდება;

ე) ჯავახეთის მთიანეთში სუბალპური ტყის ნაშთები გვხვდება ზ.დ. 1,800-2,100 მ-ზე, კარწახის ტბის აღმოსავლეთით, ჩილდირის ქედის ჩრდილო ფერდობზე. ტყეს ქმნის არყი (*Betula litwinowii*) და ვერხვი (*Populus tremula*), რომელთაგან უფრო დიდი ფართობი ვერხვს უკავია. აქ ცირცელიც (*Sorbus aucuparia*) გვხვდება, მათ შორის ქვეტყეშიც. ქვეტყეს ქმნიან, ასევე, უზანი, შოთხვი, ჩიტაკომკა, კლდის და მთის მოცხარი, ასკილი, ჟოლო, აღმოსავლური კოწახური და მდგნალი. ზედა ზოლში, პარკის ტიპის არყნარებში ქვეიარუსს მაჯადვერის სახეობები ქმნის, თუმცა მათ მცირე ფართობი უკავია და ფრაგმენტულადაა გავრცელებული. კარწახის სუბალპური ტყის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა ვერტიკალურ ზოლში, ტანბრეცილი ვერვხვნარია, რაც იშვიათობას წარმოადგენს. სუბალპური ტყეების ზედა საზღვარზე (2,000-2,100 მ.ზ.დ.) არის ფიჭვის (*Pinus kochiana*) პოპულაცია, რომლის ასაკიც დაახლოებით 35-40 წელია. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ფიჭვის პოპულაცია და კარწახის სუბალპური ფოთლოვანი ტყეები აქ ერთად გვხვდება. ბუნებრივი წარმოშობის სუბალპური ტყის განახლება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. ეს ტყე თავისი ნიშანთვისებებით კავკასიის სუბალპური ტყეების სამხრეთულ ტიპს მიეკუთვნება. ამგვარი ტყე ჯავახეთის ზეგანზე საქართველოს ფარგლებში სხვაგან არ გვხვდება;

ვ) დაახლოებით 8,650 ჰა ხელოვნური ფიჭვნარი გაფანტულია ზეგნის სხვადასხვა ნაწილში; გარდა ამისა ახლადშემოერთებულ ტბა ფარავანის მიმდებარედ ტერიტორიაზე ხელოვნურად გაშენებული ფიჭვნარია. ფიჭვნარში (*Pinus sosnowskyi* N°akai) ერევა ტირიფი (*Salix alba* L.), ცირცელი (*Sorbus caucasigena* Komarov ex Gatsch.),

პანტა (*Pyrus caucasica* Fed.), მაჟალო (*Malus orientalis* Uglitzk.), არყი (*Betula* sp.) და მალაღმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*) [6].

ზ) დაცული ტერიტორიების სიახლოვეს საინტერესოა კლდე-ნაშალ-ღორღიანთა ფლორისტული კომპლექსი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აბულისა და ემლიკლისმთის მასივების ფლორა. ჯავახეთის ზეგანზე მხოლოდ აქ არის წარმოდგენილი სუბნივალური სარტყელი 3,000-3,300 მ-ის ფარგლებში. მიუხედავად ასეთი მცირე ჰიფსომეტრული დიაპაზონისა, ტიპური სუბნივალური სარტყლის ფლორის სიმდიდრე 60 სახეობას აღემატება, საიდანაც 20-25% კავკასიისა და ამიერკავკასიის ენდემებია;

თ) ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისათვის ახლად შემოერთებული ტერიტორიების ფლორა და ჯავახეთის მთიანეთში წარმოდგენილი ფლორის ენდემური და იშვიათი სახეობები წარმოდგენილია დანართი 4.1 და დანართი 4.2.-ში. ჯავახეთის რეგიონში გავრცელებულია 83 კავკასიის ენდემი და 8 საქართველოს ენდემური სახეობა. ჯავახეთში და ძირითადად თეთრობის აღკვეთილში არსებული ენდემური მცენარეების სახეობებიდან აღსანიშნავია: ყირიმის ასფოდელი – *Asphodeline Taurica*, მინდვრის ყვითელი ზამბახი (ვინოგრადოვის ზამბახი) – *Iridodictyum winogradowii* [(Fomin) Rodionenko]/(=*Iris winogradowii* [Fomin]), ცრუადმოსავლური ყაყაჩო – *Papaver pseudo-orientale* [(Fedde) Medw.], თეთრობის კრაზანა – *Papaver pseudo-orientale* [(Fedde) Medw.], ერდელის ბუჩქისძირა – *Corydalis erdelii* [Zucc.], ჯავახეთის ფამფარულა – *Scorzonera dzhavakhetica* [Sosn.], კეცხოველის ფამფარულა – *Senecio massagetovii* [Schischk.], კაზლოვსკის ფამფარულა – *Scorzonera koslovskyi* [Sosn.], მისაგეტოვის თავყვითელა – *Senecio massagetovii* [Schischk.], ანხონიუმი – *Anchonium elichrysifolium* [(DC.) Boiss.], ჯავახეთის ხმალა – *Gladiolus dzhavakheticus* [Eristavi];

ი) ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე გვხვდება ლოკალური ენდემი – 1 სახეობა, კავკასიის – 3 სახეობა და კავკასია-ანატოლიის რეგიონის 4 სახეობა, ეს სახეობები და მათი ჰაბიტატები IUCN-ის მიხედვით შეიძლება შეფასდეს როგორც გასაფრთხილებელი (EN) დაცვის ობიექტები. ჯავახეთის პირობითი ენდემი – ჯავახეთის ხმალა (*Gladiolus dzhavakhetica*). კავკასიის ენდემები: ვავილოვის ასტრაგალი (*Astragalus vavilovii*), რადეს ტკაცუნა (*Androsace raddeana*), რუპრეხტის ფურისულა (*Primula ruprechtii*). მცირე კავკასიონ-ანატოლიის ენდემები: კრინიცკის ერიზიმუმი (*Erysimum krinitzkii*), სომხეთის კრიალოსანა (*Hedysarum armenum*), ყაზბეგის ცრუ პირთეთრა (*Cerastium pseudo-kasbek*), სომხური სატილია (*Pedicularis armena*). იშვიათი გავრცელების სახეობებიდან აღსანიშნავია: *Grossheimia macrocephala*, *Ziziphora dzhavaxishvili*, *Arenaria stevaniana* და სხვა. რელიქტური სახეობებიდან ათეულობით სახეობა აღნიშნული: *Heracleum*, *Senecio*, *Acionitum*, *Campanula* და სხვა. კიდევ რომ ჩამოვთვალოთ;

კ) აბულისა ტბის და ჭაობების სიახლოვეს ვულკანური ნაშალ-ღორღიანებსა და საზაფხულო საძოვრების ზონის (ზედა აღპურ მდელოებს) მოსაზვრედ ნაშალებზე გავრცელებულ მცენარეებს შორის შეიძლება ინახოს მცირე კავკასიონ-ანატოლიის ენდემები – კრინიცკის ერიზიმუმი (*Erysimum krinitzkii*), ყაზბეგის ცრუ პირთეთრა (*Cerastium pseudo-kasbek*), სომხეთის კრიალოსანა (*Hedysarum armenum*), სომხური სატილია (*Pedicularis armena*);

ლ) ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ენდემური და რელიქტურ მცენარეთა სახეობები და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ ან/და IUCN წითელი ნუსხაში შეტანილი საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა სახეობებზე მონაცემები

საჭიროებს განახლებას და შემდგომ კვლევებს;

მ) ჯავახეთს დაცული ტერიტორიები აღიარებულია, როგორც საერთაშორისო ეკოლოგიურ ქსელებში – ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორია, რომელიც ითვალისწინებს პან-ევროპული ველური ფლორისა და ფაუნის და მათი ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნებას. 1998 წლიდან მოქმედებს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ კონვენცია (ბერნის კონვენცია). ჯავახეთის დაცული ტერიტორიები, თავისი სრული ფართობით, ოფიციალურად წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის საიტს, რეგისტრაციის ნომრით GE0000004 – მადათაფა, GE0000005 – ბულდაშენი, GE0000017 – ხანჩალი (დანართი 4: ზურმუხტის ქსელის სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები (ASCI) ჯავახეთში);

ნ) 2020 წლიდან მადათაფას და ბულდაშენის ტბები აღიარებულია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიებად და რამსარ საიტშია გაერთიანებული.

2. ფაუნა, მათ შორის ეროვნულ ან გლობალურ დონეზე საფრთხის ქვეშ მყოფი და საფრთხესთან ახლოს მყოფი სახეობები:

ა) ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ფაუნის შესახებ მონაცემები საჭიროებს განახლებას და შემდგომ კვლევებს. ჯავახეთის მთიანეთში ძუძუმწოვართა თითქმის 71 სახეობის ცხოველი ბინადრობს, მათ შორის მტაცებელთა თეთრთმეტი და ჩლიქოსანთა ორი სახეობა. 10 სახეობა შეტანილია როგორც საქართველოს „წითელ ნუსხაში“, ასევე IUCN – საერთაშორისო ნუსხაში, 11 სახეობა არის კავკასიის ენდემური სახეობა. ძუძუმწოვარ ცხოველებს შორის მომთაბარეობით გამორჩეული სახეობების პოპულაციებსაც ვხვდებით, ასეთებია 22 სახეობა. ჩლიქოსანთა ორივე სახეობა, ისევე, როგორც ფოცხვერი და დათვი, იშვიათად თუ გამოჩნდება ამ შიშველ ადგილებში. მეტადაა გავრცელებული: ჭრელტყავა (*Vormela peregusna*, გლობალურად მოწყვლადი სახეობა), წავი (*Lutra lutra*), ევროპული კურდღელი (*Lepus europaeus*), მაჩვი (*Meles meles*), მელა (*Vulpes vulpes*) და მგელი (*Canis lupus*). კურდღელი, მელა და მგელი გავრცელებულია მთელ ჯავახეთის მთიანეთში, მაშინ, როდესაც ჭრელტყავა აღრიცხულია მხოლოდ სასაზღვრო ზონაში (მადათაფას ტბის მიდამოებში). ძუძუმწოვართა ექვსი სახეობა (ძირითადად მღრღნელები) კავკასიის ენდემია: ნერინგისბრუცა (*Nannospalax Nehringi*), ბრანდტის ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), დაღესტნური მემინდვრია (*Terricola daghestanicus*), ნაზაროვის მემინდვრია (*Terricola N^asarovi*), კავკასიური წყლის ბიგა (*Neomys teres*) და კავკასიური ბიგა (*Sorex satunini Ognev*). ეს სახეობები კონცენტრირებულია რეგიონის სამხრეთ საზღვარსა და სამცხე-ჯავახეთის მთებში. ერთადერთ არაადგილობრივ ძუძუმწოვარს წარმოადგენს ონდატრა (*Ondatra zibethicus*), რომელიც გაამრავლეს ხანჩალის ტბაში 1980-იანი წლების შუა პერიოდში. მას შემდეგ ეს სახეობა გავრცელდა ჯავახეთის თითქმის ყველა ტბაში. საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებიდან აღსანიშნავია: ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*) და ბრანდტის ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), რუხი მგელი (*Canis lupus*), წავი (*Lutra lutra*) და ქრცვინი (*Mustela putorius furo*) (ძუძუმწოვრების სახეობების შესახებ ინფორმაცია იხ. დანართ 6-ში). დანართი 10 შეიცავს საქართველოს „წითელი ნუსხის“ იმ სახეობებს, რომლებიც ჯავახეთშია გავრცელებული;

ბ) ჯავახეთის მთიანეთი უკეთაა ცნობილი თავისი ფრინველებით. ამ ტერიტორიაზე ფრინველთა 140 სახეობაზე მეტი აღირიცხა. მათ შორის მკვიდრია 80-85 სახეობა, სხვები არიან ან მიგრანტები, ზაფხულის სტუმრები, ან მათი სტატუსი გაურკვეველია. ფრინველთა უმრავლესობა დაკავშირებულია ზეგანზე განლაგებულ ტბებთან და წყლიან ადგილებთან. შვიდი სახეობა გლობალურად მოწყვლადია, რომელთაგან

რამდენიმე ბუდობს ჯავახეთის მთიანეთში: მათ შორის ხუჭუჭა ვარხვი (*Pelecanus crispus*) – კარწახის ტბაზე. ჯავახეთის მთიანეთი ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც ბუდობენ რუხი წერო (*Grus grus*), რუხი ყანჩა (*Ardea cinerea*), თეთრი ყარყატი (ლაკლაკი) (*Ciconia ciconia*), ვარხვები: ვარდისფერი ვარხვი (*Pelecanus onocrotalus*), ქოჩორა (ხუჭუჭა ვარხვი (*P. crispus*)). ყანჩა და ყარყატი ჩვეულებრივია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სამხრეთი ნაწილისთვის (ანუ ხანჩალის, ბუღდაშენის და მადათაფას ტბებისთვის). ვარხვების კოლონიები აღინიშნება კარწახის ტბაზე (ფრინველების სახეობების შესახებ ინფორმაცია იხ. დანართი 7-ში);

გ) ჯავახეთის ზეგანზე გვხვდება ამფიბიების და რეპტილიების 14 სახეობა. დარევსკის გველგესლა (*Vipera darevskii*) ლოკალური და კავკასიის ენდემურია სახეობაა. იგი ტბა მადათაფას მთის ფერდობებზე გვხვდება. ამფიბიების (ბაყაყების) 1 სახეობა – მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis/ Rana camerani*) შეტანილია IUCN-ის წითელ ნუსხაში. იგი მთლიანად ჯავახეთის რეგიონშია გავრცელებული. ხვლიკების ოთხი სახეობა ენდემურია სამხრეთი საქართველოსთვის, სომხეთისა და აღმოსავლეთი თურქეთისთვის (იხ. დანართი 8). მადათაფას ტბის მიდამოებში გავრცელებულია ვალენტინის ხვლიკი (*Darevskia (Lacerta) valentini*) და სომხური ხვლიკი (*Darevskia (Lacerta) armeniaca*). თითქმის ყველა ტბის და მის სანაპიროებზე, ასევე მდელოებზე გვხვდება ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix Natrix sculata*), ხშირია სათიბებში მარდი ხვლიკის (*Darevskia (Lacerta) agilis*) და ბოხმეჭას (მყვრელი) (*Anguis fragilis*) ნახვა;

დ) ადგილობრივი ტბების ფაუნა თითქმის ხელშეუხებელი იყო გვიან 1950-იან წლებამდე, გარდა ტრადიციული თევზაობისა, რასაც მიმართავდა ტაბაწყურის, ხანჩალის, საღამოს და განსაკუთრებით ფარავნის ტბის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა კომლის გამოკვების მიზნით. ადგილობრივი მოსახლეობისთვის კომერციულ ინტერესს წარმოადგენს შემდეგი სამი სახეობა: მდინარის კალმახის (*Salmo fario*) ტბის ფორმა, კავკასიური ქაშაპი (*Leuciscus cephalus orientalis*) და მტკვრის წვერა (*Barbus lacerta cyri*). 1957-1961 წლებში თევზის ფერმები შეიქმნა ტაბაწყურის, ხანჩალის, საღამოს და ფარავნის ტბებზე. 1960-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ჩრდილოეთიდან შემოყვანილი Coregonid თევზის ჯიშები, კობრთან (*Cyprinus carpio*) ერთად, მოშენებული იქნა ყველა დიდ ტბაში კარწახის გარდა. კარწახანა სამხრეთი რუსეთიდან ჯავახეთის ზეგანზე 2,100 მ-მდე სიმაღლეზე მდებარე ყველა ტბაში მოგვიანებით გავრცელდა. აღნიშნულის შედეგად თევზების ადგილობრივი ფაუნა და ფსკერის ფლორა და ფაუნა მკვეთრად შეიცვალა, თუმცა ამ შემოქმედების ხარისხობრივი ან რაოდენობრივი შეფასება არ განხორციელებულა (იხ. დანართი 9). საბოლოო ჯამში ჯავახეთის ტბები საკმაოდ ღარიბია იქთოფაუნით, რადგანაც ჯამში 13 სახეობას ითვლის და მათ შორის ინვაზიური სახეობები დომინირებენ. 2018 წელს ფარავნის და საღამოს ტბების და 2020 წლებში კარწახის ტბის იქთოფაუნის და სხვა ჰიდრობიონტების ჩატარებული კვლევის მიხედვით ყველა ტბაში და ასევე კარწახის ტბაში მობინადრე თევზებია კარწახანა (*Carassius gibelio*), რომელიც დომინანტი თევზია და კობრი (*Cyprinus carpio*). აღნიშნულ სახეობებთან ერთად, კარწახის ტბაში ასევე ფიქსირდება ტბისთვის ახალი სახეობა – ფსევდორასბორა (*Pseudorasbora parva*);

ე) ფარავნის ტბაზე 2007 წელს განხორციელებული მონიტორინგის (Japoshvili, 2009) შედეგების მიხედვით, ტბის დომინანტი სახეობები იყო ინტროდუცირებული ევროპული ჭაფალა (მთლიანი ჭერების 75%) და ინვაზიური კარწახანა/კარასი (*Carassius gibelio* (Linnaeus, 1758)) (მთლიანი ჭერილის 15-20%). ადგილობრივი სახეობები კი მხოლოდ დარჩენილ 5-10%-ს შეადგენდა, ესენია: ჩვეულებრივი მარდულა, ნაფოტა

(*Rutilus rutilus* (Linnaeus, 1758)), ხრამული, კავკასიური ქაშაპი, მტკვრის ციმორი (*Romanogobio persus* (Gunther, 1899)), ძალიან მცირე რაოდენობით ტბის კალმახი და კობრი (Japoshvili, 2009);

ვ) 2014-2017 წლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა რომ ფარავნისა და სალამოს ტბებში სახეობების რაოდენობრივი შემადგენლობა მკვეთრად შეცვლილი; ზოგიერთი მნიშვნელოვანი სარეწაო თევზის, როგორებიცაა კალმახი, ჭაფალა, კობრი, წვერა, რიცხოვნობა მინიმუმამდე შემცირებული და ამ სახეობებს არა თუ სარეწაო მნიშვნელობა აღარ აქვთ, არამედ ლოკალურად გადაშენების საფრთხის ქვეშ არიან. აბულის ტბაზე თევზები არ ბინადრობს;

ზ) ინფორმაცია უხერხემლოების შესახებ ჯავახეთის დაცულ ტერიტორიაზე ძალიან მწირია, თუმცა კარწახის ტბის ჰიდრობინტები შესწავლილ იქნა 2019 წელს. კარწახის ტბაში გამოვლინდა მაკროუხერხემლოების 17 ოჯახის (*Astacidae*, *Gammaridae*, *Chironomidae*, *Asellidae*, *Naididae*, *Erpobdellidae*, *Glossiphoniidae*, *Corixidae*, *Psychodidae*, *Ceratopogonidae*, *Limonidae*, *Dytiscidae*, *Elmidae*, *Baetidae*, *Hydropsychidae*, *Sphaeridae*, *Succinidae*) (დანართი 11-ის სურათი 1) 2000-მდე ინდივიდი, რომელთაგან ტბაში დომინირებს შემდეგი 3 ოჯახი: *Gammaridae* (32.3%), *Chironomidae* (31.8%), *Naididae* (13.7%). დეტალური ინფორმაცია ტბაში ბინადარი უხერხემლოების შესახებ წარმოდგენილია დანართში 11. განსაკუთრებით საყურადღებოა ვიწრომარწუხა კიბორჩხალა (*Pontastacus leptodactylus* = (*Astacus leptodactylus*)) (კლასი *Malacostraca*, რიგი *Decapoda*, ოჯახი *Astacida*). იგი ინვაზიურია, დაუდგენელია ზუსტად რა გზებით და როდის გავრცელდა ტბაში. დღეის მდგომარეობით, ეს სახეობა უკვე დომინანტია ტბაში და მისი პოპულაცია საკმაოდ მრავალრიცხოვანადაა წარმოდგენილი. აღნიშნული სახეობა პრობლემას უქმნის ადგილობრივ თევზებს და მისმა ჭარბმა რაოდენობამ ტბის გაღარიბება გამოიწვია. მნიშვნელოვანია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა და რეკომენდაციების გათვალისწინება მართვის გეგმაში.

3. დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების და ბუნების ძირითადი ღირებულებები:

ა) დაცული ტერიტორიების ფარგლებში გამოიყოფა განსაკუთრებული ღირებულების ჰაბიტატები და ბიომრავალფეროვნების კომპონენტები, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მრავალფეროვანი ეკოსისტემური სერვისების მოწოდებას უზრუნველყოფს;

ბ) სუბალპური და ალპური მდელოები/მთის ველები (მთის სტეპები): აქ წარმოდგენილია ველის წივანა (*Festuca valesiaca*) და ვაციწვერას სახეობები (*Stipa tirsia*, *S. capillata*), ასევე ცხვრის წივანას, ისლების და მარცვლოვან-ნაირბალახოვანი ფიტოცენოზების შესაბამის სახეობები;

გ) სუბალპური ტყის ნაშთები: არყი (*Betula litwinowii*), ვერხვი (*Populus tremula*), ცირცელი (*Sorbus aucuparia*), ფიჭვი (*Pinus kochiana*).

დ) წყალჭაობები (ჭარბტენიანი ტერიტორიები)/მდინარეები/ტბები: ევრაზიული, წინააზიურ-კავკასიური და ევროპულ-ხმელთაშუაზღვიური სახეობებით, მათ შორის აღსანიშნავია *Carex wiluica* (რელიქტური სახეობა);

ე) მტაცებლები: რუხი მგელი (*Canis lupus*), წავი (*Lutra lutra*) და ქრცვინი (*Mustela putorius furo*) – საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ჭრელტყავა (*Vormela peregusna*) – გლობალურად მოწყვლადი სახეობა;

ვ) მღრღნელები: ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*) და ბრანდტის ზაზუნა (*Mesocricetus brandti*) – საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნერინგის ბრუცა

(*Nannospalax Neehringi*), დაღესტნური მემინდვრია (*Terricola daghestanicus*), ნაზაროვის მემინდვრია (*Terricola Nasarovi*), კავკასიური წყლის ბიგა (*Neomys teres*), კავკასიური ბიგა (*Sorex satunini Ognev*) – კავკასიის ენდემური სახეობები;

ზ) ფრინველები: ვარდისფერი ვარხვი (*Pelecanus onocrotalus*), თეთრი ყარყატი (ლაკლაკი) (*Ciconia ciconia*), იშხვარი, ანუ შავი ყარყატი (*Ciconia Nigra*), წითელი იხვი (*Tadorna ferruginea*) და მთის არწივი (*Aquila chrysaetos*) – ერონულ დონეზე მოწყვლადი სახეობები. რუხი წერო (*Grus grus*) და ქოჩორა ვარხვი (*Pelecanus crispus*) – ერონულ დონეზე გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები;

თ) ჰერპეტოფაუნა: დარევსკის გველგესლა (*Vipera darevskii*) – კავკასიის ენდემური სახეობა;

ი) საქართველოს და IUCN-ის წითელ ნუსხაში შეტანილი ენდემური მცენარეები, როგორცაა: თეთრობის კრაზანა – *Papaver pseudo-orientale* [(Fedde) Medw.], ერდელის ბუჩქისძირა – *Corydalis erdelii* [Zucc.], ჯავახეთის ფამფარულა – *Scorzonera dzhavakhetica* [Sosn.], კეცხოველის ფამფარულა – *Senecio massagetovii* [Schischk.], კოზლოვსკის ფამფარულა – *Scorzonera koslovskyi* [Sosn.], მსაგეტოვის თაყვითელა – *Senecio massagetovii* [Schischk.], ანხონიუმი – *Anchonium elichrysifolium* [(DC.) Boiss.], ჯავახეთის ხმალა – *Gladiolus dzhavakheticus* [Eristavi] და სხვ.

მუხლი 14. სამეცნიერო კვლევა და ეკოგანათლება

1. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიები მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად და მონიტორინგის წარმართვისთვის. დაცული ტერიტორიების ფლორის და ფაუნის ძირითადი ჯგუფები საჭიროებს უფრო ღრმა შესწავლას.

2. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებს გააჩნია სხვადასხვა ტიპის ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზების პოტენციალი (ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ღონისძიებები მწვანე კალენდრის მიხედვით, ეკოგაკვეთილები ველზე, მწვანე აქციები, ეკოტურები და სხვა), ძირითადად მიმდებარე სოფლების სკოლებისა და, ზოგადად, რეგიონის მოსახლეობისთვის.;

3. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებს აქვს გამოკვეთილი ეკოსაგანმანათლებლო პოტენციალი ძირითადი მიმართულებებით:

ა) ფრინველთა მრავალფეროვნება და მისი შენარჩუნების მნიშვნელობა;

ბ) საძოვრების დეგრადაცია/ეროზია და მდგრადი გამოყენება;

გ) წყლის ეკოსისტემებისა და თევზის რესურსების მდგრადი გამოყენება.

4. ჯავახეთზე გადის გადამფრენი ფრინველების საქართველოს ფარგლებში მდებარე მე-2 სამიგრადიო გზა, რომელიც შავიზღვისპირეთს მნიშვნელოვნად ჩამოუვადრება ფრინველთა რაოდენის მხრივ, მაგრამ თითქმის არ განსხვავდება ფრინველთა სახეობების რაოდენობით, რაც მის სამეცნიერო-საგანმანათლებლო უნიკალობას განსაზღვრავს: სწორედ ამის გამო აქ ფრინველები სხვა ბიოლოგიურ კომპონენტებზე უკეთესადაა შესწავლილი. გარდა ამისა, ტრანსსასაზღვრო კონტექსტი ამ მიმართულებითაც დამატებით პოტენციალს წარმოქმნის.

5. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისთვის ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფები, უპირველესად, სკოლების ადგილობრივი მოსწავლეები; ასევე, უნივერსიტეტების (ახალციხის, თბილისის და სხვ.) სტუდენტები, ასევე დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა.

6. შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას აქტიურად შეიძლება,

იქნეს გამოყენებული ადგილობრივი რესურს-ცენტრების და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები.

მუხლი 15. მიწის საკუთრება და გამოყენება

1. დაცული ტერიტორიების საზღვრებს შიგნით არსებული მიწები სახელმწიფოს საკუთრებაა. დაცული ტერიტორიების მართვასთან მიმართებაში კანონი ადგენს, რომ ჯავახეთის ეროვნული პარკის, კარწახის ჭაობის აღკვეთილის, სულდის ჭაობის აღკვეთილის, ხანჩალის ტბის აღკვეთილის, ბულდაშენის ტბის აღკვეთილის, მადათაფას ტბის აღკვეთილის და თეთრობის აღკვეთილის მართვა ხორციელდება საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მეშვეობით, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. რაც შეეხება ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას, მის მართვას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

2. ჯავახეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, კარწახის ჭაობის აღკვეთილის, სულდის ჭაობის აღკვეთილის, ხანჩალის ტბის აღკვეთილის, ბულდაშენის ტბის აღკვეთილის და მადათაფას ტბის აღკვეთილის გარკვეულ უბნებში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხორციელდება განახლებადი ბუნებრივი რესურსებით ლიმიტირებული სარგებლობა.

3. დაცული ტერიტორიების სისტემის კანონის თანახმად, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას – რესურსების მართვის დაცული ტერიტორია (Managed Resource Protected Area). IUCN-ის თანახმად, VI კატეგორიის დაცული ტერიტორიები უზრუნველყოფენ ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების კონსერვაციას, მასთან ასოცირებული კულტურული ფასეულობებისა და ბუნებრივი რესურსების ტრადიციული მართვის სისტემებთან ერთად.

4. ჯავახეთში, საქართველოს სხვა მაღალმთიანი მხარეების მსგავსად, ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობად ითვლება მესაქონლეობა, მათ შორის მომთაბარე მეცხვარეობა, ნაწილობრივ მემინდვრეობა და მეფუტკრეობა, ასევე, მათთან დაკავშირებული პროდუქტების წარმოება.

5. ბუნებრივი რესურსებიდან ჯავახეთში ტრადიციულად გამოიყენება ზაფხულის საძოვრები და სათიბები. ეს რესურსი გამოიყენება არა იმდენად ადგილობრივი მოსახლეობის (რომელსაც, გადაზამთრების პრობლემის გამო, ცხვარი ცოტა ჰყავს), რამდენადაც საქართველოს სხვა კუთხეებიდან წლის შესაბამის პერიოდში (ივნისი-სექტემბერი) ამოსული ფერმერების მიერ (მირითადად – კახეთიდან, საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან). ძოვების პრაქტიკა საბჭოთა პერიოდში უსისტემო იყო. ასეა დღესაც. ამდენად, მდგრადი ძოვების ნორმების დანერგვა, დაცული ტერიტორიების ფარგლებში, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

6. ტრადიციულად უნდა ჩაითვალოს წყალსატევების თევზის რესურსების გამოყენებაც. დღეისათვის მათ უმრავლესობაზე თევზის ფერმეზია მოწყობილი, წყალსატევებში გაშვებულია (ინტროდუცირებულია) თევზის არაადგილობრივი სამრეწველო სახეობები (ტბის კალმახი და სხვ.); წყალსატევების თევზის რესურსების მდგრადი გამოყენების საკითხების დარეგულირებას ფერმეზის მესაკუთრებთან

კოორდინირება ესაჭიროება.

7. წყლის რესურსების გამოყენება შემდგომი ცალკე, დეტალური შესწავლის საგანია: აშკარაა, რომ სრულიად არამდგრადია ხანჩალის ტბის თანამედროვე მდგომარეობა, რისი უპირველესი მიზეზიცაა წყლის მენეჯმენტის დაუსაბუთებელი და წარსულში უხარისხოდ განხორციელებული ღონისძიებები. წყლის საბჭოური საინჟინრო მენეჯმენტის ესა თუ-ის კვალი შეინიშნება თითქმის ყველა ტბაზე (კარწახის გარდა, რომელიც ტრანსასახდვრო ტბაა).

მუხლი 16. დაცული ტერიტორიების ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

1. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს უძველესი კუთხეა. ამ ტერიტორიაზე მრავალი არქეოლოგიური ძეგლია. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ადამიანს სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან უცხოვრია. რეგიონის ტერიტორიაზე მრავალი ადრეანტიკური ხანის ნაქალაქარი და ყორღანული სამარხი იქნა აღმოჩენილი. აქ ვხვდებით ციკლოპური ტიპის, უზარმაზარი ლოდებისგან მშრალად ნაშენ, ციხენამოსახლარებს, გალავნებს, კომკებსა და აკლდამებს. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და კულტურულად დაწინაურებული პროვინცია იყო. პირველად ისტორიულ წყაროებში ეს რეგიონი მოხსენიებულია ძვ.წ-ით 785 წელს, ურარტუს მეფის არგიშთის მიერ. XI ს-დან ჯავახეთის ცენტრად მოიხსენიება ახალქალაქი. XII საუკუნეში თამარ მეფის დროს სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მძლავრი კულტურული ცხოვრება მიმდინარეობდა, რისი კვალიც დღემდე მკაფიოდაა შენარჩუნებული.

2. ჯავახეთის მთიანეთი მდიდარია ისტორიული და კულტურული ძეგლებით. გადმოცემით, მე-3 საუკუნეში წმინდა ნინო საქართველოში კაპადოკიიდან პირველად ჯავახეთის მთიანეთში შემოვიდა და აქედან დაიწყო ქართველ ხალხში ქრისტიანობის გავრცელება.

3. სამცხე-ჯავახეთის ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლებს შორის არის ხერთვისი – ლეგენდარული ციხე-ქალაქი, რომელიც განლაგებულია მდინარეების ხერთვისისა და ფარავნის შესართავთან, და მდინარე მტკვრის ხეობაში კლდეში გამოკვეთილი ვარძიის სამონასტრო კომპლექსი. ეს კომპლექსი – როგორც ერთი ობიექტი – შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის არეების/უბნების (UNESCO World Heritage Sites) წინასწარ ნუსხაში (იხ. <http://whc.unesco.org/en/tentativelists/5236/>) და ოფიციალური საერთაშორისო აღიარების რეალური კანდიდატია.

4. თავისი თბილი წყლებით ცნობილი სოფელი ნაქალაქარი ვარძიის ჩრდილოეთით, ხერთვისის ხეობაში მდებარეობს. ძველ დროს და შუა საუკუნეების დასაწყისში ჯავახეთის უძველესი ქალაქი წუნდა ნაქალაქარის მახლობლად მდებარეობდა. მის შორიახლოს, კლდის წვერზე, იმავე სახელწოდების ეკლესიაა. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ წუნდის დანგრევის შემდეგ, ჩვენი წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეებში, მდინარე მტკვრის მოპირდაპირე ნაპირას აშენდა თმოგვის ციხე. მტკვრის მარჯვენა ნაპირას განლაგებულია ვანის ქვაბები, VII-XVI საუკუნეების არქიტექტურული და კულტურული ძეგლი. ზეგანზე მიმოფანტულ სოფლებში ბევრი კულტურული ძეგლია, უმეტესად – ეკლესიები.

5. დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის სტრატეგიის შემუშავებისას ადგილი ჰქონდა დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შეფასებას. დეტალური აღწერა კულტურული

მემკვიდრეობის იმ ნაწილის მოხდა, რომელზეც უკვე გადამოწმებული ინფორმაცია მოიპოვებოდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ბაზებში (იხ. დანართი 12). აღსანიშნავია-ის ფაქტიც, რომ მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობა ორივე მუნიციპალიტეტში ისევე მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია, როგორც ჯავახეთის ბუნებრივი რესურსები. არსებული მატერიალურ-კულტურული ძეგლების შეფასების სისტემა ითვალისწინებს რა კონკრეტული ძეგლის მიმდინარე მდგომარეობას, ისტორიული კონტექსტსა და იმ მნიშვნელობას/ღირებულებას, რომლის მატარებელიცაა, ასევე იდენტიფიცირდებას ახდენს და განსაზღვრავს იმ პოტენციალს, რომელიც ძეგლის, როგორც ტურისტულად მნიშვნელოვანი ობიექტის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. შეფასების სისტემაში კლასიფიცირებულია-ის სამი დონე, (1-ღირს შეჩერება, 2-ღირს დათვალიერება, 3-ღირს, რომ ცალკე შეიქმნას ტური1), რომელიც კულტურული ობიექტების დაყოფასა და მათ ერთ ჯგუფში ინტეგრაციას განაპირობებს ავთენტურობის, მნიშვნელობის, მასშტაბურობის, იდენტობისა და სანახაობრიობის მხრივ. თითოეული ქვეჯგუფი მასში გაერთიანებული მატერიალური ძეგლების ნიშან-თვისებებისა და პოტენციალის შეფასება-ანალიზს ახდენს და გამოყოფს იმ ერთეულებს, რომლებსაც სხვებთან შედრებით უკეთესი მოცემულობა და უნარი აქვთ, რომ კონკრეტულად მათზე შეიქმნას ცალკე ტური. არსებული ობიექტები ინახავენ იმ ყოფის, ადათების, რიტუალების, რელიგიური და საკრალური მნიშვნელობის ძეგლებისა და ცალკეული ფრაგმენტების ნაშთებსა და არტეფაქტებს, რაც წარმოდგენას გვიქმნის და საუკუნეების მიღმა გვახედებს სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ყოფასა და კულტურაში.

6. ეს ყოველივე, ლანდშაფტისა და ბიომრავალფეროვნების თავისებურებასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რეგიონის ტურისტულ პოტენციალს. თვით დაცული ტერიტორიების ფარგლებში გამორჩეული ისტორიულ-კულტურული ძეგლები არ არის განლაგებული.

მუხლი 17. ეკოტურიზმი და რეკრეაცია

1. ამჟამად ჯავახეთი არ წარმოადგენს საქართველოში ჩამოსული ტურისტების დანიშნულების პრიორიტეტულ ადგილს შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სერვისების სიმწირის, ასევე, რეგიონის ბუნებრივი მიმზიდველობის ცნობადობის ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობების სიმცირის გამო; ამ ხარვეზის გამოსწორება დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

2. ტერიტორიის ტურისტულ და რეკრეაციულ პოტენციალს განსაზღვრავს მიმზიდველი ბუნებრივი გარემო (ტბები, გადამფრენი ფრინველები, რბილი, ვულკანური რელიეფი – იოლად ასასვლელი მთებით და სხვ.). ამასთან, საავტომობილო გზების გაუმჯობესებული ხარისხი, ისევე როგორც ახლო მომავალში აზერბაიჯანი საქართველო-თურქეთის რკინიგზის ექსპლუატაციაში შესვლა უზრუნველყოფს ტურისტების სწრაფ და კომფორტულ ტრანსპორტირებას.

3. დაცულ ტერიტორიებს გააჩნია დიდი პოტენციალი ფრინველების სპეციალისტებისა და ფრინველებზე ფოტომონადირეების (ე.წ. Birdwatcher-ების), ასევე, თევზაობის მოყვარულთა, მათ შორის გაყინულ ტბაზე თევზაობის მოყვარულთა მოსაზიდად.

4. ტერიტორიას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციური ზამთრის ტურიზმის (განსაკუთრებით, თხილამურებზე სიარულის – ე.წ. Cross-country skiing-ისა და Snowshoeing-ის მოყვარულთათვის), ასევე საცხენოსნო სათავგადასავლო ტურიზმის, ასევე ველოტურიზმის განვითარებისათვის.

5. ჯავახეთში არსებობს ტურისტული რესურსების კომბინირებული შეთავაზების და ტურისტული პროდუქტის ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან (როგორც არის პური, ყველი, თაფლი და სხვ.) „დაკავშირების“ შესაძლებლობა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მომსახურების სფეროსთან კომბინაცია (სასტუმრო სახლები, კვების ობიექტები, მცირე სიმძლავრის სავაჭრო და საპიკნიკე ადგილები) დამატებით შესაძლებლობებს შექმნის.

6. ტერიტორიას დამატებით ტურისტულ ღირებულებას სძენს მის სიახლოვეს არსებული, გამორჩეული ისტორიულ-კულტურული ძეგლები, როგორცაა ვარძია, ხერთვისი, უძველესი ნამოსახლარები და სხვ (გასათვალისწინებელია ვარძიიდან კარწახის ტბასთან გადმოსასვლელი ტურისტებისთვის მიმზიდველი გზა).

7. კიდევ ერთ დამატებით რესურსს დაცული ტერიტორიების სომხეთთან და თურქეთთან სასაზღვრო მდებარეობა წარმოადგენს. სომხეთის მოსაზღვრე – არფის ტბის – ეროვნულ პარკთან თანამშრომლობის განვითარება, ასევე, ზემოთ ხსენებული სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედება კარგ შესაძლებლობას ქმნის ამ ქვეყნებიდან ტურისტების მოსაზიდად.

მუხლი 18. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას ყველა დაცული ტერიტორიისათვის. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას და ცნობიერებას ზოგადად დაცული ტერიტორიის და იქ მიმდინარე პროცესების შესახებ, რაც განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების განვითარებაში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტურობას.

2. საზოგადოების ცნობადობის ამაღლების და ვიზიტორთა მოზიდვისთვის ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის სხვადასხვა საშუალებას იყენებს, როგორცაა: დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკის ვებგვერდი, საინფორმაციო ბროშურებისა და ბუკლეტების ბეჭდვა და გავრცელება, დაცული ტერიტორიების შესახებ სტატიების გამოქვეყნება ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში, ინფორმაციის განთავსება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებში, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება პარტნიორებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაცული ტერიტორიების მიერ მოწყობილი ღონისძიებების გაშუქება ადგილობრივი და ცენტრალური ტელევიზიით, შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, გაცნობითი ეკოტურების მოწყობა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის და მათთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, თანამშრომლობა არსებულ და პოტენციურ რეგიონულ პარტნიორებთან და სხვ.

მუხლი 19. სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

1. ჯავახეთის მთიანეთში ძირითადად ორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია: ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები. ყველაზე დიდი ქალაქი ჯავახეთის ზეგანზე არის ახალქალაქი. 2014 წლის საქსტატის მონაცემებით,

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდა 45,070 ადამიანი, კერძოდ, ქ. ახალქალაქში – 8,295 (18.4%), სოფლად – 36,775 (81.6%). მუნიციპალიტეტი მოიცავს 22 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულს, რომლებიც ერთიანდება 15 თემად და 6 დიდ სოფლად. ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქ. ახალქალაქი. 2014 წლის საქსტატის მონაცემებით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდა 24,491 ადამიანი, აქედან, ქ. ნინოწმინდაში – 5,144, სოფლად – 19,347. მუნიციპალიტეტი მოიცავს 8 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულს, რომლებიც ერთიანდება 7 თემად და 1 დიდ სოფლად.

2. ნინოწმინდასა და ახალქალაქში შეინიშნება მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის გადინების ტენდენცია არახელსაყრელი ეკონომიკური პირობების გამო. თუმცა მთის კანონის მიღება ხელს შეუწყობს უკან დაბრუნების მსურველთა რაოდენობის გაზრდას.

3. ზაფხულში ჯავახეთის მთიანეთში მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, ვინაიდან სხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩამოსული მოსახლეობა იყენებს ჯავახეთის მთებს ტრადიციულ საზაფხულო საძოვრებად.

4. დაცული ტერიტორიების შექმნა მოსახლეობას ახალი შემოსავლის წყაროს შეუქმნის, რაც დაკავშირებულია, უპირველესად, ტურიზმის განვითარებასთან და კერძოდ ვიზიტორთა მომსახურების სფეროსთან.

თავი III. გრძელვადიანი მიზნები

მუხლი 20. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები

1. შენარჩუნებულია დაცული ტერიტორიების ბუნებრივი და ნახევრადბუნებრივი ლანდშაფტები. ცხოველთა და მცენარეთა პოპულაციების კონსერვაცია ხდება ბუნებრივ და პრაქტიკულად ხელუხლებელ გარემოში. უზრუნველყოფილია უნიკალური და ენდემებით მდიდარი ალპური და სუბალპური მცენარეული კომპლექსების კონსერვაცია. შენარჩუნებულია ჭარბტენიანი ტეროტორიები და სუბალპური ტყის ნაშთების მდგომარეობა.

2. ზემოთ აღნიშნული ზოგადი გრძელვადიანი მიზანი შეიძლება განისაზღვროს დაცული ტერიტორიებისთვის იდენტიფიცირებული ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებებისთვის. პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ:

ა) დაცული ტერიტორიების სუბალპური ტყეების (თეთრობის აღკვეთილისა და კარწახის ტბის მიმდებარე ტყე) კონსერვაციის სტატუსი შენარჩუნებულია, არ ვლინდება მათი უკანონო ჭრა და ფიტო-სანიტარიული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 2020 წელთან შედარებით. ტყით დაფარული ფართობი შენარჩუნებულია, ტყის კორომის მახასიათებლები ასახავენ ჯანსაღ, თითქმის ბუნებრივ ან ბუნებრივ ტყეებს, მნიშვნელოვანი ტყის მცენარეული სახეობები, მათ შორის, მეჭეჭიანი არყის (*Betula litwinowii*), ვერხვის (*Populus tremula*), ჩვეულებრივი ცირცელის (*Sorbus aucuparia*), კოხის/ სოსნოვსკის ფიჭვის (*Pinus kochiana*) სახეობები და სხვები წარმოადგენენ მინიმუმ იგივე რაოდენობას, როგორც 2020 წელს, და მცენარეთა მავნებლების რაოდენობა დაბალ დონეზეა;

ბ) დაცული ტერიტორიების მდელოებს აქვს საშუალო ან დაბალი ეკოლოგიური

მდგომარეობა 2020 წელთან შედარებით, რომელიც ასახულია საძოვრების ეკოლოგიური მფგომარეობის ინდექსებში;

გ) დაცული ტერიტორიების წყალჭაობების (ჭარბტენიანი ტერიტორიები) მდინარეების/ტბების მდგომარეობა განაპირობებს მდინარის კალმახის (*Salmo fario*) ტბის ფორმის და სხვა ჰიდრობიონტების სიჯანსაღესა და სიუხვეს.

მუხლი 21. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის და ბიოლოგიური მრავალფეროვნების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ფლორა და ფაუნა შეიცავს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შესულ, კავკასიისა და საქართველოს ენდემურ მრავალ სახეობას და ჯავახეთის დაცული ტერიტორიები წარმატებით ასრულებს ამ სახეობების გენოფონდის ეფექტიანი და გრძელვადიანი შენარჩუნების ფუნქციას; ხოლო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახეობების, პოპულაციების რიცხოვნობა გაზრდილია და მიახლოებულია ბუნებრივ ტევადობას 2045 წლისთვის;

ა) ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ძირითად მუქუმწოვართა სახეობების პოპულაციები, მათ შორის მტაცებლები: რუხი მგელი (*Canis lupus*), წავი (*Lutra lutra*), ქრცვინი (*Mustela puterius furo*), ჭრელტყავა (*Vormela peregusna*), მღრღნელები: ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*), ბრანდტის ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), ნერინგის ბრუცა (*Nannospalax Neohringi*), დადესტნური მემინდვრია (*Terricola daghestanicus*), ნაზაროვის მემინდვრია (*Terricola Nasarovi*), კავკასიური წყლის ბიგა (*Neomys teres*), კავკასიური ბიგა (*Sorex satunini Ognev*), ახლოს არიან ამ სახეობების ტერიტორიების ბუნებრივ ტევადობასთან;

ბ) ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ფრინველთა სახეობები, როგორცაა: ვარდისფერი ვარხვი (*Pelecanus onocrotalus*), თეთრი ყარყატი (ლაკლაკი) (*Ciconia ciconia*), იშხვარი ანუ შავი ყარყატი (*Ciconia Nigra*), წითელი იხვი (*Tadorna ferruginea*), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*), რუხი წერო (*Grus grus*), ქოჩორა ვარხვი (*Pelecanus crispus*) აგრძელებს დაცულ ტერიტორიებზე ბუდობას, დაცულია ფრინველების საარსებო ან გაჩერების ადგილები, დაცულია ბუდეების ადგილები, და მათი ბუდეები მომრავლებულია ან შენარჩუნებულია 2020 წელთან შედარებით;

გ) ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ჰერპეტოფაუნის სახეობების რიცხოვნობა: დარევსკის გველგესლა (*Vipera darevskii*), მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis/ Rana camerani*) შენარჩუნებულია 2020 წელთან შედარებით;

დ) ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე საქართველოს და IUCN-ის წითელ ნუსხაში შეტანილი ენდემურ მცენარეების გავრცელების არეალი შენარჩუნებულია ან იზრდება.

მუხლი 22. ეკოგანათლებასა და სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიები, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის, წარმოადგენს საუკეთესო გარემოს გარემოსდაცვითი განათლებისა და ბიომრავალფეროვნების კვლევა-მონიტორინგის საქმიანობების განსახორციელებლად. უზრუნველყოფს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და ცოდნის ზრდას, რაც ხელს უწყობს საზოგადოების პოზიტიურ დამოკიდებულებას დაცული ტერიტორიების მიმართ და მათი ქცევის ცვლილებას. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას აქვს წარმატებული თანამშრომლობა საქართველოს და უცხოეთის

სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრებთან, ასევე დამოუკიდებელ მკვლევარებთან. ადმინისტრაციას გააჩნია სრულფასოვანი სამეცნიერო ინფორმაცია ტერიტორიის ყველა ძირითადი ღირებულებების შესახებ დაცული ტერიტორიის მართვის ეფექტურად წარმართვისთვის. დაცული ტერიტორიები წარმოადგენს საინტერესო სამეცნიერო-კვლევით ბაზას ქართველი და უცხოელი მეცნიერებისთვის.

მუხლი 23. ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიზნები

ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით, წარმატებით ვითარდება ბუნებაზე ორიენტირებული მდგრადი ტურიზმი; ვიზიტორებისთვის უზრუნველყოფილია სუფთა და უსაფრთხო გარემო. მდგრად ტურიზმს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც დაცული ტერიტორიების განვითარებაში, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაში და ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

მუხლი 24. ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობასთან და თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნებასთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიები უზრუნველყოფს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-დაცვას და ადგილობრივი ტრადიციებისა და ტრადიციული საქმიანობების განვითარების ხელშეწყობას. კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები კარგადაა შენარჩუნებული, დაცული და ხელმისაწვდომია ვიზიტორებისთვის უსაფრთხო და ინფორმაციული გზით. ისინი წარმოადგენენ ვიზიტორის პროგრამის შემადგენელ ნაწილს ეკოსისტემის პროდუქტებსა და ღირსშესანიშნაობებთან ერთად. დაცულია ან აღდგენილია ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიცია.

მუხლი 25. ადგილობრივი ეკონომიკისა და მოსახლეობის სასარგებლოდ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიის არსებობით გაუმჯობესებულია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ზოგადი კეთილდღეობა და ხორციელდება ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვა უზრუნველყოფს სხვადასხვა ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებას, მათ შორისაა არამერქნული ტყის პროდუქტები, სამოვრები, შეშა, სასმელი და ტექნიკური წყალი (სასმელი, საირიგაციო და ენერგეტიკული დანიშნულების წყლის რესურსები, და სხვა). რეგიონის ბუნებასა და კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო, ესთეტიკური და სულიერი ფასეულობები მოიზიდავენ ტურისტებს საქართველოს სხვა რეგიონებიდან და მის ფარგლებს გარედან, რაც მოახდენს ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას და ეკოტურიზმის განვითარებას.

მუხლი 26. ბუნებრივი რესურსების მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიები ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობას და

უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობას მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ხდება ბუნებრივი რესურსების „არამომხმარებლურ“ გამოყენებაზე დაფუძნებული ალტერნატიული შემოსავლების (მაგ.: წარმატებით ვითარდება ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმი) ხელშეწყობა და განვითარება, რაც ამცირებს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას ბუნებრივ რესურსებზე.

მუხლი 27. ადმინისტრაციის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

ადმინისტრაციას გააჩნია ყველა აუცილებელი რესურსი იმისათვის, რომ განაგრძოს ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების კონსერვაცია და გაუმჯობესება. ადმინისტრაციის თანამშრომლების სათანადო რაოდენობა ადეკვატურად აღჭურვილია ფინანსური, ტექნიკური, ინფრასტრუქტურული რესურსით, საჭირო ცოდნით, უნარებით და დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვის გამოცდილებით.

თავი IV. დაცული ტერიტორიის სიტუაციური ანალიზი

მუხლი 28. დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების არსებული მდგომარეობა

1. ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებების მდგომარეობა: დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები განისაზღვრა ზემოთ მოცემული მე-13 მუხლის (გ) პუნქტში. მდგომარეობის ატრიბუტები (მახასიათებლები) განისაზღვრა თითოეული ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებისთვის და შეგროვდა ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ (ცხრილი 3). თუმცა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას აღნიშნული დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების მდგომარეობის შესახებ. საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველი ციკლის განმავლობაში. აღნიშნული საჭიროებები ასახულია წინამდებარე მენეჯმენტის გეგმის პროგრამებში – 45-46 მუხლებში.

ცხრილი 3: დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები და შესაბამისი ატრიბუტების არსებული მდგომარეობა

ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულება	მდგომარეობის ატრიბუტი	არსებული მდგომარეობა
სუბალპური და ალპური მდელოები/მთის ველები და სტეპები	ფართობი (ჰა)	მონაცემები არ მოიპოვება
	მდელოების უცვლელობა სამოვრების დეგრადაციის ინდექსზე დაყრდნობით	არ არსებობს რაოდენობრივი მონაცემები
	ძირითადი სახეობების არსებობა: ველის წივანა (<i>Festuca valesiaca</i>), ვაციწვერას სახეობები (<i>Stipa tirsა</i> , <i>S. capillata</i>), ცხვრის წივანას, ისლების და მარცვლოვან-ნაირბალახოვანი ფიტოცენოზების შესაბამის სახეობები.	ინფორმაცია მათი დაფარულობის/სიხშირის შესახებ არ მოიპოვება.
	მავნებლები	ინფორმაცია მავნებლების შესახებ არ მოიპოვება
სუბალპური ტყის ნაშთები და ბუჩქები	ტყის ფართობი (ჰა)	მონაცემები არ მოიპოვება
	სტანდარტული კორომის მახასიათებლები	არ არსებობს რაოდენობრივი მონაცემები

	ძირითადი სახეობების არსებობა: არყი (<i>Betula litwinowii</i>); ვერხვი (<i>Populus tremula</i>); ცირცელი (<i>Sorbus aucuparia</i>); ფიჭვი (<i>Pinus kochiana</i>) მაენებლები	მონაცემები არ მოიპოვება
წყალჭაობები (ჭარბტენიანი ტერიტორიები)/მდინა რეები/ტბები	რიცხოვნობა: მდინარის კალმახის (<i>Salmo fario</i>) ტბის ფორმა; ფარაენის და სალამოს ტბაში გვხვდება შემდეგი თევზები: კობრი (<i>Cyprinus carpio</i>), ხრამული (<i>Capoeta capoeta</i>), ტბის ქაშაპი (<i>Squalius cephalus</i> (Linnaeus, 1758)), აღმოსავლური მარდულა (<i>Alburnoides bipunctatus</i> (Bloch, 1782)), კალმახი (<i>Salmo trutta lacustris</i> (Linnaeus, 1758)), ლადოგური ჭაფალა (<i>Coregonus albula</i> (Linnaeus, 1758)), რომელიც 1930-იან წლებში ლადოგის ტბიდან იქნა შემოყვანილი.	მონაცემები არ მოიპოვება
მტაცებლები	რიცხოვნობა რუხი მგელი (<i>Canis lupus</i>), წავი (<i>Lutra lutra</i>), ქრცვინი (<i>Mustela puterius furo</i>), ჭრელტყავა (<i>Vormela peregusna</i>).	მონაცემები არ მოიპოვება
მღრღნელები	რიცხოვნობა: ნაცრისფერი ზაზუნელა (<i>Cricetulus migratorius</i>), ბრანდტის ზაზუნა (<i>Mesocricetus brandti</i>), ნერინგის ბრუცა (<i>Nannospalax Nehringeri</i>), დაღესტნური მემინდვრია (<i>Terricola daghestanicus</i>), ნაზაროვის მემინდვრია (<i>Terricola Nasarovi</i>), კავკასიური წყლის ბიგა (<i>Neomys teres</i>), კავკასიური ბიგა (<i>Sorex satunini Ognev</i>).	მონაცემები არ მოიპოვება
ფრინველები	მობუდარი წყვილების რაოდენობა: ვარდისფერი ვარხვი (<i>Pelecanus onocrotalus</i>), თეთრი ყარყატი (ლაკლაკი) (<i>Ciconia ciconia</i>), იშვარი, ანუ შავი ყარყატი (<i>Ciconia Nigra</i>), წითელი იხვი (<i>Tadorna ferruginea</i>), მთის არწივი (<i>Aquila chrysaetos</i>), რუხი წერო (<i>Grus grus</i>), ქოჩორა ვარხვი (<i>Pelecanus crispus</i>)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ განხორციელებული კვლევების თანახმად ცნობილია შემდეგი სახეობების წყვილების რაოდენობები: რუხი წერო (<i>Grus grus</i>) – 16 წყვილი; თეთრი ყარყატი (ლაკლაკი) (<i>Ciconia ciconia</i>) – მინიმუმ 100 წყვილი; დანარჩენ სახეობებზე მონაცემები არ მოიპოვება.
ჰერპეტოფაუნა	წამყვანი სახეობების რიცხოვნობა და შეხვედრიანობა: დარევესკის გველგესლა (<i>Vipera dorevskii</i>)	მონაცემები არ მოიპოვება
საქართველოს და IUCN-ის წითელ ნუსხაში შეტანილ ენდემურ მცენარეები	თეთრობის კრაზანა – <i>Papaver pseudo-orientale</i> [(Fedde) Medw.], ერდელის ბუჩქისძირა – <i>Corydalis erdelii</i> [Zucc.], ჯავახეთის ფამფარულა – <i>Scorzonera dzhavakhetica</i> [Sosn.], კეცხოველის ფამფარულა – <i>Senecio massagetovii</i> [Schischk.], კაზლოვსკის ფამფარულა – <i>Scorzonera koslovskiyi</i> [Sosn.], მისაგეტოვის თავყვითელა – <i>Senecio massagetovii</i> [Schischk.], ანხონიუმი – <i>Anchonium elichrysofolium</i> [(DC.) Boiss.], ჯავახეთის ხმალა – <i>Gladiolus dzhavakheticus</i> [Eristavi]	მონაცემები არ მოიპოვება

2. სხვა ღირებულებების მდგომარეობა: როგორც ზემოთ, მე-2 თავში აღინიშნა,

დაცული ტერიტორიების სხვა ღირებულებები ერთი მხრივ, მოიცავენ უნიკალურ გეოლოგიურ ფასეულობებს, ისტორიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს და მეორე მხრივ, ღირებულებებს, რომლებიც უშუალოდ ეკოსისტემის სერვისებზეა დამოკიდებული (ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო, ტურისტული და საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები).

მუხლი 29. დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების პირდაპირი საფრთხეები

1. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე გავლენას ახდენენ, ერთი მხრივ, ბუნებრივი მოვლენები და პროცესები, ხოლო მეორე მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ანთროპოგენურ ზემოქმედებას და უპირველეს ყოვლისა – ძოვებას პარკისა და აღკვეთილების ტერიტორიაზე, რომლის ზეგავლენა დაცული ტერიტორიების ეკოსისტემებზე არაერთმნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ჭარბი და/ან უსისტემო ძოვება იწვევს ისეთი უარყოფითი მოვლენების განვითარებას, როგორცაა სამოვრების გათქერვა და პროდუქტიულობის დაქვეითება, ეროზიული მოვლენების განვითარება (რომლებიც გამოწვეულია არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი ფაქტორებითაც, როგორცაა სათიბ-სამოვრებამდე მისასვლელი მეორადი გზების ფაქტორი და მისთ.), წყლების – მათ შორის ტბების – დაბინძურება ორგანული ნივთიერებებით და ამასთან დაკავშირებული ეკოლოგიური მოვლენები და სხვ. მეორე მხრივ, ტერიტორიაზე არ არის გავრცელებული დიდი ზომის ბალახისმჭამელები (ანუ პირველი რიგის კონსუმენტები), რომლებიც სწორედ პირუტყვითაა ჩანაცვლებული: ასეთ პირობებში ზომიერი, რეგულირებული ძოვება ბალახეული ეკოსისტემებისათვის, მისი პროდუქტიულობისა და სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. სწორედ ზომიერი, კონტროლირებადი ძოვების (ეკოლოგიური ბალანსის) შენარჩუნება ეროვნული პარკის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ერთ-ერთ მთავარ ზოგად პრინციპს წარმოადგენს.

2. ბუნებრივი ტყეების ნაშთებს ჯავახეთში განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია: ეს არის სუბალპური ცირცელიანი ვერხვნარების-არყნარების უნიკალური, სამხრეთული ტიპი. შესაბამისად, ამ კორომების კონსერვაცია-შენარჩუნებას დიდი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს. სამომავლოდ ჯავახეთის დაცულმა ტერიტორიებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს შესაბამის მონაკვეთებზე სუბალპური ტყის ეკოსისტემის აღდგენაშიც.

3. ჯავახეთი ძირითადად უტყეო რეგიონია, თუმცა აქ – მათ შორის პარკის ტერიტორიაზე – შემორჩენილია სუბალპური ტყის მცირე ზომის კორომი, რომლებსაც განსაკუთრებული ბიოეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს: ეს არის ამ ტიპის მცენარეული თანასაზოგადოებების გავრცელების ერთ-ერთი უკიდურეს სამხრეთული ვარიანტი. გარდა ამისა, ტერიტორიაზე გვხვდება ფიჭვის ხელოვნური ნარგაობაც. ასეთი ტიპის თანასაზოგადოებების უკიდურესი სიმცირის გამო აუცილებელია ტყის ხანძრების პრევენციული ღონისძიებების გატარება, მათი თავიდან აცილების მიზნით. ერთ-ერთ ასეთ პრევენციულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მოსახლეობის მიერ ბალახნარის პერიოდული გადაწვის პრაქტიკა: ეს მცდარი პრაქტიკა არ უწყობს ხელს ბალახნარის გაუმჯობესებას გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან იმავდროულად სპობს ნიადაგის იმ ელემენტებს/კომპონენტებს, რომლებიც განაპირობებენ ნიადაგისა და შესაბამისად ბალახნარის ხარისხს; მეორე მხრით კი ტყის ხანძრების წარმოშობის საფრთხეს ქმნის (დანართი 13: დაცული ტერიტორიების ხანძარსაშიში ზონები). გარდა ამისა, ასეთმა

პრაქტიკამ, ასევე, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ფრინველებისათვის მნიშვნელოვან ადგილსამყოფელებს.

4. ჯავახეთის ტბებსა და ჭარბწყლიან ეკოსისტემებს გარდა თავისთავადი ღირებულებისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ფრინველთა ამ სამიგრაციო გზისა და მასთან ასოცირებული მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად. ამდენად, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, პრინციპი ამ ტიპის ეკოსისტემებზე ანთროპოგენური ზემოქმედების მინიმიაზაცია და მათი ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებული ფუნქციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

5. 2019 წლის კარწახის ტბის იქტოფაუნის და სხვა ჰიდრობიონტების შესწავლის ანგარიშის მიხედვით, აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კარწახის ტბის გამოყენება. განსაკუთრებით ჩრდილოეთ ლელქაშიანი სანაპირო, რომელიც ესაზღვრება ცენტრალურ, სასაზღვრო გზას, წარმოადგენს ინტენსიური შეწუხების ზონას მსხვილფეხა საქონლის და ადამიანის მიერ. ფიქსირდება არაერთი ბილიკი ლელქაშებში, რომელიც უშუალოდ ტბის სანაპიროზე გადის. აღნიშნული ბილიკებით სარგებლობა იწვევს მოცემულ წყლის ტურბულენტობის ძლიერ ზრდას, დიდი ოდენობით ორგანული მასის ჩადინებას და შედეგად სანაპირო სისტემის დაზიანებას. კვლევის მიხედვით რეკომენდებულია კარწახის ტბის ჩრდილოეთ სანაპირო საზღვრიდან (კოორდინატები: №41.23251, E43.20268) ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 5.2 კმ-ის მანძილზე (კოორდინატები: №41.23162, E43.25471), რომელიც წარმოადგენს ლელქაშიან სანაპირო ზოლს, მკაცრად გაკონტროლდეს და დაცული იქნას ყოველგვარი ანთროპოგენური ზემოქმედებისგან. დაცვა გულისხმობს ხმელეთის სანაპირო ზოლში ადამიანის და საქონლის შეღწევის შეზღუდვას, ისევე როგორც სანაპირო წყალში (ნაპირიდან 300 მეტრ მანძილზე) თევზჭერის (ასევე კიბორჩხალების ჭერის) შეზღუდვას. ამავდროულად, აღნიშნულ ზონაში ხვდება კარწახის მკვებავი ყველაზე წყალუხვი მდინარე, რომელიც სოფელ კარწახის გავლით ჩაედინება ტბაში. სასურველია, მოხდეს აღნიშნული მდინარის მაქსიმალური გაკონტროლება სხვადასხვა დამაბინძურებლებზე (იგულისხმება საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ჩამდინარე წყალი). ეს შესაძლოა იყოს ფილტრის მონტაჟი მსხვილი ნარჩენებისთვის ან მოსახლეობასთან კომუნიკაცია წყლის სისუფთავის შესანარჩუნებლად. ამავ კვლევის მიხედვით, კარწახის ტბაში აქტიურად მიმდინარეობს კიბორჩხალების და თევზების ჭერა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, ასევე სამოყვარულო მეთევზეების მიერ. სამოყვარულო თევზჭერის მთავარი სამიზნე არის კობრი, რომლის ჭერის ინტენსივობა ადგილობრივი მეთევზეების ცნობით მნიშვნელოვანწილადაა შემცირებული გასულ წლებთან შედარებით. კობრის პოპულაციის შემცირების მიზეზად სახელდება ვიწრომარწყხებიანი კარჩხანას და კიბორჩხალას რიცხოვნობის მატება და დაავადებები რაც სრულიად დასაშვებია, თუმცა შესაძლო მიზეზებს შორისაა გადამეტებული თევზჭერა, რაც გასულ წლებში ვერ კონტროლდებოდა შესაბამისი ქვოტების არარსებობის გამო. ამასთან ერთად, სავლელ კვლევების პერიოდში დაფიქსირდა ათეულობით მიტოვებული და ახალი სახლართი ბადე, და კიბორჩხალების საჭერი მახეები, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს თევზის პოპულაციების სტაბილურობისთვის. კვლევის საფუძველზე შეუძლებელია თევზის რომელიმე სახეობის ან კიბორჩხალას პოპულაციების რიცხოვნობის ცვლილების შესახებ დასკვნების გაკეთება, იმდენად რამდენადაც არ მოიპოვება გასული წლების ცნობები მათ რიცხოვნობაზე.

6. დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების

პირდაპირ და არაპირდაპირი საფრთხეები მოცემულია ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4: სამიზნე ღირებულებების პირდაპირი და არაპირდაპირი საფრთხეები

პირდაპირი საფრთხე	დაკავშირებული არაპირდაპირი ფაქტორები	დაზიანებული ძირითადი ღირებულებები
უკანონო თევზჭერა	<ul style="list-style-type: none"> • არარეგულირებადი ვიზიტორთა ზრდა; • თევზზე და კიბორჩხალაზე როგორც საკვებ პროდუქტზე მოთხოვნილების გაზრდა ადგილობრივ მოსახლეობაში; • ტურისტული ბიზნესის განვითარებასთან ერთად თევზზე კომერციული ინტერესის ზრდა. 	<ul style="list-style-type: none"> • ტბები და ჭაობები (ჭარბტენიანი ტერიტორიები)/მდინარეები; • ფაუნა/ ჰიდრობიონტები.
უკანონო ნადირობა	<ul style="list-style-type: none"> • ინტერესი მეზობელი რეგიონებიდან სამოყვარულო ნადირობაზე; • კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასა და მტაცებლებს შორის; • არსებული ბარიერები კანონდარღვევების აღმოსაფხვრელად; • საინფორმაციო დაფებისა და ნიშნების ნაკლებობა. 	<ul style="list-style-type: none"> • ძუძუმწოვრები; • ფრინველები.
დაავადებები	<ul style="list-style-type: none"> • ცხვრის მიგრაცია და დაავადებების გავრცელება; • გარეული ცხოველების კონტროლის არარსებობა; • გადამფრენი ფრინველების მიერ დაავადებების გავრცელება. 	<ul style="list-style-type: none"> • სუბალპური ტყეები; • სუბალპური და ალპური მდელოები/მთის ველები და სტეპები • ძუძუმწოვრები.
ანთროპოგენური შემაწუხებელი ფაქტორები	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორების დაბალი ცნობიერება; • ინფრასტრუქტურული (ტრანსსასაზღვრო) პროექტების განვითარება. 	<ul style="list-style-type: none"> • ძუძუმწოვრები; • ფრინველები.
ადამიანის მიერ გამოწვეული და ბუნებრივი მოვლენები (მაგ., ხანძარი და ეროზია [ძოვების შედეგად])	<ul style="list-style-type: none"> • გზის არასწორი მშენებლობით გამოწვეული მეწყრები; • ვიზიტორებისა და მოსახლეობის დაუდევრობის მიზეზით გამოწვეული ხანძრები; • კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული ანომალური მეტეოროლოგიური მოვლენები. 	<ul style="list-style-type: none"> • ყველა ღირებულება.
ინვაზიური სახეობების გავრცელება	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატის ცვლილება; • არსებულ სახეობებზე დაავადებების გავრცელება; • ინვაზიურ სახეობებსა და მათი ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის დეფიციტი; • ადამიანის ზემოქმედება; • ხანძარსაშიში ადგილების გაჩენა. 	<ul style="list-style-type: none"> • სუბალპური ტყეები; • სუბალპური და ალპური მდელოები/მთის ველები და სტეპები; • წყალჭაობები (ჭარბტენიანი ტერიტორიები)/მდინარეები/ტბები; • ფაუნა და ფლორა; • ადგილობრივი დამახასიათებელი ეკოსისტემები.
გადამოვება	<ul style="list-style-type: none"> • მოძველებული სამოვრების მართვის გეგმა და მონიტორინგის სისტემის არარსებობა; • არსებული ბარიერები კანონდარღვევების აღმოსაფხვრელად. 	<ul style="list-style-type: none"> • მთის ველები და სტეპები.

დაბინძურება/და- ნაგვიანება ვიზიტორებისა და ადგილობრივების მხრიდან	<ul style="list-style-type: none"> • ტურისტების სიმრავლე; • ნარჩენების მართვის სისტემის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმართაობა; • გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე; • შემზღვევითი რეგულაციების არარსებობა; • ჩამდინარე წყლებით წყლებით მდინარეების და ტბების დაბინძურება. 	<ul style="list-style-type: none"> • სუბალპური ტყეები; • სუბალპური და ალპური მდელოები/მთის ველები და სტეპები; • წყალჭაობები (ჭარბტენიანი ტერიტორიები)/მდინარეები/ტბები.
უკანონო ჭრები	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობის სოც-ეკონომიკური მდგომარეობა; • მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე; • რეინჯერების არასაკმარისი ცოდნა; • ალტერნატიული საწვავი არარსებობა; • ტყეების ინვენტარიზაციის და მართვის გეგმის არარსებობა; • რეინჯერების არასაკმარისი რაოდენობა; • საინფორმაციო ნიშნების ნაკლებობა. 	<ul style="list-style-type: none"> • სუბალპური ტყეები; • სუბალპური და ალპური მდელოები/მთის ველები და სტეპები; • ძუძუმწოვრები.
მავნებლები	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატური ფაქტორები; • ტყეების გაუარესებული სანიტარიული მდგომარეობა. 	<ul style="list-style-type: none"> • სუბალპური ტყეები; • სუბალპური და ალპური მდელოები/მთის ველები და სტეპები.

7. სხვა ღირებულებების საფრთხეები: საფრთხეები გეოლოგიურ და კულტურულ ღირებულებებზე შესაძლოა გამოიწვიოს ვიზიტორთა გაზრდილმა რაოდენობამ, ინფრასტრუქტურის განვითარებამ, კლიმატის ცვლილებამ და ეროზიამ.

8. დაცული ტერიტორიების ეკოსაგანმანათლებლო, ეკოტურისტული და მთლიანად სოცალურ-ეკონომიკურ ღირებულებებთან დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების საფრთხეებად მოიაზრება ის საფრთხეები, რომელიც გავლენას ახდენს ეკოსისტემების შესაძლებლობებზე, რომელიც საჭიროა ეკოსისტემური სერვისების მიწოდებისთვის, რომელიც იცავს ამ ღირებულებებს, ანუ ცხრილ 3-ში ჩამოთვლილ საფრთხეებს.

მუხლი 30. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

1. ჯავახეთს ეროვნული პარკი: მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგი მრავალი კულტურის მოყვანის საშუალებას იძლევა, ადგილობრივი ეკონომიკა რძის პროდუქტების წარმოებაზეა დაფუძნებული. ჯავახეთის ეროვნული პარკში საძოვრების ეკოლოგიური მდგომარეობა არასახარბიელოა, მარინუს გებჰარდტის მიერ მომზადებული კვლევის „მთის მართვა ჯავახეთის ეროვნულ პარკში: არსებული სიტუაციის ინვენტარიზაცია და იდეები დამხმარე და ტრადიციული გამოყენების ზონებში საძოვრების გაუმჯობესების შესახებ“ მიხედვით ჯავახეთის ეროვნული პარკის გარკვეული ნაკვეთები ძლიერ დაზიანებულია. ჯავახეთის ეროვნული პარკის დასავლეთ ნაწილში გადამოვებას აქვს ადგილი, და მისი სიდიდე დაახლოებით 150%-ს შეადგენს. ადგილობრივი პირუტყვი პატარა ხანჩალიდან და სხვა მეზობელი სოფლებიდან ამ გამოთვლებში გათვალისწინებული არ არის, ასე რომ, ადგილი შესაძლებელია, გადამოვების დონე 200%-საც კი აღწევდეს. მნიშვნელოვნად ეროზირებულია ეროვნული პარკის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის მქონე ციცაბო ფერდობები, ხეობების და კანიონების ფერდობები მაგ. „ვეფხვის კანიონი“ (ზაგრანიჩნი კანიონი), სტეპები და მდელო-სტეპების ნაწილი და ინტენსიურად გამოყენებული მიწები კარწახის და სულდას გარშემო. ქართველები და აზერბაიჯანელები საგარეჯოს და მარნეულის მუნიციპალიტეტებიდან ეროვნული პარკის უმეტეს ნაწილს საზაფხულო საძოვრებად

იყენებენ. სამოვრების ეფექტიანად მართვისათვის თანამშრომლობა, არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობასთან, არამედ ამ ინტერესთა ჯგუფებთანაც ძალზედ მნიშვნელოვანია. ისინი პლასტიკატის კარვებს დგამენ სამოვრების ძირითად სარტყელში (2 300-სა და 2 600 მ-ს შორის) და იქ მაისიდან სექტემბრის ბოლომდე რჩებიან. ამ ტერიტორიებს ისინი ყოველწლიურად ქირობენ ადგილობრივი მიწათმფლობელებისაგან. გადასარეკი პირუტყვი ძირითადად ცხვარია; შედარებით მცირეა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა, აქა-იქ გვხვდება თხები. ერთი ობიექტი/მეცხვარეთა დროებითი თავშესაფარი საშუალოდ 2,5 ოჯახისაგან შედგება. ერთი ოჯახი საშუალოდ 1,500 ცხვარს (შერეული ფარა: დედა ცხვრები, ბატუნები), 100 სულ მსხვილფეხა პირუტყვს (შერეული ჯოგი: ხბო, ხარი, სარძევე პირუტყვი) და 6-მდე ცხენს/ვირს ფლობს. სულ პარკის ტერიტორიაზე 30-მდე ასეთი თავშესაფარია, ანუ აქ ზაფხულში დაახლოებით 45,000 სული ცხვარი და 3,000 სული მსხვილფეხა პირუტყვი დგას. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე რა ფართობია იჯარით გაცემული მის შექმნამდე ზუსტი ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. მოპოვებული ინფორმაციით 2009 წელს 10 წლიანი იჯარით, ნინოწმინდის რაიონში ეროვნული პარკის ტერიტორიიდან გაცემულია 200 ჰა. სამოვარი. რაც შეეხება ეროვნულ პარკში წყლის რესურსების მოხმარებას, ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ნაწილი კარწახის ტბას (რომელიც ჯავახეთის ეროვნული პარკის შემადგენელი ნაწილია) იყენებს როგორც თევზის მოპოვების წყაროს. აღსანიშნავია რომ თევზით მოსახლეობის მომარაგება კარწახის ტბისთვის არაა ისტორიულ-ტრადიციული მოვლენა და 15-25 წელიწადს არ აღემატება. ბევრად უფრო გვინადელია კიბორჩხალას მოხმარების ტრადიცია, რაც სავარაუდოდ 5-10 წელია ტბაში მრავლდება. ამჯერად უცნობია თუ რამდენადაა ტბის მიმდებარედ მოსახლეობა დამოკიდებული კარწახის ტბის თევზსა და კიბორჩხალაზე და საჭიროა დამატებითი სოციალური მიმართულებით კვლევა.

2. ხანჩალის ტბის აღკვეთილი: როგორც უკვე მე-2 თავში აღინიშნა, კაშხალი საირიგაციო დანიშნულების ფუნქციას ასრულებს. სანამ კაშხალი და საირიგაციო სისტემა არ ფუნქციონირებენ, ტბის წყალს მაინც იყენებენ 1,000 ჰა სავარგულების, ძირითადად კარტოფილის ნათესების, მოსარწყავად. ქალაქი ახალციხე და მიმდებარე სოფლები სასმელი წყლით ტბიდან წარმოქმნილი ნაკადულებით მარაგდება. ჯავახეთის ზეგანზე არსებული ტბებიდან ყველაზე მძლავრი ანთროპოგენური წნეხის ქვეშ სწორედ ხანჩალის ტბა იმყოფება, რაც ტბასთან ახლოს მდებარე სოფლების (პატარა ხანჩალი, ხანჩალი, ხოჯაბეგი, დილითი, დიდი და პატარა გონდრიო) მოსახლეობის ზემოქმედების შედეგია. თავდაპირველად არსებული ტბის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი კაშხლის მშენებლობის შემდეგ მთლიანად ამოშრა. მიუხედავად იმისა, რომ ხანჩალის ტბა დღესაც მნიშვნელოვანია გადამფრენი ფრინველებისათვის, ამჟამად ხანჩალის ტბისათვის დამახასიათებელი ფრინველთა წინანდელი ფაუნის (კაშხლის მშენებლობამდე) მხოლოდ 10%-ია შემორჩენილი. ისტორიულად ხანჩალის ტბა წარმოადგენდა მთავარ ჰაბიტატს თევზის ადგილობრივი სახეობებისათვის, როგორცაა აღმოსავლური ფრიტა (*Alburnoides bipunctatus eichwaldi*) და ქაშაპი (*Leuciscus cephalus orientalis*); დღეისთვის ტბის ოდესღაც მდიდარი იხტიოფაუნა მეტისმეტად გაღარიბებულია და შემოიფარგლება ინტროდუქციული კარასით (*Carassius carassius*), რომელიც, როგორც ამბობენ, 1990-იან წლებში ხანჩალის ტბაში აგრიჩაის მდინარიდან ფრინველებმა შემოიტანეს; დღეს კარასი ვარხვების მთავარ საკვებს წარმოადგენს. თევზების წინანდელი სახეობები, რომლებიც ქვირითის ყრის პერიოდში სამხრეთ შენაკადებისკენ მიგრირებდნენ, საერთოდ აღარ არსებობს. ტბაში

ეუტროფიკაციის მაღალი დონე მიმდებარე სოფლების მცხოვრებთა მიერ პირუტყვისა და ნაკელის არასათანადო გამოყენების შედეგია.

3. ფარავნისა და სალამოს ტბებში სარეწაო ჭერები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ხდებოდა, ფარავნის ტბა, სალამოს ტბასთან ერთად გაიცემოდა იჯარით, ასეთივე წესი შენარჩუნდა 1932 წლამდე. მარაგები დროდადრო კატასტროფულად მცირდებოდა. მარაგების აღსადგენად ხდებოდა ჭერების აკრძალვა და თითმის ყოველ სამ წელში ერთხელ ხდებოდა ჭერების აკრძალვა, ასე იყო 1881, 1884, 1887, 1894 წლებში. მთავარი სარეწაო მნიშვნელობის თევზები იყო კალმახი და კობრი, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის იყო ხრამული და ქაშაპი. 1940-იანი წლებიდან მთავარი სარეწაო თევზი 30-იან წლებში ინტროდუცირებული ჭაფალა გახდა, ყველაზე მაღალი ჭერილის მაჩვენებელი დაფიქსირდა 1947 წელს და მიაღწია 2035 ცენტნერს. მომდევნო წლებში საგრძნობლად დაეცა, რასაც მოჰყვა 1950, 1951 წლებში ტბაზე ჭერის აკრძალვა. 1897 წელს ლიტერატურული წყაროებით ფარავნის და სალამოს კალმახები გახდა ცნობილი. ტაბაწყურის კალმახის მსგავსად.

ფარავნის და სალამოს ტბების იხტიოფაუნა წარმოდგენილი იყო შემდეგი თევზებით: კობრი (*Cyprinus carpio*), ხრამული (*Capoeta capoeta*), ტბის ქაშაპი (*Squalius cephalus*), აღმოსავლური მარდულა (*Alburnoides bipunctatus*), კალმახი (*Salmo trutta lacustris*), ლადოგური ჭაფალა (*Coregonus albula*), რომელიც 1930-იან წლებში ლადოგის ტბიდან იქნა შემოყვანილი. წლების განმავლობაში ფარავნის ტბაში ტბის კალმახს, კობრს და ევროპულ ჭაფალას სარეწაო მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო ხრამულის რაოდენობა საქართველოში შემცირებისკენ იყო წასული და კონსერვაციული ღონისძიებები ტარდებოდა. წარსულში მარდულა ძალიან დიდი რაოდენობით იყო ფარავნის ტბაში, ამის გამო მას სამეურნეო მნიშვნელობაც კი ჰქონდა.

ფარავნის ტბაზე 2007 წლის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ტბის დომინანტი სახეობები იყო ინტროდუცირებული ევროპული ჭაფალა (მთლიანი ჭერების 75%) და ინვაზიური კარჩხანა/კარასი (*Carassius gibelio*) (მთლიანი ჭერილის 15-20%). ადგილობრივი სახეობები კი მხოლოდ დარჩენილ 5-10%-ს შეადგენდა, ესენია: ჩვეულებრივი მარდულა, ნაფოტა (*Rutilus rutilus*), ხრამული, კავკასიური ქაშაპი, მტკვრის ციმორი (*Romanogobio persus*) ძალიან მცირე რაოდენობით ტბის კალმახი და კობრი.

2014-2017 წლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა რომ ფარავნისა და სალამოს ტბებში სახეობების რაოდენობრივი შემადგენლობა მკვეთრად შეცვლილი; ზოგიერთი მნიშვნელოვანი სარეწაო თევზის, როგორებიცაა კალმახი, ჭაფალა, კობრი, წვერა, რიცხოვნობა მინიმუმამდე შემცირებული და ამ სახეობებს არა თუ სარეწაო მნიშვნელობა აღარ აქვთ, არამედ ლოკალურად გადაშენების საფრთხის ქვეშ არიან.

4. აბულის ტბაში ჩატარებული 2018 წლის კვლევების დროს თევზის არცერთი სახეობა არ იქნა ნაწახი.

5. მადათაფას ტბის აღკვეთილი: ბოლო პერიოდში მადათაფას ტბის წყალშემკრებ აუზში ნალექების შემცირება აღინიშნა, რის შედეგადაც წყლის მოცულობამ დაიკლო. ეს პრობლემა უფრო მეტად მწვავედება იმის გამო, რომ მდინარე მადათაფას არხი ბუნებრივად ღრმავდება, რაც ტბის გადენის მომატებასა და აჩქარებას იწვევს (მდ. მადათაფა ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან გამოედინება). ტბის წყლის დონის

დაწევამ განაპირობა დაჭაობებული ადგილების წარმოქმნა ტბის იმ ნაწილებში, სადაც წყალი უფრო დაბალია; ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მზარდი ეუტროფიკაცია გამოწვეულია ტბის სანაპირო ზოლში პირუტყვის მოვებით და ტბის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ მდებარე დასახლებების მიერ ნაკელის არასათანადო გამოყენებით. თევზის ადგილობრივი სახეობები ძირითადად კარასმა შეცვალა, რომელიც ადგილობრივ თევზჭერასაც უზრუნველყოფს და ვარხვებისთვის და ფრინველთა სხვა სახეობებისთვის შესანიშნავი საკვებს წარმოადგენს.

6. ბულდაშენის ტბის აღკვეთილი: ტბის მოსაზღვრე ჩილდირის მთის სამხრეთ ფერდობები ინტენსიურად გამოიყენება სამოვრებად. მადათაფას ტბის მსგავსად, ჩილდირის მთიდან ჩამოდენილ წყალს თან მოჰყვება აზოტი და დანალექი, რაც იწვევს ტბაში დანალექის რაოდენობის და ეუტროფიკაციის ხარისხის მატებას. ტბის სამხრეთ ნაწილისთვის დამახასიათებელია დაჭაობებული ტერიტორიები. ტბის სიმეჩხრის გამო ფსკერი დაფარულია ჰიდროფილური მცენარეული სახეობებით და მათი ინტენსიური ზრდის და კვდომის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანული მასალით. ტბა ჭაობისაკენ გარდამავალ სტადიაში იმყოფება. ისტორიულად ტბაში გავრცელებული იყო აღმოსავლური ფრიტა (*Alburnoides bipunctatus eichwaldi*) და ქაშაპი (*Leuciscus cephalus orientalis*). ამჟამად იხტიოფაუნის გაბატონებული სახეობებია აღმოსავლური ფრიტა და კარასი. ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში პატარა კლდოვანი კუნძული მდებარეობს, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს ფრინველების გამრავლებისა და ბუდობის თვალსაზრისით. ტბის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაპირები დაბალია, რაც განაპირობებს ჭაობების წარმოქმნას. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებში შემავალ ტბებს შორის ბულდაშენის ტბა ყველაზე საინტერესო და მიმზიდველ ტბად ითვლება ფრინველთა მდიდარი ფაუნის და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების შესაძლებლობების მხრივ, განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე ფრინველთა მიგრაციის დროს.

7. სულდის ჭაობის აღკვეთილი: აღკვეთილის ჭარბტენიანი ტერიტორიების უფრო მშრალი პერიმეტრული დაბლობები გაზაფხულიდან შემოდგომამდე ინტენსიურად გამოიყენება სამოვრებად სოფელი ბოზალის, სოფელი სულდას და სოფელი მიასნიკიანის მოსახლეობის მიერ. ცენტრალური ნაწილი ამ მიზნით არ გამოიყენება. მუდმივად ნოტიო ადგილებსა და პერიმეტრულ დაბლობებს შორის გარდამავალ ტერიტორიებს სათიბად იყენებენ.

8. კარწახის ჭაობის აღკვეთილი: ჭარბტენიანი ტერიტორიები ძალიან მნიშვნელოვანია გადამფრენი ფრინველებისთვის, განსაკუთრებით შემოდგომაზე.

9. თეთრობის აღკვეთილი: ტერიტორიაზე ხდება სამოვრების და ტყის რესურსებით სარგებლობა სოფელი აზვარეთის, ალასტანის, გოკიო, ვარევანის მოსახლეობის მიერ.

10. ჯდტ-ის დამხმარე ზონის სოფლების უმრავლესობა ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე არის დამოკიდებული. კერძოდ, ძირითადად ისინი იყენებენ სამოვრებს, სათიბებსა და თევზის რესურსს (დანართი 14: დაცული ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა). სოფლები ალასტანის, აზვარეთის და გოკიოს მოსახლეობა ყოველ წელს იღებს საშუაშე მასალას. დამხმარე ზონის სოფლების მცხოვრებლები უფასოდ სარგებლობენ სამოვრებითა და სათიბებით. საქართველოს მოქალაქეებზე იჯარით არის გაცემული დაცულ ტერიტორიებში არსებული სამოვრები.

სულ 3,966 ჰა. აქედან ახალქალაქის მუნიციპალიტეტიდან – 3,202 ჰა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტიდან – 764 ჰა. იჯარით გაცემული საძოვრების თანხის ნაწილი ირიცხება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიშზე, ნაწილი კი ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ანგარიშზე.

მუხლი 31. ბუნებრივი რესურსების დაცვა და პატრულირება

1. დაცული ტერიტორიები დაყოფილია 6 სარეინჯერო უბნად. დაცული ტერიტორიის პატრულირებას რეინჯერთა მოძრავი ჯგუფი, მთლიანობაში 9 რეინჯერი უზრუნველყოფს. დაცვის განყოფილება დაკომპლექტებულია 1 დაცვის განყოფილების უფროსით, 1 უბნის უფროსი რეინჯერით, 8 რიგითი რეინჯერით და 1 ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტით. დაცული ტერიტორიის პატრულირებას უზრუნველყოფს მადათაფას, ბუღდაშენის და ხანჩალის აღკვეთილებში თითო რეინჯერი, თეთრობის აღკვეთილში 2 რეინჯერი, ხოლო ჯავახეთის ეროვნულ პარკში 4 რეინჯერი.

2. დაცული ტერიტორიების დაცვა ხორციელდება პატრულირების მეშვეობით. ამჟამად არ ხდება SMART ან რომელიმე სხვა თანამედროვე მონიტორინგის მეთოდების გამოყენება. ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულია 17 საფეხმავლო მარშრუტი.

3. ამჟამად, სათანადო ინფრასტრუქტურის არქონის (სარეინჯერო თავშესაფარი) გამო, პატრულირება მხოლოდ შერჩეულ მონაკვეთებზე მიმდინარეობს და ვერ ფარავს დაცული ტერიტორიებს სრულად. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის გათვლით რეინჯერის თავშესაფარის მოწყობა სასურველია თეთრობის აღკვეთილში.

4. ადმინისტრაციას ჯერჯერობით არ გააჩნია სრული საჭირო აღჭურვილობა ეფექტური პატრულირებისა და მონიტორინგისთვის. ამ ეტაპზე ადმინისტრაციას გააჩნია ბინოკლები, ფოტომახეები, ცეცხლსასროლი იარაღი (2 პისტოლეტი და 5 თოფი). ადმინისტრაციის წინაშე ასევე დგას გამოცდილი კადრების ნაკლებობის საკითხიც.

5. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის რეინჯერთა საქმიანობის შედეგად ბოლო წლებში გამოვლენილი სამართალდარღვევები შემდეგია (იხ. ცხრილი 5):

ცხრილი 5: დაცული ტერიტორიებზე გამოვლენილი სამართალდარღვევები

წელი	სამართალდარღვევის სახე	სამართალდარღვევის რაოდენობა
2016	რეჟიმის დარღვევა	2
	უკანონო დაკავება	2
	უკანონო მოვება	6
2017	უკანონო ჭრა	3
	უკანონო მოვება	11
	თევზაობა	1
2018	უკანონო მოვება	9
	დანაგვიანება	1
	სხვა	4
2019	რეჟიმის დარღვევა	1
	დანაგვიანება	2
	ტერიტორიის უკანონო დაკავება	2
	უკანონო მოვება	9
2020	უკანონო მოვება	3

6. ზაფხულის დადგომასთან და სამოვრებზე საქონლის აყვანასთან დაკავშირებით, დაცული ტერიტორიების რეინჯერებს დაურიგდათ შესაბამისი ფორმები საქონლის სულადობის, სქესის და არსებულ მწყემსთა ბინებზე მონაცემთა აღრიცხვის მიზნით. გარდა ამისა მწყემსებთან მოხდა ხელწერილების დადება, რომლის მიხედვითაც იღებენ ვალდებულებას, შეასრულონ ეროვნული პარკის მოთხოვნები და დაიცვან უსაფრთხოების ნორმები. რაც რეინჯერებს ეხმარებათ მინიმუმამდე შეამცირონ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საფრთხე და ეკოსისტემის დეგრადირების ალბათობა (დანართი 15: ჯავახეთის ეროვნული პარკის სამოვრების მართვის რუკა).

7. ხანჩალის ტბის აღკვეთილის სანაპიროს გარკვეული პერიმეტრის სისტემატიური დანაგვიანება ყველაზე დიდი გამოწვევაა ამ ტერიტორიაზე ტურიზმისთვის. სოფელ დიდ ხანჩალისა და პატარა ხანჩალის მოსახლეობა ნაგავს ყრის პატარა ღელეში, რომელიც ჩაედინება ხანჩალის ტბაში. როდესაც ტბა ადიდდება წყალი ნაგავს რიყავს ნაპირზე, აღნიშნული პრობლემის აღმოფხვლა კი რეინჯერთა ძალისხმევა ვერ შეეღობა.

მუხლი 32. ადამიანური რესურსები

1. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ამჟამად გამოყოფილია 15 საშტატო ერთეული, რომელიც წარმოდგენილია ადმინისტრაციის დირექტორის, დაცვის განყოფილების უფროსი, უბნის უფროსი რეინჯერის, 8 რიგითი რეინჯერის, ბუნებრივი რესურსების სპეციალისტის, ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტის, ბუღალტრის და ერთი ტექნიკური პერსონალის პოზიციებით.

2. რეინჯერთა უმეტესობა ფლობს ქართულ ენას, რუსულს – 86%, რაც უმარტივებთ

- რუსულენოვან ტურისტებთან ურთიერთობას, ხოლო ინგლისურს – ორი რეინჯერი.
3. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის გათვლით დამატებით 3 რეინჯერის საჭიროებაა გამოვლენილი დაცული ტერიტორიების ეფექტური პატრულირებისთვის. კერძოდ, 1 რეინჯერი თეთრობის აღკვეთილზე, 1 რეინჯერი მადათაფას აღკვეთილზე და 1 რეინჯერი ხანჩალის აღკვეთილზე.
 4. ტურისტებს ადმინისტრაციაში ემსახურებათ ვიზიტორთა მართვის სპეციალისტი, რომელსაც შვებულებისა და დასვენების დღეებში ანაცვლებს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი. სამუშაო პროცესში დამატებითი ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით და ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადის მართვის გასამარტივებლად ვლინდება შემდეგი მიმართულებით კადრების დამატების საჭიროება: დამატებითი ვიზიტორთა სპეციალისტი, რომელიც ასევე მარკეტინგის სპეციალისტის ფუნქციებს შეითავსებს და/ან ინტერპრეტაციის სპეციალისტი, რომელიც დაკავებული იქნება ტურისტული პროდუქტის განვითარების მიმართულებით. საჭიროებას წარმოადგენს ასევე არსებულ პოზიციებზე სამუშაოს აღწერილობის დეტალიზაცია.
 5. მცირე ადამიანური რესურსისთვის, რომელიც ჯდტ-ის ადმინისტრაციაში მუშაობს, მნიშვნელოვან ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მოტივაციის სისტემის დანერგვა, რაც არსებულ კადრებს კარიერული განვითარებისა და შემოსავლის ზრდის შესაძლებლობებს მისცემს. ადამიანური რესურსების შეფასებისა და წახალისების სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს კადრების დენადობის შემცირებასა და გაზრდის შრომის ნაყოფიერებას სამუშაო პოზიციებზე.
 6. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას დაეხმარება ასევე მოხალისეთა პროგრამის შეუშავება იდეების გენერირების, სამუშაოს შესრულებისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის კუთხით. მაგ მოხალისეების დახმარება შესაძლებელია ბილიკების მოწყობაში, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში.
 7. 2015 წლიდან კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მიერ ხორციელდება სახელფასო დანამატის გაცემა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის, ხოლო 2018 წლიდან სხვა სამთავრობო უწყებებთან (სატყეოს ეროვნული სააგენტო, ზედამხედველობის დეპარტამენტი) სახელფასო განაკვეთის გათანაბრების მიზნით, დაცული ტერიტორიების სისტემაში, მათ შორის დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ ადმინისტრაციებშიც გაიზარდა ხელფასები. ადმინისტრაციის კადრების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სხვადასხვა დონორისა თუ განვითარების ორგანიზაციის (TJS, CNF, KFW, სხვა) დახმარებით ბოლო წლებში ჩატარდა თემატური ტრენინგები, მათ შორის: პირველადი სამედიცინო დახმარება, გიდების გადამზადება, საძოვრებზე პირუტყვის აღრიცხვის მეთოდოლოგია, იარაღის ხმარება და გამოყენება, ნარჩენების მდგრადი მართვა, ვიზიტორთა მომსახურება, ეკოგანათლება, მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა. ადმინისტრაციის თანამშრომლები საჭიროებენ დამატებითი კვალიფიკაციის, უნარებისა და გამოცდილების შეძენას სხვადასხვა თემატური მიმართულებით, მათ შორის ბიომრავალფეროვნების დაცვა და მონიტორინგი, რომ ეფექტურად მოახდინონ მონაცემთა შეგროვება და დახვეწონ ანგარიშგება.
 8. რეინჯერთა სრულ უმრავლესობას უწევს ვიზიტორებთან აქტიური კომუნიკაცია, რაც დაკავშირებულია უსაფრთხოების წესების გაცნობასა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე გამოხატავენ ინტერესს და მზადყოფნას კვალიფიკაციის ამაღლებისა და ენების ცოდნის გაღრმავების

კუთხით, ასევე ეკოტურისტული პროდუქტის განვითარებასა და მართვაში, მომსახურების სტანდარტებში, კვლევის მეთოდებსა და საჭიროებების ანალიზში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, გიდობა/ორგანიზებული ტურის წინამძღოლობაში, ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციაში.

9. დამატებით, ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით ეფექტიანი იქნება საქართველოს სხვა დაცულ ტერიტორიებზე სასწავლო ვიზიტების განხორციელება, უცხოეთის ანალოგიურ ან დამამოტივებულ პარკებში სტუმრობა. შესაძლებლობების გაძლიერების აღნიშნული საჭიროებები გამოვლენილ იქნა მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესის დროს და ასევე სხვადასხვა თემატური ანგარიშების დამუშავებისას, როგორცაა მაგალითად დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2019-2025.

მუხლი 33. ადმინისტრაციის მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

1. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს ქ. ახალქალაქში. ადმინისტრაციულ შენობაში მოწყობილია:

ა) საექსპოზიციო დარბაზი აღჭურვილი სხვადასხვა საინტერპრეტაციო საშუალებებით, სადაც ვიზიტორები ღებულობენ ინფორმაციას ჯდტ-ს ტურისტული რესურსების, მისი შექმნის ისტორიის, ფლორისა და ფაუნის, რეგიონში არსებული სხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ. აქ ასევე შესაძლებელია საგანმანათლებლო ვიდეორგოლის ნახვაც;

ბ) სამუშაო სივრცე თანამშრომლებისათვის;

გ) საკონფერენციო დარბაზი.

2. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა ასევე მოიცავს 3 ავტოფარეხს, 5 საპიკნიკეს, 4 ფრინველებზე დაკვირვების კოშკს, 2 ტურისტულ თავშესაფარს კარწახის ტბასთან და 5 საზოგადოებრივ საპირფარეშოს.

3. ადმინისტრაციას სატრანსპორტო საშუალებები შედგება 6 ავტომანქანისგან (2 მიცუბიმის, 1 ფორდ რეინჯერი, 2 სუზუკი და 1 ტოიოტა ლენდ კრუიზერ საფარის მარკის ჯიპის ტიპის ავტომანქანა).

4. ადმინისტრაციას ჯერ კიდევ მოსაწყობი/დასაკომპლექტებელი აქვს სრულფასოვანი დაცვის და ტურისტული საველე ინფრასტრუქტურა.

მუხლი 34. დაფინანსება

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ბიუჯეტი ამ ეტაპზე სამი ძირითადი წყაროდან ივსება, ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტი, კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) და ადგილზე გენერირებული შემოსავლები (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6: ჯდტ-ის ბიუჯეტი წლების მიხედვით

ბიუჯეტი	2015	2016	2017	2018	2019	2020
სახელმწიფო ბიუჯეტი	108 587	139 179.34	121640	121640	121640	134930
CNF	26095	66 610.5	112 636	122986	102431	105035

სხვა ფონდები და საკუთარი შემოსავლები	30208	57521.16	10240	8934	-	135760
სულ	193 738	263,311	244516	253560	224,071	375725

მუხლი 35. ეკოტურიზმი

1. დაცული ტერიტორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა:

ა) ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე განთავსებულია 5 საპიკნიკე, 4 ფრინველებზე დაკვირვების კოშკი, 2 ტურისტული თავშესაფარი კარწახის ტბასთან და 5 საზოგადოებრივი საპირფარეშო;

ბ) დაცული ტერიტორიების სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფრასტრუქტურა (იხ. ცხრილი 7);

გ) ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა სირთულის 7 მარკირებული ეკოტურისტული ბილიკია;

დ) დაცული ტერიტორიების ტურისტული ბილიკები ძირითადად ტბების გარშემო არის დაგეგმილი და რამდენიმე მათგანი ფრინველებზე დასაკვირვებლად სპეციალური კოშკურებით არის აღჭურვილი, კერძოდ მადათაფა და კარწახი. მიუხედავად იმისა, რომ მარკირების პროექტები გარკვეულ ბილიკებზე განხორციელდა, რიგი ბილიკები კვლავ არ არის მარკირებული და ასევე არ არის ბმა ბილიკებს შორის. მარშრუტებისთვის არ არის შექმნილი ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული აღწერა და ასევე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელი ადგილიდან არის შესაძლებელი კონკრეტულ ფრინველზე დაკვირვება წელიწადის დროის მიხედვით. ბილიკების მიმდებარედ არ არსებობს სხვა დამატებითი მომსახურებები, რაც შემოსავლის გენერირებასთან ერთად ხელს შეუწყობდა ვიზიტორთა კმაყოფილების ზრდას;

2. დაცული ტერიტორიების ტურისტული ბილიკების ზოგადი შეფასება შემდეგნაირია:

ა) დაცული ტერიტორიების ბილიკები აღჭურვილია ფრინველებზე დაკვირვების კოშკურებითა და სველი წერტილებით, თუმცა ეს უკანასკნელი საჭიროებს კეთილმოწყობას;

ბ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არ არსებობს ბეჭდური პროდუქცია, ონლაინრესურსები, სადაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება ფრინველთა სახეობების, დაკვირვების დროების, ადგილებისა და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ;

გ) მარშრუტები არ არის ინტერპრეტირებული და მათ ირგვლივ არ არის გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურა (მაგალითად რიგ მარშრუტებს აკლია მარკირება, საინტერპრეტაციო დაფები ნაწილობრივ დაზიანებულია და საჭიროებს განახლებას, სანჰიგიენურ კვანძებში არ არის დაცული ჰიგიენის ნორმები და ა.შ.);

დ) კულტურულ ბილიკებზე არ არის განვითარებული მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა (საინფორმაციო დაფები, მანიშნებლები); ასევე არ არის განთავსებული სანჰიგიენური კვანძები; არსებული ტურისტული სერვისების მიმომწოდებლების შეთავაზებები საჭიროებენ გარემო პირობებზე და ტურისტულ სეგმენტზე მორგებას.

3. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას აქვს აღჭურვილობა გასაქირავებლად (ზურგჩანთები, ელექტროველოსიპედები, ველოსიპედები, საძილე

ტომრები, კარვები, თოვლის ფეხსაცმელები და ა.შ) და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული და ორგანიზებული მომსახურებები.

4. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე ამჟამად 7 სხვადასხვა სირთულის მარკირებული ეკოტურისტული ბილიკია. შესაძლოა საცხენოსნო, სამთო-ველო, კულტურულ-საგანამანთლებლო, ფლორასა და ფაუნაზე დაკვირვების ტურების ორგანიზება; ასევე ეკოლოგიური ბანაკების, ექსკურსიების, სემინარების და სხვათა დაგეგმვა-შეთავაზება (დაცული ტერიტორიების ბილიკების დეტალური აღწერა და შეფასება იხილეთ დანართ 16-ში, ხოლო დაცული ტერიტორიების მიმდებარედ წარმოდგენილი ტურისტული მარშრუტები იხ. დანართ 17-ში):

- ა) სალაშქრო ტურები შესაძლებელია შვიდივე ბილიკზე;
- ბ) საცხენოსნო ტურები შესაძლებელია ორ ბილიკზე № 3,6;
- გ) ველოტურების განხორციელება შესაძლებელია სამ ბილიკზე № 1, 4 და 6.

5. სალაშქრო და ველო ტურების გარდა შესაძლებელია სპორტული თევზაობის და საფარი ტურის, ავტომობილით ტურების ორგანიზებაც; ასევე ტურისტული საქმიანობა/ბიზნესი, დაცულ ტერიტორიასთან ადგილობრივი სერვისის მომწოდებლების თანამშრომლობა.

6. დაცული ტერიტორიების 2014-2019 წლების ვიზიტორთა სტატისტიკა იხ. დიაგრამა 1-ზე. ვიზიტორთა ძირითადი მოტივაცია შემდეგია: თევზაობა, ეკოგანათლება, ლაშქრობა, ფრინველებზე დაკვირვება და შემეცნება. 2018 წელი ვიზიტორთა მკვეთრი კლებით გამოირჩევა, მიზეზად შესაძლოა დასახელდეს ტურისტული პროდუქტების, შეთავაზებების სიმცირე ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე და მომსახურების დაბალი ხარისხი მოცემულ არეალში. ხოლო 2019 წელს კოვიდ-პანდემიით შექმნილი სიტუაცია მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში.

დიაგრამა 1. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2020 წწ.

ვიზიტორთა სტატისტიკა	
2016	6803
2017	6872
2018	4616
2019	6425
2020	5967

7. დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები თვეების მიხედვით მოცემულია ცხრილში:

შემოსავლების სტატისტიკა	
2016	8222
2017	10240

2018	8934
2019	6899
2020	3857

8. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციას ვიზიტორთა მოთხოვნის საფუძველზე პოტენციურ მომხმარებლის და ადგილობრივი სერვისის მიმწოდებლის ერთმანეთთან დაკავშირება წარმოადგენს. ამჟამად ადმინისტრაცია თანამშრომლობს მხოლოდ ერთ განთავსების ობიექტთან და იშვიათად აქვთ მუდმივი კონტაქტი კერძო სექტორის სხვა წამომადგენლებთან;

9. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიების ადმინისტრაცია თანამშრომლობს ადგილობრივი სერვისის მიმწოდებლებთან, მაგალითად ცხენების მომსახურებას (რომელიც მოცემულია ცხრილ 8-ში) არ არის ადმინისტრაციის სერვისი, თუმცა ინფორმაციას და რეკომენდაციას ტურისტი ვიზიტორთა სპეციალისტისგან იღებს;

10. დაცულ ტერიტორიების ვიზიტორების ბოლო ოთხი წლის მონაცემებით საშუალო 40-45% უცხო ქვეყნის მოქალაქეა (იხ. ცხრილი 11).

ცხრილი 7: ვიზიტორების გადანაწილება

11. ვიზიტორების პირველი ხუთეული შემდეგი ქვეყნებით არიან წარმოდგენილნი: სომხეთი, რუსეთი, გერმანია, უკრაინა და საფრანგეთი, რომელთა უმეტესობა არაორგანიზებული ტურისტის სახით სტუმრობს დაცულ ტერიტორიებს (ცხრილი 12). ასევე მნიშვნელოვანია ბოლო წლებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების ზრდა. რაც შეეხება ორგანიზებული ვიზიტების რიცხვს ქვეყნის მასშტაბით მზარდია წლების მიხედვით, თუმცა მცირეა მაინც ვიზიტორთა საერთო სტატისტიკის ფონზე. კერძოდ, 2015 წელს ტურისტული პაკეტით ისარგებლა 2,1%-მა; 2016 – 4%; 2017 – 5%; 2018 – 5%.

12. ტურისტული მოთხოვნის ანალიზი (ტურისტული ვიზიტები და ვიზიტორთა ანალიზი)

ა) ძირითადი მიზეზები, რაც ტურისტების ვიზიტს განაპირობებს არის: თევზაობა, ეკოგანათლება, ლაშქრობა, ფრინველებზე დაკვირვება და შემეცნება. ვიზიტორთა ასაკობრივი კატეგორია მაღალია და ჭარბობენ საშუალო და საპენსიო ასაკის ვიზიტორები (36-55, 56-75). აღნიშულ ასაკში დატვირთვა ძირითადად ევროპის რეგიონზე მოდის. 25 წლის ასაკის და უფრო ახალგაზრდა ვიზიტორებზე შედეგების 6% მოდის რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ამის მიზეზია რეგიონში არსებული დივერსიფიცირებული პროდუქტის სიმცირე, ცუდად ფორმულირებული ტურისტული პროდუქტი და შეთავაზება, რეკრეაციულ-გასართობის სივრცეებისა და აქტივობების ნაკლებობა, ადგილობრივი კომპლექსური ტურისტული მომსახურების არარსებობა;

ბ) ტურისტების უმრავლესობა წყვილებად მოგზაურობს, შესაბამისად ჯგუფებში მდებარეობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლების თანაფარდობა თითქმის ყოველთვის თანაბარია. ზოგიერთ შემთხვევაში ტურისტულ ჯგუფებში ქალბატონების რაოდენობა ჭარბობს, რაც საერთაშორისო ტურიზმის ძირითად ტენდენციებშიც ფიქსირდება;

გ) ძირითადი ინტერესი ჯავახეთზე ევროპის რეგიონიდან მოდის, რომელიც

უმეტესწილად წარმოდგენილია გერმანულენოვანი (გერმანია, ავსტრია, ბელგია), დსთ-ის წევრი და ბალტიისპირეთის ქვეყნებით;

დ) ტურები ძირითადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გავლით სტუმრობას მოიაზრებენ და ადგილზე მოგზაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ რამდენიმე ღამით ჩერდება. ტურ-ოპერატორების მიერ დაგეგმილი ტურები აწყობილია ისე, რომ ტურისტები ორ დღეში სრულად ასწრებენ რეგიონში არსებული ძირითადი ადგილების მონახულებას და შემდგომ გზას სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარისკენ აგრძელებენ. 1-3 დღეს ვიზიტორების 70% ატარებს რეგიონში. გამოიკვეთა ისეთი კატეგორიაც, რომელიც ჯავახეთში მოგზაურობას შედარებით დიდ დროს უთმობს (3-10 დღემდე) შემეცნებასა და მოგზაურობას. ასეთი ადამიანებში გარკვეულ შემთხვევაში ორნითოლოგები არიან.

13. მიზნობრივი ჯგუფები და ბაზრის პოტენციალი:

ა) ვიზიტორთა პროფილის კვლევისას მნიშვნელოვანია ტურისტების კმაყოფილების გამოვლენა, რათა მოხდეს იმ ხარვეზებისა და პრობლემების აღმოფხვრა, რაც ტურისტული პროდუქტის გაყიდვას აფერხებს. კომპლექსური შეთავაზებების არარსებობა, დივერსიფიცირებული პროდუქტის სიმცირე, არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა სპეციალური საჭიროებების მქონე პირებზე, პოტენციური ტურისტული პროდუქტების მიზნობრივ ჯგუფებზე მორგებული შეთავაზებებად ჩამოუყალიბებლობა, დაბალი ხარისხის მომსახურება და უსაფრთხოების ზომების გაუთვალისწინებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რაც მთლიანობაში აისახება ვიზიტორის კმაყოფილებაზე;

ბ) საერთო ჯამში, ზემოაღნიშნული პრობლემებისა და მიუხედავად ვიზიტორების დიდი ნაწილი კმაყოფილია დაცული ტერიტორიების მონახულებით. კულტურული მემკვიდრეობის არქიტექტურული და ფუნქციონალური მრავალფეროვნება, არამატერიალური კულტურა, ეთნიკური სიჭრელე, უნიკალური ეკოსისტემა, ტბების სიუხვე. ეს ფაქტორები განაპირობებენ ტურისტის კმაყოფილებას;

გ) მთლიანობაში ვიზიტორთა რაოდენობა ჯერ კიდევ ძალიან მცირეა და ჩამორჩება იმ პროგნოზს, რომელიც „ჯავახეთის ეროვნული პარკის დაარსების“ პროექტის დროს იქნა გაკეთებული. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ძალიან მცირე სამიზნე ჯგუფებია, ვისთვისაც ჯავახეთის ეროვნული პარკი წარმოადგენს ტურისტულ ინტერესს. უფრო მეტიც, უცხოელი ტურისტებისათვის ტურისტული ადგილების სიუხვე საქართველოში აყენებს ტერიტორიას მკაცრი კონკურენციის პირობებში სხვა ტურისტულ მიმართულებებთან, როგორცაა სვანეთი, თუშეთი, ყაზბეგი, აჭარა, ბორჯომ-ხარაგაული, ა.შ. მიუხედავად ამისა სტრატეგიული მდებარეობა და აქტივობების შეთავაზება გარკვეული სამიზნე ჯგუფისათვის (მაგ. ფრინველებზე დამკვირვებლებისათვის, ცხენით მოჯირითეებისა და თევზმჭერებისათვის) შესაძლოა წარმატებული აღმოჩნდეს. ბაზარზე სწორი პოზიციონირება, სამიზნე სეგმენტის დროული იდენტიფიცირება და მასზე სათანადო ძალისხმევით მუშაობა აუცილებელი ღონისძიებებია, რათა ჯავახეთის ეროვნულმა პარკმა მიიზიდოს მეტი ვიზიტორი, შესთავაზოს მათ დივერსიფიცირებული პროდუქტი და მათი ინტერესი და მხარჯველუნარიანობა გაზარდოს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი თემის ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობაზე.

14. გარემოზე ეკოტურიზმის გავლენის მიმოხილვა:

ა) უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვიზიტორთა მცირე რაოდენობის პირობებშიც კი შეინიშნება ნარჩენებისა და ხმაურის უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, რაც

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაგალითად ხანჩალის ტბაზე, სადაც იშვიათი რუხი წერო ბინადრობს. შესაბამისად მნიშვნელოვანია ვიზიტორთა მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, რომელიც ადმინისტრაციას არ გააჩნია ამ ეტაპზე. საჭიროა ვიზიტორების რაოდენობის ზრდასთან ერთად ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, მცენარეული საფარისთვის ზიანის, დაუდევრობით გამოწვეული ხანძრების და სხვა რისკების გათვალისწინება და მათი მართვის გეგმების მომზადება, ისევე როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორცაა: სასტუმროები, ტურისტული ბილიკები, საკემპინგე ადგილები, და სხვა;

ბ) მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიებზე განისაზღვროს ვიზიტორების მაქსიმალური რაოდენობა დაცული ტერიტორიებისა და ბილიკების მიხედვით, რაც სამწუხაროდ ამ ეტაპზე არ ხდება. სენსიტიურ ადგილებში უნდა მოხდეს ვიზიტორთა რაოდენობისა და შემდგომში სიმჭიდროვის აღრიცხვა, რათა ვიზიტორთა რაოდენობამ არ მოახდინოს მოზუდარი ფრინველების დაფრთხობა.

15. პრობლემები და შესაძლებლობები:

ა) ტურიზმის განვითარებისთვის რეგიონში მნიშვნელოვანი გამოწვევაა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების თანამშრომლების მიერ ქართული ენის არცოდნა და არსებულ ობიექტებში ჰიგიენური ნორმების უგულვებელყოფა, ასევე ტურისტული ობიექტების მიმდებარედ საზოგადოებრივი საპირფარეოების სიმცირე და მოუწესრიგებლობა. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ, სადაც შესაძლებელია ღამის გათევა, არსებობს სულ 11 ობიექტი. აღნიშნული ობიექტებიდან 4 არის სასტუმრო, ხოლო 7 საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლი;

ბ) ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგზაო ნიშნების სიმცირე და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუარესებული მდგომარეობა, რომელიც სულ უფრო მძიმდება მკაცრი კლიმატური პირობებისა და არასათანადო ყურადღების გამო. დამატებით, რეგიონის დაბალი ცნობადობა, ინფორმაციის სიმწირე სოციალურ ქსელებსა და მედიაში ძალიან აფერხებს ვიზიტორების მოზიდვასა და ყურადღების მიქცევას. ტურისტების მოზიდვას ასევე აფერხებს გაუმართავი ონლაინრეზერვაცია. განთავსებისა და კვების ობიექტების დიდი ნაწილი არ არის რეგისტრირებული booking.com-ზე, airbnb.com-სა და tripadvisor.com-ზე;

გ) დაცული ტერიტორიები მისი უნიკალური ეკოსისტემებიდან გამომდინარე გამორჩეულად საინტერესო არეალს წარმოადგენს როგორც უცხოელი, ასევე შიდა ტურისტებისთვის. მიუხედავად იმისა რომ, დაცული ტერიტორიები ამ ეტაპზე ტურისტული ნაკადებით ნაკლებად დატვირთულია, იგი უდაოდ სათავგადასავლო და ეკოტურიზმის დიდი პოტენციალით გამოირჩევა, რაც მომავალში ამ ტიპის ტურიზმის მოყვარულთათვის მიმზიდველ დანიშნულების ადგილად გადაქცევის საშუალებას იძლევა. საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით პირველადი კატეგორიის გზები ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუ არ ჩავთვლით ნინოწმინდა-ბავრას, ნარდევანი-წალკისა და ახალქალაქი-გოგამენი-ვარძიის მონაკვეთებს. ახლახანს განხორციელებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების (მარნეული-წალკა) შემდგომ იგეგმება გზის (ახალციხე-ხულო) განახლება, რომელიც ძირითადი ავტომარშრუტის (ხაშური-ზესტაფონისა და ქუთაისის გავლით) ალტერნატიულ გზას წარმოადგენს, და რომელიც თანდათან იხვეჭს პოპულარობას ვიზიტორთა შორის. დაცული ტერიტორიისთვის მნიშვნელოვან მაგისტრალს წამოადგენს ხაშურიდან ჩრდილო-სამხრეთ ღერძზე, ბორჯომის გავლით გიუმრი და ერევანი, რაც დამატებით

სტრატეგიულ ღირებულებას განაპირობებს და სეგმენტის მასშტაბების გაზრდის საშუალებას იძლევა. დაცული ტერიტორიების მდებარეობას ტრანსრეგიონულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მივხვდებით, რომ გზაჯვარედინიდან ვიზიტორებს შეუძლიათ ერთდროულად მოინახულონ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ალგეთის, დაცული ტერიტორიები და არფის ტბების ეროვნული პარკი. ტრანსსასაზღვრო კომპონენტი კარგ ტურისტულ შეთავაზებად ფორმირება და მისი სასურველ ბაზარზე შეთავაზება ხშირ შემთხვევაში ვიზიტორებისათვის მიმზიდველ ფასეულობას წარმოადგენს. კომბინირებული ტური ჯავახეთისა და სომხეთის ჭარბტენიან ტერიტორიებზე თავისი კულტურული იდენტობისა და ტრადიციების გაცნობით, საინტერესო და მიმზიდველი პაკეტი იქნება. ამ პროფილის ტური საქართველოში არ არსებობს და ჯდტ-სთვის ეს არის შესაძლებლობა, რომ სწორი ნიშა დაიჭიროს და ბაზარზე პოზიციონირდეს ამ ტურისტული შეთავაზებით. სტრატეგიულ ჭრილში შესაძლოა განხილული იყოს ხელსაყრელი რეგიონალური მდებარეობა ვარძიის კომპლექსთან და ბორჯომის მუზეუმთან მიმართებაში. ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015-2018 წლების მონაცემებით ვიზიტორთა ნაკადების ვარძიისა და ბორჯომის მუზეუმში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს ჯავახეთისათვის. ვარძიის ტურისტული პროდუქტის გაფართოვებით და მარტივი, ერთდღიანი ტურების შეთავაზებით ნაკადების რაოდენობის გაზრდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და პერსპექტიული ნაბიჯი იქნება დაცული ტერიტორიებისათვის. ჯდტ-ს სიახლოვეს ტურისტთა ცირკულაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე რეგიონალური მნიშვნელობის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალს, რომლის ამოქმედება უკვე რვა წლით გადასცდა დაგეგმილ ვადებს, თუმცა მშენებლობა ამჟამინდელი მდგომარეობით თითქმის დასრულებულია. აღნიშნული სარკინიგზო მაგისტრალი ამოქმედებისთანავე რეგიონში ვიზიტორების დიდ შემოდინებას გამოიწვევს, შესაბამისად ძალიან დროულია როგორც არსებული ტურისტული მომსახურებების, ასევე განსაკუთრებით მგრძნობიარე ტერიტორიების სწორი მართვა.

მუხლი 36. ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. ეკოგანათლების მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები ესადაგება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკოსაგანმანათლებლო სტრატეგიის ზოგად მიმართულებებს, ხელი შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების გაზრდასა რათა უზრუნველყოს დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური პირობების შენარჩუნება.

2. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ატარებს ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებს სამოქმედო გეგმის მიხედვით. რეგულარულად ტარდება ლექცია-სემინარები სკოლებისთვის სხვადასხვა თემატიკაზე, მათ შორის საქართველოს დაცული ტერიტორიების, წითელი ნუსხის სახეობების, დაცული ტერიტორიებისა და ღირებულებების შესახებ.

3. საზოგადოებასთან ურთიერთობა:

ა) ძირითადი მარკეტინგული და სარეკლამო ღონისძიებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხორციელდება ცენტრალიზებულად დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ჩართულობით;

ბ) აზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება შემდეგი რესურსებით:

საინფორმაციო მასალებით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდი apa.gov.ge, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით როგორცაა: Facebook, Instagram, Twitter და youtube;

გ) ამ ეტაპზე ჯდტ ადმინისტრაციის მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობა არ არის აქტიური, თუმცა დაცული ტერიტორიის მიმართ ინტერესი დიდია და სამომავლოდ თანამშრომლობა უფრო გააქტიურდება;

დ) დაცული ტერიტორიების სააგენტო თანამშრომლობს ცენტრალურ მედიასთან;

ე) დაცული ტერიტორიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს მასმედია, ტუროპერატორები, ახალგაზრდები (სტუდენტების, მოსწავლეები) ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა;

ვ) ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის სააგენტო ასევე იყენებს პრესტურებს, საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობებს და გაცნობითი ტურებს;

ზ) მიუხედავად თემთან დაწყებულ თანამშრომლობისა, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრების მოწყობაში, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია თემთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე დგას. დაცული ტერიტორიების მიერ ორგანიზებულმა რეინჯერთა ფოკუს ჯგუფმა საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის (ჯდტ-სთან მიმართებაში) მონიტორინგისა და კვლევის მიზნით გამოკითხვა აწარმოა დაცული ტერიტორიის ექვსივე კვარტალში. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 90-ზე მეტმა მონაწილემ დაცული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებიდან. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე დაცული ტერიტორიის და მისი საქმიანობის შესახებ;

თ) საინფორმაციო ბროშურებისა და გზამკვლევების რაოდენობა და მათი გავრცელების არეალი საკმაოდ ვიწროა. დაცული ტერიტორიის შესახებ განთავსებული ინფორმაცია ინტერნეტში არასრულყოფილია და სამიზნე სეგმენტამდე მიღწევის არხები/გზები არასათანადოდ არის შერჩეული და განსაზღვრული. თუმცა სტრატეგიის შემუშავების პროცესის პარალელურად ეროვნული პარკების ბრენდირების მიზნით, მის საკომუნიკაციო პლატფორმებზე მიმდინარეობს მუშაობა. აღნიშნული ფაქტი საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში არსებული პრობლემა იქნება მოგვარებული.

მუხლი 37. პარტნიორული თანამშრომლობა

1. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა“ ფარგლებში, კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) ეხმარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის და შესაბამისი საოპერაციო გეგმის განახლებაში. აღნიშნული ერთობლივი პროექტი 2023 წლამდე გაგრძელდება. CNF პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფს ჯავახეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის სახელფასო დანამატის გაცემას, შენობა-ნაგებობების აღდგენის, მოვლა-შენახვისა და მიმდინარე ხარჯების თანადაფინანსებას, აღჭურვილობისა და ავტოპარკის განახლებას, საკვანძო სახეობაზე

ორიენტირებული მონიტორინგის სისტემის შექმნას.

2. ENPARD პროექტის „სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში“ ფარგლებში, CNF-ის მხარდაჭერით კარწახის ტბასთან აშენდა სასტუმროს ტიპის კოტეჯები ვიზიტორებისათვის.

3. 2018 წელს, პროექტის „ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს – TJS-ის მესამე ფაზის“ ფარგლებში (WWF-ის, BMZ-ის და KfW-ის ფინანსური მხარდაჭერით) შემუშავდა დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2019-2025). ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს TJS-ის მესამე ფაზის ფარგლებში მიმდინარეობს ტრანსსასაზღვრო მონიტორინგი საქართველო-სომხეთს; კერძოდ, ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებსა და ტბა არფის ეროვნულ პარკს შორის. პროექტის ფარგლებში შემუშავდა მონიტორინგის გეგმები. ორივე დაცული ტერიტორიის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი. ასევე, მათთვის შეძენილი იქნა შესაბამისი აღჭურვილობა მონიტორინგის ჩასატარებლად. შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, დატრენინგებული რეინჯერების მიერ ექსპერტთან ერთად მიმდინარეობს მონაცემების შეგროვება შერჩეული გადამფრენი და მოზუდარი ფრინველებისთვის. პერიოდულად, ჯავახეთის და ტბა არფის დაცული ტერიტორიების წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს მონიტორინგის შედეგების გაზიარების მიზნით. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივ (საქართველო-სომხეთი) ელექტრონულ მონაცემთა ბაზის პროგრამის შემუშავებაზე და მასში მონაცემების შეყვანაზე. პროგრამა ამჟამად მუშაობს სატესტო რეჟიმში.

4. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას გააჩნია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით.

5. მნიშვნელოვანია ასევე პარტნიორული და საქმიანი ურთიერთობების დამყარება და განვითარება სხვადასხვა უწყებებთან:

ა) სამთავრობო უწყებები: ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები (შესაბამისი მუნიციპალური სამსახურები), სამცხე-ჯავახეთის გუბერნია, ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო/ეროვნული მუზეუმების ასოციაცია, განათლების სამინისტრო, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, კვლევითი ბაზები, პოლიცია, სამაშველო სამსახური (112), ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური, ა.შ;

ბ) ადგილობრივი და ეროვნულ დონეზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები: ეკოტურიზმის ასოციაცია, სამთო გიდების ასოციაცია, ტრადიციული რეწვის ასოციაცია, „ელკანა“, „ნაკრესი“, ახალქალაქის ეპარქია, ფოკის დედათა და მამათა მონასტრები, ა.შ;

გ) კერძო სექტორი: ტურისტული მომსახურების მომწოდებლები (განთავსებისა და კვების ობიექტები, აგროტურისტული მეურნეობები, გაქირავების ობიექტები), ადგილობრივი ტურისტული მომსახურების წარმომადგენლები – გიდები, გამყოლები, ტუროპერატორები, ა.შ.

მუხლი 38. კვლევა-მონიტორინგი

1. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადინისტრაციის რეინჯერები ყოველთვიურ ანგარიშებს ამზადებენ და აბარებენ ადმინისტრაციას ფრინველებისა და ცხოველების

მონიტორინგის შესახებ. ამჟამად ადმინისტრაციაში არსებობს ფრინველებისა და ცხოველების შესახებ ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომლის განახლებაც ხდება ყოველთვიურად.

2. TJS-ის და CNF-ის მხარდაჭერით ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებსა და ტბა არფის ეროვნულ პარკს შორის (სომხეთი) მიმდინარეობს ტრანსსასაზღვრო ორნითოლოგიური მონიტორინგი. მონიტორინგი ტარდება, როგორც გადამფრენ, ასევე მოზუდარ ფრინველებზე.

ა) გადამფრენი ფრინველები:

გარეული იხვი (<i>Anas platyrhynchos</i>)
რუხი იხვი (<i>Anas strepera</i>)
განიერნისკარტა იხვი (<i>Anas clypeata</i>)
ბოლოსადგისა იხვი (<i>Anas acuta</i>)
სტვენია იხვი (<i>Anas crecca</i>)
ჭახჭახა იხვი (<i>Anas querquedula</i>)
წითელთავა ყვინთია (<i>Aythya ferina</i>)
ქოჩორა ყვინთია (<i>Aythya fuligula</i>)
მელოტა (<i>Fulica atra</i>)
რუხი ბატი (<i>Anser anser</i>)
ქოჩორა ვარხვი (<i>Pelecanus crispus</i>)
ვარდისფერი ვარხვი (<i>Pelecanus onocrotalus</i>)
დიდი ჩვამა (<i>Phalacrocorax carbo</i>)

ბ) მოზუდარი ფრინველები:

ქოჩორა ვარხვი (<i>Pelecanus crispus</i>)
თეთრი ვარხვი (<i>Pelecanus onocrotalus</i>)
სომხური თოლია (<i>Larus armenicus</i>)
თეთრი ყარყატი (<i>Ciconia ciconia</i>)
რუხი წერო (<i>Grus grus</i>)
წითელი იხვი (<i>Tadorna ferruginea</i>)
ღალღა (<i>Crex crex</i>)
მწყერი (<i>Coturnix coturnix</i>)
ჭაობის მელქორი (<i>Circus aeruginosus</i>)

3. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მუდმივად აგროვებს მასალებს „ბუნების მატრიანესთვის“, რომელიც მოიცავს მეტეოროლოგიურ მონაცემებს სტიქიურ მოვლენებზე, სახეობებზე შემთხვევითი დაკვირვების მონაცემებს საფრთხეში მყოფი სახეობების და ჰაბიტატების ჩათვლით, აგრეთვე გარე მკვლევარებისა და მეცნიერებების საქმიანობების შესახებ ანგარიშებს, რომლებიც მუშაობენ ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებში ფრინველების პოპულაციების მდგომარეობის მონიტორინგის პროგრამისათვის ფრინველთა 9 სახეობაა რეკომენდებული (დანართი 18).

მუხლი 39. დაცული ტერიტორიების კატეგორიები და ზონები

1. ჯავახეთის ეროვნული პარკის, კარწახის ჭაობის აღკვეთილის, სულდის ჭაობის აღკვეთილის, ხანჩალის ტბის აღკვეთილის, ბულდაშენის ტბის აღკვეთილის, მადათაფას ტბის აღკვეთილის, ფარავნის ტბის აღკვეთილის, სალამოს ტბის აღკვეთილის, აბულის ტბის აღკვეთილისა და თეთრობის აღკვეთილის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების მიზანია მათზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განვითარების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

2. ჯავახეთის ეროვნული პარკის თავისებურებების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობისა და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გათვალისწინებით, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები: ბუნების მკაცრი დაცვის ზონა, ვიზიტორთა ზონა და ტრადიციული გამოყენების ზონა (ზონირება დატანილია რუკაზე დანართ 19-ში, პერიმეტრის კოორდინატები მოცემულია დანართ 20-ში).

3. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმის მომზადების ფარგლებში მოხდა მკაცრი დაცვის ზონის გაფართოება კარწახის ტბის მიდამოებში ტრადიციული გამოყენების ზონის შემცირების ხარჯზე (სადაც თევზაობის შეზღუდვა უზრუნველყოფს კობრის აღწარმოებას და პოპულაციის შენარჩუნებას, რამდენადაც ეს ზონა წარმოადგენს როგორც გამრავლების, ასევე საკვებ არეებს) ასევე ვიზიტორთა ზონის გაფართოება (ზონის გამოყენება რეკომენდებულია სამოყვარულო თევზჭერის განსახორციელებლად) ტრადიციული გამოყენების ზონის შემცირების ხარჯზე 2019 წლის კარწახის ტბის იქტიოფაუნის და სხვა ჰიდრობიონტების შესწავლის ანგარიშის საფუძველზე.

4. ბუნების მკაცრი დაცვის ზონა

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა – ზონა, რომელიც ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამანპულაციური მეცნიერული კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ზონა მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებზეც ანთროპოლოგიური ზეგავლენა ძალიან უმნიშვნელო იყო. ეს ზონა წარმოადგენს ნაკლებად სახეცვლილ ეკოსისტემებს, გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა და მცენარეთა ძირითადი ჰაბიტატების ძირითად გავრცელების არეალს.

ბ) პარკის ეს ზონა ტერიტორიულად თითქმის მთლიანად ემთხვევა სასაზღვრო ზონას, რომელიც არსებული რეჟიმის გამო უკეთაა დაცული. ამგვარად, ზონა მოიცავს ეროვნული პარკის ზედა, სასაზღვრო ნაწილს, სადაც ბალახეულ ეკოსისტემებს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები. სამომავლოდ, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე მოთხოვნილების კლების კვალდაკვალ, განზრახულია მკაცრი დაცვის ზონის გაფართოება (3,038 ჰა-მდე) ტრადიციული გამოყენების ზონის შემცირების ხარჯზე.

5. ვიზიტორთა ზონა:

ა) ვიზიტორთა ზონა – ზონა, რომელიც ეწყობა ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ეს ზონა მოიცავს ჯავახეთის ეროვნული პარკის ეკოსისტემის ყველაზე მეტად დამახასიათებელ ნიმუშებს. ამ ზონის ზოგიერთმა ტერიტორიებმა განიცადეს მეტნაკლები ცვლილებები ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ აქ არ არის დაშვებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა. ვიზიტორთა

ზონაში მდებარეობს დამთავალიერებლებისთვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილები, როგორცაა: მაღალი სარეკრეაციო ღირებულებითა და ბუნებრივი მახასიათებლებით გამორჩეული ტერიტორიები. ამ ზონაში ასევე შედის ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ცხოველების ჰაბიტატებს და სამიგრაციო ბილიკებს.

ბ) ზონა მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც ადამიანის სამეურნეო საქმიანობით ნაკლებადაა სახეცვლილი და წარმოაჩენს პარკის ყველაზე დამახასიათებელ ეკოსისტემათა ნიმუშებს. ზონაში მოქცეულია ვიზიტორთათვის საინტერესო და მიმზიდველი არეები, უპირველეს ყოვლისა, პერცეფციულ-ესთეტიკური თვალსაზრისით. პარკის ვიზიტორთა ზონა ორ განცალკევებულ მონაკვეთს მოიცავს: კარწახის ტბისა და ე.წ. “ვეფხვის“ კანიონის სახით. კარწახის ტბა, მისი ტრანსპარანტობა მდებარეობის გამო, რეგიონში ერთადერთია, რომელსაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ტექნიკურ-ანტროპოგენული ზეგავლენა არ განუცდია. “ვეფხვის“ კანიონი კი კლდოვან, ნაშალ-ღორღიან და ბალახოვანი ჰაბიტატების ფრაგმენტებს მოიცავს. კანიონის უბნის ფართობი ტბის უბნის ფართობზე დაახლოებით 3-ჯერ მეტია.

6. ტრადიციული გამოყენების ზონა:

ა) ტრადიციული გამოყენების ზონა – ზონა, რომელიც ეწყობა ბუნების დაცვისა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონა მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად.

ბ) ზონა მოიცავს როგორც სახმელეთო (სუბალპურ-ალპურ), ასევე წყლის (უმთავრესად, კარწახის ტბის საქართველოს საზღვრებში მოქცეული ნაწილი) ეკოსისტემებს, სახელდობრ – პარკის იმ ტერიტორიებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა ზაფხულის საძოვრებად, სათიბებად, როგორც ადგილობრივი, ასევე საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობის მიერ (ე.წ. მომთაბარე მესაქონლეობა), ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თევზის რესურსების მოსაპოვებლად. ზონაში აუცილებელია ძოვების გაკონტროლება ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის მეშვეობით – ჭარბი ძოვების, ეროზიისა და ადგილობრივ ფლორასა და ფაუნაზე მავნე ეკოლოგიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად.

მუხლი 40. დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და ფუნქციური ზონების ტერიტორია და საზღვრები

1. ჯავახეთის ეროვნული პარკის, კარწახის ჭაობის ალკვეთილის, სულდის ჭაობის ალკვეთილის, ხანჩალის ტბის ალკვეთილის, ბულდაშენის ტბის ალკვეთილის, მადათაფას ტბის ალკვეთილის, ფარავნის ტბის ალკვეთილის, სადამოს ტბის ალკვეთილისა და აბულის ტბის ალკვეთილის ფართობები განისაზღვრება „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4-მე-9 მუხლებით, ხოლო თეთრობის ალკვეთილის ფართობი – „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით.

2. დაცულ ტერიტორიების კატეგორიებისა და ფუნქციური ზონების ფართობები:

ა) ჯავახეთის ეროვნული პარკი – 13 498,02 ჰა:

ა.ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა – 2335 ჰა;

ა.ბ) ვიზიტორთა ზონა – 1136 ჰა;

- ა.გ) ტრადიციული გამოყენების ზონა – 10027,02 ჰა;
- ბ) კარწახის ჭაობის აღკვეთილი – 157,5 ჰა;
- გ) ფარავნის ტბის აღკვეთილი – 4031 ჰა;
- დ) საღამოს ტბის აღკვეთილი – 629 ჰა;
- ე) აბულის ტბის აღკვეთილი – 211 ჰა;
- ვ) სულდის ჭაობის აღკვეთილი – 309,3 ჰა;
- ზ) ხანჩალის ტბის აღკვეთილი – 727,3 ჰა;
- თ) ბუღდაშენის ტბის აღკვეთილი – 119,3 ჰა;
- ი) მადათაფას ტბის აღკვეთილი – 1398 ჰა;
- კ) თეთრობის აღკვეთილი – 3089 ჰა.

მუხლი 41. დაცული ტერიტორიების თითოეულ კატეგორიასა და ზონაში დაშვებული საქმიანობების ჩამონათვალი

1. ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ზონების მიხედვით, აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში დაშვებულია:
 - ა.ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება (სამეცნიერო და საგანმანათლებლო, იდენტიფიკაციისა და გამრავლების მიზნით მცირე რაოდენობის საჭერბარიუმო და საკოლექციო მასალის, მცენარეთა ნაწილების, თესლებისა და ბოლქვების, უხერხემლო და მცირე ზომის ხერხემლიანი ცხოველების ამოღება);
 - ა.ბ) მონიტორინგის სამუშაოების ჩატარება (სანიმუშაო ფართობების მოწყობა და მუდმივი დაკვირვების წარმოება, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების მდგომარეობის შეფასება და დაკვირვება, აღრიცხვა/ინვენტარიზაცია და სხვა);
 - ა.გ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციის პერსონალის ავტო-, მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
 - ა.დ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვა).
- ბ) ვიზიტორთა ზონაში დაშვებულია:
 - ბ.ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;
 - ბ.ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მათს ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაცია, მოვლა და აღდგენა;
 - ბ.გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური სისტემის დაცვა და მონიტორინგი;
 - ბ.დ) სამეცნიერო კვლევა;
 - ბ.ე) საგანმანათლებლო საქმიანობა;
 - ბ.ვ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;
 - ბ.ზ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (პატრულირების დროს გადაადგილება ცხენებით, ავტო-, მოტო- და საჰაერო ტრანსპორტით, მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები ჩატარება და სხვა);
 - ბ.თ) მონიტორინგის სამუშაოთა განხორციელება;
 - ბ.ი) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული დაშვება;
 - ბ.კ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და მისით სარგებლობა, მათ შორის:
 - ბ.კ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ

- 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- ბ.კ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- ბ.კ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- ბ.კ.დ) კაფეტერიის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- ბ.კ.ე) საკონფერენციოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- ბ.კ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- ბ.კ.ზ) საჯინბოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- ბ.კ.თ) სველი წერტილების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- ბ.კ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);
- შენიშვნა:** „ბ.კ.ა“–„ბ.კ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს.
- ბ.ლ) გადაადგილება ფეხით და ცხენით, ნაწილობრივ სახეშეცვლილი ბუნების ტერიტორიაზე – ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;
- ბ.მ) სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა, მათ შორის, ნავით;
- ბ.ნ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.
- გ) ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია:
- გ.ა) პირუტყვის ტრადიციული, რეგულირებული ძოვება;
- გ.ბ) თიბვა მძიმე, მუხლუხიანი სათიბი მოწყობილობებისა და დანადგარების გარეშე;
- გ.გ) თევზჭერა;
- გ.დ) ენედემური სახეობების აღწარმოებისათვის ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობა;
- გ.ე) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მათს ფარგლებში გავრცელებული გარეული ფაუნისა და ფლორის სახეობების დაცვა, მოვლა და აღდგენა;
- გ.ვ) ეკოსისტემების დაცვა, მოვლა და აღდგენა;
- გ.ზ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
- გ.თ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
- გ.ი) სამეცნიერო საქმიანობის მიზნით საჭერბარიუმო მასალის შეგროვება.
- გ.კ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და მისით სარგებლობა, მათ შორის:
- გ.კ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

გ.კ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

გ.კ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

გ.კ.დ) კაფეტერიის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

გ.კ.ე) საკონფერენციოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

გ.კ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

გ.კ.ზ) საჯინბოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

გ.კ.თ) სველი წერტილების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

გ.კ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

შენიშვნა: „გ.კ.ა“–„გ.კ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს.

გ.ლ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;

გ.მ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა;

გ.ნ) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილება;

გ.ო) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება, მათ შორის, ნავით;

გ.პ) გზებისა და ბილიკების მოვლა და მოწყობა;

გ.ჟ) სკების ლიმიტირებული რაოდენობის განთავსება;

გ.რ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამკურნალო და საკვები მცენარეების შეგროვება და პირადი მოხმარება;

გ.ს) საქონლის სადგომების (დროებითი ნაგებობა) მოწყობა;

გ.ტ) ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და ეროზირებული მონაკვეთების აღდგენა;

გ.უ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

გ.ფ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

2. ხანჩალის ტბის ადკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა თევზჭერისთვის განკუთვნილ ადგილებში;

ბ) თიბვა მძიმე, მუხლუხიანი სათიბი მოწყობილობებისა და დანადგარების გარეშე;

გ) ტბის წყლის სარწყავი და სასმელ-სამეურნეო მიზნით გამოყენება შესაბამისი სანიტარიული ნორმების დაცვით, მხოლოდ შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შესაბამისი ანგარიშისა და დაგეგმილი ღონისძიებების შეთანხმების საფუძველზე;

დ) არსებული დამბის რეაბილიტაცია;

ე) შინაური ცხოველების დასარწყებლად ტბის წყლის გამოყენება დადგენილ

ადგილებში;

ვ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;
ზ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა;

თ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

ი) ვიზიტორთა დაგაადგილება, მათ შორის, ნავით;

კ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

3. მადათაფას ტბის აღკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა თევზჭერისთვის განკუთვნილ ადგილებში;

ბ) თიბვა მძიმე, მუხლუხიანი სათიბი მოწყობილობებისა და დანადგარების გარეშე;

გ) ტბის წყლის სარწყავი და სასმელ-სამეურნეო მიზნით გამოყენება შესაბამისი სანიტარიული ნორმების დაცვით, მხოლოდ შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შესაბამისი ანგარიშისა და დაგეგმილი ღონისძიებების შეთანხმების საფუძველზე;

დ) შინაური ცხოველების დასარწყულებლად ტბის წყლის გამოყენება დადგენილ ადგილებში;

ე) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

ვ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

ზ) არსებული დამბის რეაბილიტაცია;

თ) ვიზიტორთა დაგაადგილება, მათ შორის, ნავით;

ი) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

4. ბუღდაშენის ტბის აღკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა თევზჭერისთვის განკუთვნილ ადგილებში;

ბ) თიბვა მძიმე, მუხლუხიანი სათიბი მოწყობილობებისა და დანადგარების გარეშე;

გ) შინაური ცხოველების აღკვეთილის ტერიტორიაზე შეყვანა და გადაადგილება, მათი დარწყულებისა და მოვების მიზნით;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

ე) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

ვ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

5. სულდის ჭაობის აღკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) ლიმიტირებული თიბვა და შინაური ცხოველების ლიმიტირებული მოვება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ;

ბ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

გ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

დ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

6. კარწახის ჭაობის აღკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) ლიმიტირებული თიბვა და შინაური ცხოველების ლიმიტირებული მოვება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

ბ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

გ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

დ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

7. ფარაგნის ტბის აღკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) თევზჭერა თევზჭერისთვის განკუთვნილ ადგილებში, მათ შორის, სახეობების აღწარმოებისათვის ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობა;

ბ) თიბვა მძიმე, მუხლუხიანი სათიბი მოწყობილობებისა და დანადგარების გარეშე;

გ) ტბის წყლის სარწყავი და სასმელ-სამეურნეო მიზნით გამოყენება შესაბამისი სანიტარიული ნორმების დაცვით, მხოლოდ შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შესაბამისი ანგარიშისა და დაგეგმილი ღონისძიებების შეთანხმების საფუძველზე;

დ) არსებული დამბის რეაბილიტაცია და წყლის დონის რეგულირება;

ე) შინაური ცხოველების დასარწყულებლად ტბის წყლის გამოყენება დადგენილ ადგილებში;

ვ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

ზ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და მისით სარგებლობა, მათ შორის:

ზ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.დ) კაფეტერიის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ე) საკონფერენციოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ზ) საჯინიბოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.თ) სველი წერტილების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

შენიშვნა: „ზ.ა“–„ზ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს.

თ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

ი) ნავით გადაადგილება თევზჭერისა და ტურიზმის მიზნით;

კ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

8. სადამოს ტბის ადკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა თევზჭერისთვის განკუთვნილ ადგილებში, მათ შორის, სახეობების აღწარმოებისათვის ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობა;

ბ) თიბვა მძიმე, მუხლუხიანი სათიბი მოწყობილობებისა და დანადგარების გარეშე;

გ) ტბის წყლის სარწყავი და სასმელ-სამეურნეო მიზნით გამოყენება შესაბამისი სანიტარიული ნორმების დაცვით, მხოლოდ შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შესაბამისი ანგარიშისა და დაგეგმილი

ლონისძიებების შეთანხმების საფუძველზე;

დ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

ე) შინაური ცხოველების დასარწყულებლად ტბის წყლის გამოყენება დადგენილ ადგილებში;

ვ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

ზ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და მისით სარგებლობა, მათ შორის:

ზ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.დ) კაფეტერიის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ე) საკონფერენციოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ზ) საჯინიბოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.თ) სველი წერტილების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ზ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

შენიშვნა: „ზ.ა“ – „ზ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს.

თ) ნავით გადაადგილება თევზჭერისა და ტურიზმის მიზნით;

ი) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

9. აზულის ტბის ალკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა თევზჭერისთვის განკუთვნილ ადგილებში;

ბ) თიბვა მძიმე, მუხლუხიანი სათიბი მოწყობილობებისა და დანადგარების გარეშე;

გ) ტბის წყლის სარწყავი და სასმელ-სამეურნეო მიზნით გამოყენება შესაბამისი სანიტარიული ნორმების დაცვით, მხოლოდ შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შესაბამისი ანგარიშისა და დაგეგმილი ღონისძიებების შეთანხმების საფუძველზე;

დ) აღდგენითი სამუშაოების განხორციელება;

ე) შინაური ცხოველების დასარწყულებლად ტბის წყლის გამოყენება დადგენილ ადგილებში;

ვ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

ზ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა;

თ) ვიზიტორთა დაგაადგილება, მათ შორის, ნავით;

ი) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

10. თეთრობის აღკვეთილში დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა, მათ შორის, არქეოლოგიური და ისტორიულ-კულტურული ძეგლების კვლევა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა;

დ) აღდგენითი ღონისძიებები;

ე) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილება;

ვ) მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრისა და ხანძრებისგან დაცვის მიზნით, ტყეების ჩახერგილობისგან გაწმენდა, აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება;

ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება:

ზ.ა) ადგილობრივი მოსახლეობისათვის – ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის დროს;

ზ.ბ) სამძებრო-სამაშველო სამუშაოების განხორციელების დროს;

ზ.გ) სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს;

თ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული, აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და მოწყობა, მათ შორის:

თ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

თ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

თ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

თ.დ) კაფეტერიის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

თ.ე) საკონფერენციოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

თ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

თ.ზ) საჯინიბოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

თ.თ) სველი წერტილების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

თ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

შენიშვნა: „თ.ა“–„თ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ

უნდა აღმატებოდეს 10 მ-ს.

ი) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მათს ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

კ) ტყის ეკოსისტემების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

ლ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით, შეზღუდული რაოდენობის საჭერბარიუმო მასალის შეგროვება;

მ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ტერიტორიაზე ავტო-, მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება;

ნ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;

ო) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა;

პ) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება;

ჟ) აღკვეთილის მიზნებიდან გამომდინარე, გზებისა და ბილიკების მოვლა და მოწყობა;

რ) თეთრობის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა, ფუტკრის სკვების განთავსება, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-89 მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულებით ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 7 მ³-მდე სშემე მერქანი, სოციალური დანიშნულებით ჭრის ფარგლებში გამოიყოფა მხოლოდ მოთხრილ-მოტეხილი, ზეხმელი, მავნებელით დაავადებული, ფაუტი და ნაყარი ხე-ტყე), მოვება, თიბვა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა;

ს) ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მონიტორინგის მიზნით, საკვებურებისა და სამარილეების მოწყობა;

ტ) მცენარეების აღდგენა-განაშენიანების მიზნით, ბოლქვების, თესლის, გირჩებისა და კალმების შეგროვება სააგენტოსთან შეთანხმებით;

უ) ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების მიერ სამკურნალო და საკვები მცენარეების პირადი მოხმარებისათვის შეგროვება;

ფ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ფუტკრის სკვების განთავსება, თუ საჭირო არ არის ხე-მცენარეების გაკაფვითი სამუშაოები;

ქ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

11. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე და თეთრობის აღკვეთილში, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, დაშვებულია დრონითა და ფოტოხაფანგით გადაღება.

12. დაცული ტერიტორიების ფარგლებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და ზოლში დაშვებულია „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საზღვრის დაცვისათვის დადგენილი საქმიანობა.

თავი VI. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

მუხლი 42. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე

1. დაცული ტერიტორიების სააგენტო (სააგენტოს ცენტრალური აპარატი და ჯავახეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია) პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე, მათი განხორციელების მონიტორინგსა და მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.
2. მენეჯმენტის გეგმა ხორციელდება ცხრა საოპერაციო და წლიური სამუშაო გეგმის საშუალებით. საოპერაციო გეგმა მოიცავს განსახორციელებელ ქმედებებს საჭირო ბიუჯეტის ჩათვლით.
3. დაცული ტერიტორიების სააგენტო, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას და თანამშრომლობას გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში, როდესაც ეს აუცილებელი და საჭიროა.

მუხლი 43. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

1. მენეჯმენტის გეგმა მოიცავს ექვს პროგრამას. ამ პროგრამების მიზნები და ქმედებები ესადაგება ძირითად პირდაპირ და არაპირდაპირ საფრთხეებს, გამოწვევებსა და მენეჯმენტის შეზღუდვებს, რომლებიც აღწერილია სიტუაციურ ანალიზში (თავი IV). ეს პროგრამებია:
 - ა) პატრულირების, კანონდარღვლების, ხანძრების, მავნებლებისა და დაავადებების მართვის პროგრამა;
 - ბ) ბიომრავალფეროვნებასა და არსებულ საფრთხეებზე მონიტორინგის პროგრამა;
 - გ) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა;
 - დ) ეკოტურიზმის და ვიზიტორთა მართვის პროგრამა;
 - ე) გარემოსდაცვითი განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა;
 - ვ) ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შესაძლებლობის გაძლიერების პროგრამა.
2. მენეჯმენტის გეგმის მომდევნო მუხლები განსაზღვრავენ მენეჯმენტის გეგმის პროგრამების მიზნებს, შესაბამის ინდიკატორებს და შემოწმების საშუალებებს. თითოეული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს საოპერაციო და ყოველწლიური სამოქმედო გეგმებში. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცვალოს ან შესწორდეს ქმედებები მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პერიოდში, რათა მიღწეულ იქნას მენეჯმენტის პროგრამის თითოეული მიზანი.

მუხლი 44. პატრულირების, კანონალსრულების, ხანძრების, მავნებლებისა და დაავადებების მართვის პროგრამა

პროგრამის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ძირითადი ღირებულებების დაცვა ბრაკონიერობისგან, ხანძრების, დაბინძურების და იმ საფრთხეებისგან, რომლებიც გამოვლენილ იქნა სიტუაციური ანალიზის დროს და იდენტიფიცირებულია 29-ე მუხლის მე-3 ცხრილში. აღნიშნული პროგრამა ასევე მიმართულია, თავიდან აიცილოს და რეაგირება მოახდინოს ან მართოს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებისათვის დაავადებებითა და მავნებლებით ან ხანძრების (ანთროპოგენურ და ბუნებრივი ხანძრებით) შედეგად მიყენებული ზიანი.

მიზანი 1: გაუმჯობესებულია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების დაცვა, უკანონო ქმედებებისა და სხვა არსებული საფრთხეების გაძლიერებული კონტროლის შედეგად.

ინდიკატორი 1: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-3 წლისთვის, გაძლიერებულია ადმინისტრაციის შესაძლებლობები თავიდან აირიდოს და გააკონტროლოს უკანონო ქმედებები და სხვა საფრთხეები ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე.

ქმედებები	საბაზისო ინფორმაცია	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
1.1 პატრულირების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (ე.წ. SMART)	პატრულირება თანამედროვე SMART ტექნოლოგიით არ არის დანერგილი. ადმინისტრაციას გააჩნია 12 ფოტომახე-აქედან 5 ჯსმ სისტემით; 1 ღამის ხედვის აპარატი; 8 ჭოგრითი; 2 ფოტოაპარატი ტელეობიექტივით	დანერგილია პატრულირების თანამედროვე SMART ტექნოლოგია	ჯდტ-ს თანამშრომლების „სმარტ ფონები“ აღჭურვილია სპეციალური აპლიკაციით	დონორის მხარდაჭერა
1.2 დაცული ტერიტორიებისა და შესაბამისი დაშვებული და აკრძალული საქმიანობების შესახებ საინფორმაციო ნიშნებისა და დაფების განთავსება/განახლება დაცული ტერიტორიების საზღვრებთან	არსებობს 135 სადემარკაციო დაფა (კარგ მდგომარეობაში)	მინიმუმ 10 ახალი სტანდარტების დაფა დამონტაჟებულია	ნიშნების და დაფების ფოტო დოკუმენტაცია	
1.3 რეინჯერთა სახლის მოწყობა	ეროვნულ პარკთან, კარწახის ტბის მიდამოებში არსებობს რეინჯერთა სახლი	რეინჯერთა სახლი არსებობს თეთრობის ალკვეთილში	ფოტომასალა, საბალანსო აღრიცხვა	დონორის მხარდაჭერა
1.4 ხერგილების მოწყობა, სახანძრო კომპლექსის მოწყობა თეთრობის ალკვეთილში	ხერგილები და სახანძრო კომპლექსი არ არის მოწყობილი თეთრობის ალკვეთილში	ხერგილები და სახანძრო კომპლექსები მოწყობილია	ფოტომასალა	დონორის მხარდაჭერა
1.5 საპატრულო გზების გაწმენდა	პერიოდულად მიმდინარეობს გზების გაწმენდა	საპატრულო გზები რეგულარულად იწმინდება	გაწმენდვის ღონისძიების ამსახველი ფოტომასალა	

1.6 კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება შესაბამის უწყებებთან, მათ შორის სასაზღვრო პოლიციასთან, პოლიციასთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან, კანონალსრულებასთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურად განხორციელების მიზნით	უწყებებთან ხდება არარეგულარული კომუნიკაცია, შეხვედრები	სულ მცირე ერთი შეხვედრა იმართება შესაბამის უწყებებთან ყოველკვარტალურად	ერთობლივი ღონისძიებების ამსახველი ფოტოები და შეხვედრის ოქმები	
--	--	--	---	--

მიზანი 2: ხანძრებით, მავნებლებითა და დაავადებებით გამოწვეული ზიანი შემცირებულია.
ინდიკატორი 2: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლის დასასრულს, მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელთან შედარებით, 50%-ით შემცირდა ხანძრებით, მავნებლებითა და დაავადებებით გამოწვეული ზიანი.

ქმედებები	საბაზისო ინფორმაცია	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალება	წინაპირობა
2.1 ადგილობრივ მოსახლეობასთან მუშაობა და ტრენინგების ჩატარება ხანძრების მართვისა და პრევენციის საკითხების შესახებ	მოსახლეობასთან მუშაობა ხანძრების მართვისა და პრევენციის საკითხების შესახებ მიმდინარეობდა გასულ წლებში. 2017 წლიდან დაცულ ტერიტორიებზე ხანძარი არ გაჩენილა	ადმინისტრაციის თანამშრომლების 90% და ადგილობრივი მოსახლეობის 30% დატრენინგებული არიან ხანძარსაწინააღმდეგო უნარ-ჩვევებში, ხანძრების პრევენციასა და სამაშველო ღონისძიებებში	ტრენინგების ნუსხა. მონაწილეთა სია. ტრენინგების შესახებ ანგარიშები	დონორის მხარდაჭერა გარე ექსპერტების ჩართვა
2.2 ფიტოპათოლოგიური კვლევების რეგულარულად ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეაგირება. ტყის მავნებელი მწერების, სოკოებისა და დაავადებების გავრცელების კერების იდენტიფიცირება და არსებობის შემთხვევაში მართვის გეგმის შემუშავება.	დაკვირვებები ტარდება სისტემატურად. სიღრმისეული შესწავლა არ ჩატარებულა	ჯავახეთის დაცული ტერიტორიის სკრინინგი (შეფასებულია ტყის მავნებლებისა და დაავადებების კერების არსებობა)	დაავადების კერების ნუსხა. დაავადებებისა და მავნებლების გამოვლენის შემთხვევაში, მართვის გეგმა და განხორციელებული აქტივობების შედეგების ანგარიშები	კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა

მუხლი 45. ბიომრავალფეროვნებასა და არსებულ საფრთხეებზე მონიტორინგის პროგრამა

აღნიშნული პროგრამის მთვარი მიზანია უზრუნველყოს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების და სხვა ღირებულების რეგულარული მონიტორინგი და ხელი შეუწყოს ჯავახეთის დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებებისა და საფრთხეების შესახებ უახლესი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

<p>მიზანი 3: ინფორმაცია ძირითადი ღირებულებების მდგომარეობისა და საფრთხეების განვითარების ტენდენციების შესახებ ხელმისაწვდომია და განახლებულია დაცული ტერიტორიების ადაპტური მართვის მიზნით. ინდიკატორი 3: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ხელმისაწვდომია განახლებული ინფორმაცია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ღირებულებებისა და საფრთხეების 70%-ის შესახებ და ასახულია შესაბამის მონაცემთა ბაზაში.</p>				
ქმედებები	საბაზისო ინფორმაცია	ინდიკატორი	ინდიკატორის შემოწმების საშუალება	წინაპირობა
3.1 მონიტორინგის გეგმის შემუშავება/განახლება (განრიგის, მეთოდოლოგიისა და რესურსების ჩათვლით) ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებებისთვის (იხ. მუხლი 13, პუნქტი „გ“) (ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატების ჩათვლით).	მონიტორინგის გეგმა არსებობს მხოლოდ კონკრეტულ სახეობებზე	მონიტორინგის გეგმა შემუშავებულია დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებებისთვის	მონიტორინგის გეგმის დოკუმენტი	დონორების მხარდაჭერა
3.2 მნიშვნელოვანი ჰაბიტატების მონიტორინგი: მათ შორის ჭრაგავლილი, ნახანძრალი და ხელუხლებელი ტყეებისა და ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატების, ჭარბტენიანი, კლდისა და ჩამონაშლების მცენარეულობის მონიტორინგი (მაგ., კლდის დუმა, კლდის ვაშლი)	მონიტორინგი არ ჩატარებულა	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები.	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან დონორების მხარდაჭერა
3.3 წითელი ნუსხის მცენარეების მონიტორინგი	მონიტორინგი არ ჩატარებულა	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები	მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები.	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან დონორების მხარდაჭერა

3.4 მრღნელების მონიტორინგი (იხ. შერჩეული ძირითადი ღირებულებები მუხლი 13-ის პუნქტი „გ“-ში)	მონიტორინგი არ ჩატარებულა	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. გავრცელების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან დონორების მხარდაჭერა
3.5 მტაცებლების მონიტორინგი (იხ. შერჩეული ძირითადი ღირებულებები მუხლი 13-ის პუნქტი „გ“-ში)	მონიტორინგი არ ჩატარებულა. დაკვირვება ხდება პერიოდულად	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან დონორების მხარდაჭერა
3.6 ფრინველების მონიტორინგი (იხ. შერჩეული ძირითადი ღირებულებები მუხლი 13-ის პუნქტი „გ“-ში)	მონიტორინგი ტარდება რეგულარულად და ინფორმაცია შეტანილია ერთიან ბაზაში	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან დონორების მხარდაჭერა
3.7 ჰერპეტოფაუნის მონიტორინგი (იხ. შერჩეული ძირითადი ღირებულებები მუხლი 13-ის პუნქტი „გ“-ში)	მონიტორინგი არ ჩატარებულა	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. გავრცელების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან დონორების მხარდაჭერა
3.8 ჭარბტენიანი ტერიტორიების/ტბების/მდინარეების მონიტორინგი	მონიტორინგი ტარდება რეგულარულად. ილიას უნივერსიტეტის თანამშრომლები ატარებენ კვლევებს	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან დონორების მხარდაჭერა

3.9 კარწახის ტბაში ინვაზიური თევზების: კობრის (<i>Cyprinus carpio</i>), კარჩხანა (<i>Carassius gibelio</i>), ფსევდორასბორა (<i>Pseudorasbora parva</i>), ვიწრომარწუხა კობორჩხალას (<i>Pontastacus leptodactylus</i>) მონიტორინგი, მათ შორის ჭერილის აღრიცხვა	აღნიშნულ სახეობებზე კვლევა ჩატარდა უხერხემლოთა კვლევითი ცენტრის მიერ	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. გავრცელების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები	ადმინისტრაციის მიერ, ასევე თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან დონორების მხარდაჭერა
3.10 სამიზნე მცენარეულ სახეობებზე მონიტორინგი (იხ. შერჩეული ძირითადი ღირებულებები მუხლი 13-ის პუნქტი „გ“-ში)	დაკვირვება ხდება. მონიტორინგი არ არის ჩატარებული	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან დონორების მხარდაჭერა
3.11 არასისტემური მოვლენების მონიტორინგი	ინფორმაცია გროვდება რეგულარულად	მონაცემები ბუნებრივი მოვლენების შესახებ ხელმისაწვდომია.	მონაცემები ბუნებრივი მოვლენების შესახებ ასახულია ბუნების მატეანეში	

მიზანი 4. დაცული ტერიტორიების ადაპტური მენეჯმენტის ხელშეწყობის მიზნით პრიორიტეტული სამეცნიერო საკითხები გადაჭრილია სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის გზით.
ინდიკატორი 4: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ინფორმაციის დეფიციტის მინიმუმ 50%-ია შევსებულია იმ კვლევითი პროექტების ნუსხის მიხედვით, რომელიც შედგება მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელს.

ქმედებები	საბაზისო ინფორმაცია	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
4.1 კვლევითი პროექტის განხორციელება ჭარბტენიანი ტერიტორიების ინვაზიური სახეობების შესასწავლად (სახეობების იდენტიფიცირება და მათი ზეგავლენის შესწავლა)	არ განხორციელებულა	სულ მცირე ერთი კვლევითი პროექტია განხორციელებული ინვაზიური სახეობების შესახებ მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-5 წლისთვის. შედგენილია ინვაზიურ სახეობათა ნუსხა და გავრცელების რუკები	მონაცემთა ბაზა წლიური ანგარიში	შესაბამის კვლევით უწყებასთან და გარე ექსპერტთან თანამშრომლობა
4.2 ბერნის კონვენციით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების/ ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატების ეტაპობრივი შესწავლა	საბაზისო ინფორმაცია არსებობს, ბერნის კონვენციისადმი 2019 წლის ანგარიშგების მომზადების მიზნით განხორციელებული კვლევის შედეგების	ხელმისაწვდომია მონაცემები ბერნის კონვენციით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ	მონაცემთა ბაზა	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, გარე ექსპერტების ჩართვა

	სახით, ფრინველთა 12 სახეობისთვის.			
4.3 საქართველოს „წითელი წუსხით“ დაცული მერქნიანი სახეობების მდგომარეობის შესწავლა და საჭიროების მიხედვით მათი აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვა	ინფორმაციას მოძიება ხდება რეინჯერები მიერ. აღდგენის ღონისძიებები არ არის დაგეგმილი	ტყეების მართვის გეგმის მიხედვით დადგენილი და გამოვლენილია წითელი წუსხით დაცული მერქნიანი მცენარეების გავრცელების ადგილები და დაგეგმილია მათი აღდგენის ღონისძიებები	ტყის ინვენტარიზაციის ანგარიში და ტყის მართვის გეგმა	დამატებითი დაფინანსება
4.4 ენდემური სახეობის მცენარეების შესწავლა (გეობოტანიკური კვლევა, რომლის საფუძველზეც უნდა გამოიყოს მკაცრი დაცვის ზონები თეთრობის აღკვეთილში)	არ არის ჩატარებული	ხელმისაწვდომია მონაცემები ენდემური სახეობის მცენარეების შესახებ	მონაცემთა ბაზა გეობოტანიკური კვლევის ანგარიში	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, გარე ექსპერტების ჩართვა
4.5 კონსერვაციის თვალსაზრისით პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და მათი განხორციელება	არ არის ჩატარებული	შემუშავებულია პრიორიტეტული კვლევითი პროექტების ჩამონათვალი. სულ მცირე 2 კვლევითი პროექტია ინიცირებული მენეჯმენტის გეგმის განხორციელების დასრულებისთვის	პრიორიტეტული კვლევითი პროექტების ჩამონათვალის დოკუმენტი. ბუნების მატანე. წლიური ანგარიში. კვლევის ანგარიშები.	დონორების მხარდაჭერა კვლევითი პროექტების განხორციელებაში

მუხლი 46. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა მიზნად ისახავს ტრადიციული გამოყენების ზონაში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფას. ძირითადად აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები და ამავდროულად დაარეგულიროს ტყის რესურსებისა და სამოვრების მართვის საკითხები.

მიზანი 5. უზრუნველყოფილია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ტრადიციული გამოყენების ზონის ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება. ინდიკატორი 5: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების დასასრულისთვის, სულ მცირე არ ხდება დეგრადირებული სამოვრების ფართობის გაზრდა და ტყის ფართობის შემცირება.

ქმედებები	საბაზისო ინფორმაცია	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
5.1 ტყის ინვენტარიზაციის განხორციელება და ტყის მართვის გეგმის შედგენა ჯავახეთს დაცული ტერიტორიებზე (თეთრობის აღკვეთილში)	თეთრობის აღკვეთილში ტყის ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული	თეთრობის აღკვეთილის ტყის ინვენტარიზაცია ჩატარებულია. შემუშავებულია ტყის მართვის გეგმა	ტყის ინვენტარიზაციის ანგარიში და ტყის მართვის გეგმა.	თანამშრომლობა ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებთან. დამატებითი დაფინანსება
5.2 ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის ტყის რესურსების მონიტორინგისა და მდგრადი გამოყენების საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება	თემატური ტრენინგები ტარდება პერიოდულად სააგენტოსა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით	სულ მცირე 3-დღიანი ტრენინგი ჩატარებულია ტყის მართვის გეგმის განხორციელების შესახებ ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის	მონაწილეთა სიები. შეხვედრებისა და ტრენინგების ოქმები და ანგარიშები	დონორების მხარდაჭერა
5.3 სამოვრების მართვის გეგმის განახლება და მისი განხორციელება	სამოვრების მართვის გეგმა მოძველებულია	სამოვრების მართვის გეგმა განახლებულია	სამოვრების მართვის გეგმა	საჭიროებისამებრ გარე ექსპერტის ჩართვა დამატებითი დაფინანსება
5.4 იჯარით გაცემული სამოვრების შესახებ ინფორმაციის განახლება და რეგულარული მონიტორინგი	ინფორმაციის განახლება და მონიტორინგი ხდება პერიოდულად თუმცა სრულყოფილი და განახლებული ბაზა არ არსებობს	მონაცემთა ბაზა შექმნილია და ინფორმაცია სამოვრების შესახებ ასახულია შექმნილ მონაცემთა ბაზაში	მონაცემთა ბაზა სამოვრების შესახებ. სამოვრების მონიტორინგის ანგარიშები და ფოტომასალა	
5.5 ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება	მართვის გეგმა არ არის შემუშავებული	ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია	ნარჩენების მართვის გეგმის დოკუმენტი	საჭიროებისამებრ გარე ექსპერტის ჩართვა დამატებითი დაფინანსება

მუხლი 47. ეკოტურიზმისა და ვიზიტორთა მენეჯმენტის პროგრამა

ეკოტურიზმის პროგრამა მიმართულია შექმნას და გააძლიეროს არსებული პოტენციალი და შესაძლებლობები ჯავახეთში ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით.

მიზანი 6. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე განვითარებულია ინფრასტრუქტურა, რომლებიც ხელს უწყობს ჯავახეთის ეკოტურიზმის პოტენციალის გამოვლენას ეკოლოგიური მთლიანობის ხელყოფის გარეშე. ინდიკატორი 6. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლისთვის განვითარებულია ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი რაც საჭიროა ვიზიტორთა კმაყოფილებისთვის, ამავედროულად ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეები არ იზრდება.				
ქმედებები	საბაზისო ინფორმაცია	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
6.1 არსებული ტურისტული ბილიკების განახლება	2020 წლისთვის ფუნქციონირებს 7 ბილიკი და პერიოდულად ხდება ბილიკების განახლება	მინიმუმ არსებული 5 ტურისტული ბილიკი განახლებულია	საპროექტო აღწერილობები და ანგარიშები	დამატებითი დაფინანსება
6.2 დამატებითი ბილიკების მოწყობა (მაგ.,შემეცნებითი ბილიკის მოწყობა თეთრობის ადკვეთილის ტერიტორიაზე) ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის (2019-2025) მიხედვით	დამატებითი ბილიკები არ არის მოწყობილი	დამატებითი (მინიმუმ ორი) ბილიკები მოწყობილია თეთრობის ადკვეთილში	საპროექტო აღწერილობები და ანგარიშები	დამატებითი დაფინანსება
6.3 ვიზიტორთა ცენტრში სუვენირებისა და ადგილობრივი პროდუქტის სავაჭრო კუთხის მოწყობა	2020 წლისთვის ვიზიტორთა ცენტრში სუვენირების და ადგილობრივი პროდუქტის სავაჭრო კუთხე არ არის მოწყობილი	სავაჭრო კუთხე მოწყობილია ვიზიტორთა ცენტრში და ფუნქციონირებს.	სავაჭრო კუთხის პროექტი და ფოტო მასალა სავაჭრო კუთხის ფინანსური ანგარიში	დონორების მხარდაჭერა

მიზანი 7. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე განვითარებულია სერვისები და ეკოტურისტული პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობს ჯავახეთის ეკოტურიზმის პოტენციალის გამოვლენას ეკოლოგიური მთლიანობის ხელყოფის გარეშე.

ინდიკატორი 7. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლისთვის, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიისა სამოქმედო გეგმის მიხედვით გამოვლენილი სერვისების და ეკოტურისტული პროდუქტების, მინიმუმ ნახევარი ხელმისაწვდომია და ამავდროულად ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეები არ იზრდება.

ქმედებები	საბაზისო ინფორმაცია	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
7.1 ადგილობრივი მომწოდებლების ხელშეწყობა ტურისტული პროდუქტის: საცხენოსნო აქტივობების, სამთო ველოსიპედების განვითარებისა და სხვა შეთავაზების მიმართულებით	ამ ეტაპზე ადმინისტრაცია ფლობს 10 ველოსიპედს (აქედან 2 – ელექტრო). 6 უნაგირი გადაეცა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ერვანდ სუმბულიანს, რომელიც საკუთარი ცხენებით ემსახურება ვიზიტორებს. ადმინისტრაციას გააჩნია ასევე 10 2 ადგილიანი კარავი და 19 საძილე ტომარა. 10 წყვილი „თოვლის ფეხსაცმელი“ და 20 ზურგჩანთა	ხელმისაწვდომია ეკოტურიზმის სტრატეგიაში რეკომენდებული სულ მცირე ორი ტურისტული პროდუქტი	ახლადდანერგილი ტურისტული პროდუქტების ნუსხა	კერძო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა
7.2 ადგილობრივი პროდუქტის წარმოების მხარდაჭერა, შეფუთვა, სერტიფიცირება და გაყიდვა (მაგ., თაფლი, თაფლის ჭაჭა და სხვ) ჯავახეთის ეროვნული პარკის ეტიკეტით	2014 წელს ჯდტ-ს შექმნის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ მეფუტკრეთა გაერთიანებას („ელკანას“ მეშვეობით) ადმინისტრაციამ შეუძინა სხვადასხვა მოწყობილობები, მაგრამ გაერთიანება დაიშალა და შესაბამისად აღნიშნულ აქტივობას შედეგი არ მოჰყოლია	მინიმუმ 3 სხვადასხვა ადგილობრივი წარმოების პროდუქტს აქვს ჯავახეთის ეროვნული პარკი ეტიკეტი	ადგილობრივი პროდუქციის აღწერა, რომელიც ეტიკეტირებულია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ლოგოთი ადგილობრივი პროდუქტის გაყიდვების შესახებ ანგარიში	კერძო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა

მიზანი 8. ჯავახეთის დაცული ტერიტორია, ეკოტურისტული თვალსაზრისით წარმოადგენს ცნობად ტურისტულ ადგილს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ინდიკატორი 8. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ვიზიტორთა რაოდენობა და მათი კმაყოფილება 50%-ით გაზრდილია, მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელთან შედარებით.

ქმედებები	საბაზისო ინფორმაცია	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
8.1 ჯავახეთის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა სარეკლამო მასალების მომზადება	ცენტრალურ გზებზე განთავსებულია ჯდტ-ს ვიზიტორთა ცენტრის, აღკვეთილებისა და ეროვნული პარკის მიმართულების მაჩვენებლები	სულ მცირე ბარათების 3 ნაკრები, თითო ნაკრებში მთელი რეგიონის ამსახველი 5-10 ფოტოთი, გამოცემულია და იყიდება ვიზიტორთა მომსახურების ცენტრში. არსებობს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ელექტრონული რუკა (აპლიკაცია); ქვევის წესების შესახებ 500-მდე ბროშურა	ბარათების მაგალითები და გაყიდვების ანგარიშები ელექტრონული აპლიკაცია პროშურების დიზაინი	პარტნიორების და დონორების დახმარება
8.2 დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისადმი მიძღვნილი ინფორმაციის მუდმივი განახლება	ვებ-გვერდზე პერიოდული ხდება ჯდტ-ების შესახებ ინფორმაციის განთავსება	დაცული ტერიტორიების ვებ-გვერდზე ყოველწლიურად გამოქვეყნებულია ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისადმი მიძღვნილი მინიმუმ 10 ახალი ინფორმაცია	დაცული ტერიტორიების ვებგვერდი	
8.3 ჯავახეთის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია ელექტრონული სოციალური მედიის გამოყენებით.	ხდება Facebook-ისა და Youtube-ის გამოყენება	ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ფეისბუქ გვერდის, მუნიციპალიტეტისა და სხვა შესაბამისი ვებგვერდებისა და სოციალური მედიის საშუალებით ყოველწლიურად ვრცელდება მინიმუმ 15 სიახლე ჯდტ-ს შესახებ	ვებგვერდის სტატისტიკა ფეისბუქის სტატისტიკის ანგარიში	
8.4 ელექტრონული საშუალებით ტუროპერატორებთან კომუნიკაცია სხვადასხვა პროდუქტებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება	ტუროპერატორებთან იგზავნება ყველა-ის მასალა, რაც ვიზიტორს მისცემს ზოგად წარმოდგენას ჯავახეთისა და ჯდტ-ის შესახებ (დაცული ტერიტორიები, ისტორიული ძეგლები, სასტუმროები, კვების	არსებობს პარტნიორი ტუროპერატორების სია, რომლებთანაც წელიწადში მინიმუმ 4 ჯერ იგზავნება ჯდტ-ის სეკოტურისტული სერვისების შესახებ საინფორმაციო მასალები.	პარტნიორი ტუროპერატორების სია გაგზავნილი საინფორმაციო მასალები	

	ობიექტები, გადაადგილების საშუალებები და სხვა)			
